მასწავლებელი

№3(78), 2022

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია ფირჩხაძე,
თინათინ ზარდიაშვილი,
გურამ მეგრელიშვილი,
ლელა მანგოშვილი, მაია მენაბდე,
ლელა კოტორაშვილი,
ქეთევან ოსიაშვილი,
ქეთევან კობალაძე,
მანანა სეხნიაშვილი,
თამთა დოლიძე, მეგი კავთუაშვილი,
ინა იმედაშვილი, მაია ჯალიაშვილი,
თემურ სუყაშვილი,
ნასტასია არაბული,
ირმა კახურაშვილი, ნინო ლომიძე,
შორენა ტყეშელაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.

ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 ə-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მაგრამ მგონია, რომ სიტყვებს თავისი დრო აქვთ. სიტყვებისთვის ყავლის გასვლას არ ვგულისხმობ, არც ერთი სიტყვის იმავე მნიშვნელობის სხვა სიტყვით ჩანაცვლებას. დგება დრო, როდესაც რამდენიმე სიტყვა აქტიურდება და ჩვენს გარემოში მედია-მედიუმებისგან ყველაზე ხშირად გვესმის.

დამეთანხმებით, რომ ბოლო დროს ყველაზე ხშირად ვიყენებთ სიტყვებს: „ევროკავშირი“, „ევროპული ღირებულებები“, „თავისუფლება“, „მშვიდობა“... მოკლედ, ამ სიტყვების დროა, სწორედ ამას ვგულისხმობდი.

მაგრამ სიტყვები, რომლებსაც ხშირად ისე ვამბობთ, რომ მათი მნიშვნელობა არ გვესმის, იღლებიან და ადრესატამდე იმ ენერგიით და დამაჯერებლობით ვეღარ აღწევენ, ჩვენ რომ გვინდა.

ეს დღეებია, იტალიელი პედაგოგისა და პოეტის ლორის მალაგუცის ეს ლექსი ამოვიჩემე – სინამდვილის თვალსაჩინო რეპრეზენტაციის ნიმუში:

ბავშვს აქვს ასი ენა,
ასი ხელი,
ასი აზრი,
ფიქრის, თამაშის, ლაპარაკის ასი გზა.
ასი, ყოველთვის ასი
გზა მოსმენისთვის,
აღტაცებისა და სიყვარულისთვის,
ასი სიხარული
სიმღერისა და გაგებისთვის,
ასი სამყარო აღმოჩენისთვის,
ასი სამყარო გამოგონებისთვის,
ასი სამყარო საოცნებოდ.
ბავშვს აქვს ასი ენა
(და ასჯერ, ასჯერ, ასჯერ მეტი)...
მაგრამ მათ ჰპარავენ ოთხმოცდაცხრამეტს.

ჟურნალის ამ ნომრის ერთ-ერთ სტატიაში ასეთ სიტყვებს ამოიკითხავთ: „გაკვეთილზე მასწავლებელმა ათასი გზით შეიძლება გაუღოს კარი თავისუფლებას. ეს მისავე შინაგან თავისუფლებაზეა დამოკიდებული, რომელსაც ანიჭებს მას შემოქმედებითობა, არაშაბლონური აზროვნება, განათლებისა და შემეცნებისკენ მუდმივი სწრაფვა, სხვათა გამოცდილების გაზიარების უნარი, სიახლეების მუდმივი გაცნობა და მათი დანერგვის წყურვილი, ძველი და ახალი გზების ორიგინალური სინთეზის სურვილი, მეთოდებისა და სტრატეგიების თავისი კლასისთვის მოდიფიცირების ჩვევა“.

ასეა. სკოლის კარი ყოველთვის ღია უნდა იყოს თავისუფლებისთვის, ხოლო მასწავლებელი უნდა იყოს თავისუფალი ადამიანი. სხვაგვარად ჩვენ მიერ ნათქვამ სიტყვებს დამაჯერებლობა მოაკლდება, ნდობას არ გამოიწვევს და ჩვენი მოსწავლეებისთვის მნიშვნელობას ვეღარ შეიძენს. ასე რომ არ იყოს, აღარ მოგვიწევდა უკვე მერამდენედ ქუჩაში გამოსვლა და ევროპელობისთვის ბრძოლა.

საგანმანათლებლო რესურსი

მაია ფირჩხაძე

8 | დიფერენცირებული დავალებები ეფექტური შედეგებისთვის

დიფერენცირებული დავალებების შეთავაზებით მასწავლებელი ქმნის ისეთ სიტუაციას, რომელშიც ყველა დონის მოსწავლის ცოდნა და უნარები გამოვლინდება. ასეთი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, აჩვენებს მის დინამიკას, ათვისებული ცოდნისა და უნარების ხარისხს;

თინათინ ზარდიაშვილი

12 | რა იციან მოსწავლეებმა გარემოს დაცვითი მიმართულებით

საქართველოს რვაასამდე სკოლა ჩართულია ,,ახალი სკოლის მოდელში". პროექტის ერთ-ერთი ამოცანაა კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმის განვითარება და დანერგვა. ამ ამოცანის განსახორციელებლად პროექტში ჩართული საჯარო სკოლები გეგმავენ და ახორციელებენ სასკოლო პროექტებს.

გურამ მეგრელიშვილი

15 | მხატვრული წერის გაკვეთილები

წერილების ეს ციკლი თვითმასწავლებელია და ყველას, ვისაც საკუთარი მხატვრული ტექსტის შექმნაზე უფიქრია, გამოადგება. გამოადგებათ პედაგოგებსაც, რადგან დაეხმარებიან პატარებს, თავიანთი უნიკალური და საინტერესო სამყარო შექმნან. გამოადგებათ მშობლებსაც, რათა დაინახონ, რას ფიქრობენ, რას გრძნობენ და რა აწუხებთ ან უხარიათ მათ შვილებს.

ლელა მანგოშვილი

32 | კომპლექსური დავალება – პირადი თვალსაზრისის გამოხატვა

ალბათ ყველა აღმოჩენილა სიტუაციაში, როდესაც მისი მოსაზრება სწორად გაუგიათ და დაუფასებიათ ან პირიქით, არ მიუღიათ. რატომ?

მაია მენაბდე

46 | ომის ლექსები

აკა მორჩილაძემ ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე თქვა, საქართველო უფრო პოეზიის ქვეყანაა და ახლა მე, პროზაიკოსი რომ ვლაპარაკობ, უხერხულად ვგრძნობ თავსო. ქართულ პოეზიაში ასეთი სისავსით ასახულმა უკრაინის ომმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მართალია აკა: „მწერალი მაინც რჩება საქართველოში გამორჩეულ ფიგურად. ეს ისეთი ადამიანია, რომელიც ყოველთვის იქ არის, სადაც ყველა არასდროს არ არის და იმავდროულად იქ არის, სადაც ყველა ყოველთვის მოიყრის თავს".

ლელა კოტორაშვილი

52 | სიტყვობანა – სახალისო თამაში ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად

მრავალფეროვანი სასწავლო ტექსტების წაკითხვა რთულია, თუკი ბავშვს სიტყვათა მნიშვნელობა არ ესმის. კითხვა ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს, თუმცა სიტყვებზე მიზანმიმართული მუშაობა აუცილებელია. ტექნოლოგიურ სამყაროში ბავშვებს დიალოგის, ამბის თხრობის დრო თითქმის არ რჩებათ.

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

36 | წარმოსახვითი მეგობარი – ნორმა თუ პათოლოგია?

მართლა საშიშია თუ არა წარმოსახვითი მეგობრის ყოლა? წარმოსახვითი მეგობრები ყველაზე ხშირად 3-დან 5-წლამდე ასაკის პატარებს ჰყავთ. ეს სავსებით ნორმალური მოვლენაა, ამა თუ იმ ფორმით სკოლამდელი ასაკის თითქმის ყველა ბავშვის ცხოვრებაში შეინიშნება და პირდაპირ კავშირშია შემოქმედებითი უნარებისა და წარმოსახვის განვითარებასთან.

სარჩევი

27 ნასტასია არაბული
მარტივი მათემატიკური სავარჯიშოები საბავშვო წიგნებიდან

28 ირმა კახურაშვილი
დისციპლინა – დასჯისა და საყვედურის გარეშე

29 ნინო ლომიძე
სიუჟეტი

30 შორენა ტყეშელაშვილი
„ბავშვთა აღზრდა“ – წიგნი მშობლებისა და მასწავლებლებისთვის

საერთაშორისო გამოცდილება

ქეთევან კობალაძე

43 ზრდასრულობა – სირთულეები და გამოწვევები

მდგრადი განვითარება

მანანა სეხნიაშვილი

39 აქტივობები, მდგრადი განვითარებისთვის

მოსაზრება

მაია ჯალიაშვილი

4 კარი გავუღოთ თავისუფლებას

გაკვეთილზე მასწავლებელმა ათასი გზით შეიძლება გაუღოს კარი თავისუფლებას. ეს მისსავე შინაგან თავისუფლებაზეა დამოკიდებული, რომელსაც ანიჭებს მას შემოქმედებითობა, არაშაბლონური აზროვნება, განათლებისა და შემეცნებისკენ მუდმივი სწრაფვა, სხვათა გამოცდილების გაზიარების უნარი, სიახლეების მუდმივი გაცნობა და მათი დანერგვის წყურვილი, ძველი და ახალი გზების ორიგინალური სინთეზის სურვილი, მეთოდებისა და სტრატეგიების თავისი კლასისთვის მოდიფიცირების ჩვევა და სხვა.

თამთა დოლიძე

19 რელიგიის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

სკოლებში მიმდინარე სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციისთვის გამოყენება ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საგანმანათლებლო დილემაა. ამ საკითხთან დაკავშირებული ეთიკური წინააღმდეგობები, რომელთა დაძლევაც სასკოლო საზოგადოებას უწევს, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ისმის კითხვა: ეთიკურია თუ არა სკოლაში რელიგიის სწავლება?

მეგი კავთუაშვილი

22 როგორ აღვზარდოთ ბავშვი ინკლუზიური ღირებულებებით

როგორი ადამიანი იქნება ჩვენი შვილი, როცა გაიზრდება? – ეს კითხვა ყველა მშობელს გვაწუხებს, პასუხად კი მრავალი ჩვენგანი ამბობს: „მთავარია, ბედნიერი იყოს!“

ინა იმედაშვილი

25 როგორ ვასწავლოთ სამშობლოს სიყვარული

საიდან იბადება ან ყალიბდება სამშობლოს ამდაგვარი გაგება და სიყვარული? ჩვენ გვიყვარს სამშობლო? რის გაღება შეგვიძლია ქვეყნისთვის, თუ ამის საჭიროება დადგა? როგორი იქნება ჩვენი არჩევანი: პირადი კეთილდღეობა (შესაძლოა დროებითიც) თუ სამშობლოსთვის ამ კეთილდღეობაზე უარის თქმა? თავისა და მიზნების გაწირვა? რატომ გახდა და გაუფერულდა ჩვენს ეპოქაში ისეთი ცნებები, როგორიც თავგანწირვა და თავშეწირვაა?

თემურ სუყაშვილი

54 ნეიტრალიტეტი და მასთან დაკავშირებული ნიუანსები

მოსწავლეებისთვის სწორი, გადამოწმებული და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება დღეს ისე მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს. შემეცნების პროცესი აღმოჩენებს, კრიტიკულ და დამოუკიდებელ აზროვნებას უნდა უკავშირდებოდეს, ამიტომ სწავლა-სწავლების დროს მოსწავლეებს უნდა დავუტოვოთ სივრცე ფიქრისთვის და არა მზა პასუხები მივაწოდოთ.

მაია ჯალიაშვილი

კარი გავუღოთ თავისუფლებას

გაკვეთილზე მასწავლებელმა ათასი გზით შეიძლება გაუღოს კარი თავისუფლებას. ეს მისსავე შინაგან თავისუფლებაზეა დამოკიდებული, რომელსაც ანიჭებს მას შემოქმედებითობა, არაშაბლონური აზროვნება, განათლებისა და შემეცნებისკენ მუდმივი სწრაფვა, სხვათა გამოცდილების გაზიარების უნარი, სიახლეების მუდმივი გაცნობა და მათი დანერგვის წყურვილი, ძველი და ახალი გზების ორიგინალური სინთეზის სურვილი, მეთოდებისა და სტრატეგიების თავისი კლასისთვის მოდიფიცირების ჩვევა და სხვა.

ვინ აღებს სკოლის კარს? პირდაპირი მნიშვნელობით – მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, დარაჯი, სტუმარი თუ სხვა, საგანგებო მიზნით თუ სრულიად უმიზნოდ, შემთხვევით შემოსული. თუ ამ ფრაზას მეტაფორულად, გადატანითი მნიშვნელობით გავიაზრებთ, ის უფრო ღრმა შინაარსით დაიტვირთება. სკოლის კარის გაღება ნიშნავს, შეუძლვე მოსწავლეს ისეთ სივრცეში, რომელიც მას საშუალებას მისცემს, გამოავლინოს თავისი ყველა მნიშვნელოვანი პოტენციური შესაძლებლობა, იგრძნოს, რომ თავისუფალი, დამოუკიდებელი ადამიანია, აღარ დააწვეს ტვირთად ყველაფერი ის, რაც ამ სივრცის გარეთ თრგუნავს - ოჯახური გარემო, ნათესავ-მეგობართა წრე თუ სხვა.

ხშირად არის, რომ მასწავლებელი მოსწავლეს სრულიად სხვაგვარად ახასიათებს, ვიდრე მას მშობელი ხედავს. უკეთესად ან უარესად - ამას მნიშვნელობა არ აქვს. გაოცებული მშობელი ხანდახან იმასაც ამბობს, რომ ბავშვი შინ სულ სხვანაირია, უფრო ზრდილობიანი ან უზრდელი, უფრო მორცხვი ან თავდაჯერებული, უფრო თავშეკავებული, მშვიდი თუ ცელქი, მოუსვენარი, ფეთქებადი და მოუთოკავი... მთავარია, ნებისმიერმა მოზარდმა სასკოლო სივრცეში იგრძნოს, რომ მას მიიღებენ ისეთს, როგორიც არის, ჭკვიანს თუ სულელს, ზარმაცს თუ ბეჯითს.

სასკოლო სივრცეში მოსწავლემ უნდა მოიშოროს ყველა ნიღაბი, რომლებიც მას ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად უგროვდება. როგორც ცნობილია, სწორედ ბავშვობიდან ეჩვევა ადამიანი შენიღბვას, თავისი ნამდვილი მეს გადამალვას, აქედანვე უჩნდება გაუცნობიერებელი შიში საზოგადოებისგან გაუცხოებისა, ამიტომ უმეტესობა ცდილობს, მოერგოს იმ გარემოს, რომელშიც ცხოვრობს, მოიქცეს ისე, როგორც სხვები უკარნახებენ, სტერეოტიპულ შეხედულებათა და შაბლონურ აღქმათა ჩაკეტილ წრეში ტყვედ იგრძნოს თავი, დღეები იმედგაცრუებით დაიწყოს და დაამთავროს, უსიხარულობის მტანჯველი ერთფეროვნების გაუსაძლის გარემოდ ექცეს სკოლა, სადაც მხოლოდ მშობლების ხათრითა თუ შიშით მიდის. გარემოსთან შესაბამისობა მოსწავლეს ხშირად საკუთარ სურვილებსა და მისწრაფებებზე უარის თქმად უჯდება, რაც ფსიქოლოგიურ ტრავმებსა და სტრესებს იწვევს, ყოველივე ეს კი მისი სწავლისა და შემეცნების პროცესზე აისახება. შენიღბვის ჩვევა თანდათან ყოველდღიურობის ნაწილად ექცევა და საერთოდ დაკარგავს საკუთარი თავის აღქმის გზას. გონებადაფანტულობა და უყურადღებობა მისი მთავარი თვისებები გახდება. რაც ყველაზე უარესია, თვითონვე დაეჭვდება საკუთარ უნარებსა და შესაძლებლობებში, იმაში, რომ რამის სწავლა შეუძლია. ასე ხდებიან ადამიანები ხელმოცარულები, განწირულები იმისთვის, რომ მუდამ ემუქრებოდეთ გარიყვის საფრთხე. ამიტომ პედაგოგთა უმთავრესი საფიქრალი კონკრეტულ საგანთა სწავლებასთან ერთად ისიც უნდა იყოს, რომ მოსწავლემ თავისუფლების შეგრძნება არ დაკარგოს.

გაკვეთილზე ფართოდ უნდა გაეღოს კარი კრიტიკულ აზროვნებას, მოსწავლის შეცდომა, ულოგიკობა თუ სისულელე დაცინვის საგანი არ უნდა გახდეს. ამერიკელმა პედაგოგმა, განათლების ექსპერტმა ნადია ლოპესმა თავის ერთ საჯარო გამოსვლას ვიქტორ ჰიუგოს მრავალმნიშვნელო-

ვანი სიტყვები წაუმძღვარა ეპიგრაფად: „ვინც სკოლის კარს აღებს, ციხის კარს ხურავს“. ამგვარად, მან ხაზი გაუსვა, რომ მოსწავლეს სკოლა უნდა დაეხმაროს ფუნდამენტური ღირებულებების ჩამოყალიბებაში. მან უნდა იცოდეს, რომ არც წაქცევა და არც დამარცხება სამარცხვინო არ არის, მთავარია, ფასეულობათა სისტემის სახით ჰქონდეს საყრდენი, რომელსაც თავისი იდენტობის მთავარ განმსაზღვრელად მიიჩნევს. სკოლის სახით მას უნდა ჰყავდეს ძლიერი, ერთგული, უღალატო მოკავშირე.

საინტერესო და საგულისხმოა ნადია ლოპესის გამოცდილება. ის ამბობს, რომ მის სკოლაში მასწავლებლები მოსწავლეებს მკვლევრებს ეძახიან, რადგან სწორედ სასკოლო სივრცეა მათი დიდი მოგზაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი. მართლაც, სხვადასხვა საგნის შესწავლა ხომ მათი შემეცნების საზღვრებს აფართოებს, საოცნებო, შორეული ჰორიზონტებისკენ ახედებს მათ და გზას უხსნის თავისუფლებას, რომელმაც ისინი ნებისმიერი ოცნების ახდენის შესაძლებლობაში უნდა დაარწმუნოს. მნიშვნელობა არ აქვს, რომელ პროფესიას აირჩევს მოსწავლე; მთავარია, ჰქონდეს თავისუფალი არჩევანი, მომავალში ის საქმე აკეთოს, რომელიც გამოსდის, უყვარს და ბედნიერებას ანიჭებს.

გაკვეთილზე მასწავლებელმა ათასი გზით შეიძლება გაუღოს კარი თავისუფლებას. ეს მისსავე შინაგან



თანამედროვე სკოლისა და, უპირველესად, მასწავლებლის ამოცანა უნდა იყოს, შეუქმნას მოსწავლეს მაქსიმალურად თავისუფალი სივრცე, რათა მან დამოუკიდებლად ისწავლოს და განვითარდეს.

თავისუფლებაზეა დამოკიდებული, რომელსაც ანიჭებს მას შემოქმედებითობა, არაშაბლონური აზროვნება, განათლებისა და შემეცნებისკენ მუდმივი სწრაფვა, სხვათა გამოცდილების გაზიარების უნარი, სიახლეების მუდმივი გაცნობა და მათი დანერგვის წყურვილი, ძველი და ახალი გზების ორიგინალური სინთეზის სურვილი, მეთოდებისა და სტრატეგიების თავისი კლასისთვის მოდიფიცირების ჩვევა და სხვა.

- მან შეიძლება შესთავაზოს მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის დავალება, რათა მათ იგრძნონ, რომ კი არ აიძულებენ რამეს, არამედ თვითონ ირჩევენ;
- შეიძლება, მოსწავლეებმა თვითონვე მოიფიქრონ დავალება, რომელიც კონკრეტულ ამოცანასაც მიესადაგება;
- გაკვეთილზე გამოყოფილ დროში მოიფიქრონ შესასწავლ პრობლემასთან დაკავშირებული თავისუფალი თემა, რათა გამართონ დისკუსია, იმსჯელონ დამოუკიდებლად და თამამად გამოხატონ განსხვავებული თვალსაზრისები;
- გაკვეთილზე ხშირად მიეცეთ საშუალება, პრეზენტაციის სახით წარმოადგინონ თავიანთი ფოტოები, ნახატები, ვიდეოები;
- გაკვეთილზე გამოყოფილ დროში წარმოადგინონ ერთმანეთთან ჩაწერილი ინტერვიუები საყვარელ თემებზე, თამაშებსა თუ წაკითხულ წიგნებზე;
- იმსჯელონ თავისუფალი დროის შესახებ – როგორ პოულობენ მას და რას აკეთებენ იმისთვის, რომ თავი ბედნიერად იგრძნონ;
- მასწავლებელს არ უნდა დაენანოს დრო ამგვარი თავისუფალი აქტივობებისთვის;
- პედაგოგი უნდა ეცადოს, ყველა მოსწავლე (ექსტრავერტიც და ინტროვერტიც) ჩართოს პროცესში. ამისთვის სასურველია, მოსწავლეებს თანაბარი სიხშირით მისცეს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფურად გადასაწყვეტი ამოცანები.

განათლების ანალიტიკოსმა სალ ხანმა საჯარო სიტყვაში „ვისწავლოთ დაოსტატებისთვის და არა ტესტის ქულებისთვის“ ყურადღება მიაქცია თანდათან გართულებულ სასკოლო პროგრამებს, სახელმძღვანელოთა გადატვირთულობას. ხანდახან ეს იწვევს საგნის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის დაქვეითებას. მაგალითად, თუ მოსწავლემ რაიმე მიზეზით თავიდანვე არ შეისწავლა ალგებრის ანაბანა, მერე იმდენი ხარვეზი გაჩნდება, რომ შესაძლოა, ამ საგანში ძალიან უნიჭოდ მიიჩნიოს თავი და შეიძულოს კიდეც. სწორედ ამ დროს გამოჩნდება მასწავლებლის სტრატეგიული უნარი, კვლავ დააინტერესოს მოსწავლე, გაათავისუფლოს არასწორი თვითშეფასების ტყვეობისგან და ჩაუნერგოს რწმენა იმისა, რომ საკმაოდ მოქნილი აზროვნება აქვს, რათა მათემატიკა კარგად ისწავლოს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ცნობილი ფსიქოლოგის პიტერ გრეის სტატია „რატომ არ სურთ ბავშვებს სკოლაში სიარული: ევოლუციური შეუსაბამობა“. ის ეჭვქვეშ აყენებს, საზოგადოდ, სავალდებულო სწავლებას იმ ფორმით, როგორიც დღეს მთელ მსოფლიოშია. მისი აზრით, თანამედროვე სკოლის მოდელი არაეფექტურია, რადგან არ შეესაბამება ადამიანის ბიოლოგიურ მონაცე-

მებს. მისი აზრით, ადამიანს აქვს ინსტინქტები და არაცნობიერი მისწრაფება თავისუფლებისკენ, თვითგანვითარებისკენ. მას სურს, ისწავლოს საკუთარი ინტერესების მიხედვით, რასაც არაფერი აქვს საერთო განათლების ერთიან იძულებით უნიფიცირებულ (ერთგვაროვან) სისტემასთან. იგი ფიქრობს, რომ თანამედროვე სკოლები ბავშვების ინსტინქტებთან თანხმიერებაში კი არ არის, არამედ, პირიქით, მათ წინააღმდეგაა მიმართული. ბავშვების უმრავლესობას არ ეხალისება სკოლაში სიარული და ისინი პროტესტს სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ. ხან თავს მოიავადმყოფებენ, დავალებების მინიმუმს ასრულებენ, ხშირად ამასაც არ აკეთებენ, არღვევენ სასკოლო განაწესს. კარგი მოსწავლეებიც კი ცინიკურად აკრიტიკებენ სკოლას და მიიჩნევენ, რომ სასკოლო ცხოვრების მრავალი ელემენტი თუ პედაგოგთა მოთხოვნები სულელურია.

რა არის მათი ამბოხის მიზეზი?

მიუხედავად იმისა, რომ მშობლები თუ მასწავლებლები მოსწავლეებს წარმატების ერთადერთ გზად განათლებას უსახავენ, ისინი მაინც ვერ გრძნობენ მის საჭიროებას, ეს კი მათი ნელი და უხალისო სწავლის პროცესზე აისახება. პიტერ გრეის შემოაქვს „ევოლუციური შეუსაბამობის“ ცნება. ის იხსენებს, რომ კაცობრიობის წინაპართა ოთხმოცდაათი პროცენტი მონადირე-შემგროვებელი იყო. მას შემდეგ გარემო პირობები ძალიან შეიცვალა. ანთროპოლოგები ამტკიცებენ, რომ ერთადერთი სტაბილური წესი ცხოვრებისა, რომელსაც ადამიანთა ბიოლოგიური გვარი ცნობს, არის მონადირეობა-შემგროვებლობა. მიუხედავად კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი ნახტომისა, ბიოლოგიური თვალსაზრისით ადამიანს მაინც მონადირის ბუნება შერჩა, ამიტომ გადარჩენის ინსტინქტი დღესაც განსაზღვრავს მის არსებობას. ბავშვების მარტო დაძინების შიში და მონსტრების საწოლქვეშ წარმოდგენა უძველეს დროში რეალური იყო. მათ ემუქრებოდათ ვეფხვების, ტურების თუ სხვა მტაცებელთა მოულოდნელი სასიკვდილო თავდასხმები. შიშის ის ინსტინქტი დღემდე მკვიდრადაა ფესვგადგმული ჩვენში და მნიშვნელოვან ძვრებს იწვევს ადამიანის არსებაში.

ანთროპოლოგთა მტკიცებით, მონადირე-შემგროვებლებისთვის უმთავრესი ღირებულება თავისუფლება იყო. ისინი მიიჩნევდნენ, რომ არ შეიძლებოდა, ადამიანს იძულებით ეკეთებინა რამე. უძველესი ადამიანები ბავშვებსაც დიდებივით ექცეოდნენ, ამიტომ მიულებელი იყო ბრძანება და მორჩილების მოთხოვნა. ისინი თვითონ დაინახავდნენ, რა ჯობდა ტომის კეთილდღეობისთვის და შესაბამისად მოიქცეოდნენ. პიტერ გრეის აზრით, ათასობით წლის წინ სწორედ ეს იყო ადამიანთა საზოგადოების მაორგანიზებელი პრინციპი. ნადირობა და მოპოვება-შეგროვება ადამიანისგან ინიციატივასა და შემოქმედებით აქტივობას მოითხოვდა. ისინი ერთმანეთზე ზემოქმედებას ახდენდნენ, რადგან გამოცდილებას უზიარებდნენ. მათ ესმოდათ, რომ ბავშვები გაიზრდებოდნენ თავისუფლები, თავდაჯერებულები, პასუხისმგებლობიანები, შემოქმედებითები. ტომში ცხოვრება კი მათ მორალურ საყრდენს აძლევდა და ქცევის მოდელებს უნერგავდა. ისინი თავისუფალნი იყვნენ, დიდხანს თამაშობდნენ და დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ, შემეცნების არეალს დამოუკიდებლად იფართოებდნენ. რამის სწავლა გულის კარნახით ხდებოდა ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის, ახლის შეცნობისკენ მიდრეკილების, ურთიერთობებისკენ სწრაფვის წყალობით.

დღეს კი ერთ ადგილას ხანგრძლივად ჯდომა, მასწავლებლის მოსმენა, დავალების მორჩილად შესრულება მოსწავლეთა შინაგან სამყაროში პროტესტს იწვევს. შინაგანი ხმა მათ სულ სხვა რამეს უკარნახებს: რომ თვითონ უნდა აკონტროლონ საკუთარი ქცევა, შეიძინონ მხოლოდ ის უნარები, რომლებიც ინდივიდუალურად სჭირდებათ, დამოუკიდებლად მოიძიონ კითხვებზე პასუხები. მათ სურთ, ცხოვრებაში დააკვირდნენ რეალურ ადამიანებს და არა საკლასო ოთახში. უძველეს დროში თუ ბავშვს არ ექნებოდა სურვილი, საკუთარი გზით ესწავლა და ევლო, ის ვერ მოერგებოდა ცხოვრებას და დაიღუპებოდა.

თანამედროვე სკოლისა და, უპირველესად, მასწავლებლის ამოცანა უნდა იყოს, შეუქმნას მოსწავლეს მაქსიმალურად თავისუფალი სივრცე, რათა მან დამოუკიდებლად ისწავლოს და განვითარდეს. მართლაც, როგორც პიტერ გრეი ფიქრობს, განათლება უნდა იყოს არა ვერტიკალური, „ზემოდან ქვემოთ“ მიმართული, არამედ, პირიქით. ინიციატივები მოსწავლეებისგან უნდა მოდიოდეს და ამის წყაროდ თუ საფუძვლად მათივე შინაგანი მოტივაციის გაჩენა თუ გაღვიძება იქცეს. ამას კი სხვადასხვა მეთოდითა და სტრატეგიით წახალისება სჭირდება, რათა სკოლაში და გაკვეთილზე მუდამ ღია იყოს კარი თავისუფლებისთვის.

მაია ფირჩხაძე

დიფერენცირებული დავალებები ეფექტური შედეგებისთვის

დიფერენცირებული დავალებების შეთავაზებით მასწავლებელი ქმნის ისეთ სიტუაციას, რომელშიც ყველა დონის მოსწავლის ცოდნა და უნარები გამოვლინდება. ასეთი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, აჩვენებს მის დინამიკას, ათვისებული ცოდნისა და უნარების ხარისხს.

სასწავლო პროცესის ეფექტიანობას მოსწავლეთა ეფექტური შედეგები განსაზღვრავს, რომელთა მისაღწევად ეფექტური საშუალებებია საჭირო. დიფერენცირებული დავალება ამ კუთხით გამორჩეულია. ის უშუალო ზეგავლენას ახდენს მოსწავლის:

- ზრდაზე,
- მოტივაციაზე
- და ეფექტურობაზე.

ამ დავალებათა ინდივიდუალური სტილი და თავისებურებები ქმნის „წარმატების სიტუაციას“, რომელიც განსხვავებული უნარების, ცოდნის, მოტივაციისა და ინტერესების მქონე მოსწავლეებს წინსვლის რეალურ შანსს აძლევს, უფრო მეტიც, ეხმარება მათ, „დაგეგმონ“ წარმატება.

დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას:

1. მასწავლებელმა ზუსტად იცის, რა არის მნიშვნელოვანი გაკვეთილში;
2. მასწავლებელი აცნობიერებს, აფასებს და ეყრდნობა მოსწავლეთა შორის განსხვავებას;
3. სწავლება და შეფასება ურთიერთკავშირშია;
4. მასწავლებელი აკვირდება და არეგულირებს შინაარსს, პროცესსა და შედეგს;
5. მოსწავლეთა ინდივიდუალური წარმატება და წარმატების მაქსიმალური ზრდა – ორი მთავარი მიზანია;
6. სწავლების ყოველ ეტაპზე (დაგეგმვა, სწავლება, შეფასება) ლავირება აუცილებელია დიფერენციაციის განსახორციელებლად.

დიფერენცირებული სწავლებისას ყურადღება ექცევა შემდეგ კომპონენტებს:

- გარემოს დიფერენცირებას,
- შინაარსის დიფერენცირებას,
- პროდუქტის დიფერენცირებას,
- პროცესის დიფერენცირებას,
- და სწავლის მოდალობების დიფერენცირებას.

დიფერენცირებული დავალების ნიმუში ისტორიული ხასიათის ტექსტთან მუშაობის დროს:

საგანი – ისტორია; კლასი – VII; თემა – ბრინჯაოს ხანა/ძველი აღმოსავლეთი

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ტექსტს პუნიკური ომების შესახებ და სთხოვს:

დავალება N1. „წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ ცხრილი“:

N	კითხვა	ძირითადი მინიშნებები ტექსტში
1	ჰანიბალის არმიის თავდასხმა რომის ჯარზე	
2	კანესთან ბრძოლა ძვ. წ. 216 წელს	
3	ომის დასასრული	

დავალება N2. წაიკითხეთ ტექსტი და ასოციაციის მიხედვით იპოვეთ პასუხი კითხვაზე: „რომელია ზედმეტი?“

N	ძირითადი ცნებები, ტერმინები, ფაქტები, პერსონალიები, თარიღები	პასუხები
1	ჰანიბალი	
2	„ბატებმა იხსნეს რომი“	
3	ესპანეთი	
4	ანძა	
5	კართაგენი	
6	ძვ. წ. 202 წელი	
7	გალები	
8	ნიბელუნგები	
9	სციპიონი	
10	აღლუმი	

დავალება N3. წაიკითხეთ ტექსტი და იპოვეთ „ძირითადი სიტყვები“ და მათი დამახასიათებელი ნიშნები:

N	ცნების, ტერმინის დამახასიათებელი ნიშანი	ცნების, ტერმინის დასახელება
1	რომაული ფლოტი	_____
2	_____	რომის სენატი
3	ფართო ველი, დაბლობი ქალაქის კედელთან, სადაც იკრიბებოდნენ რომის მოქალაქეები	_____
4	_____ _____	სენატი
5	კუნძული, რომლის დაუფლებისთვისაც ერთმანეთს ებრძოდნენ რომი და კართაგენი	_____
6	_____	სახალხო კრება

ამ ტიპის დავალებები ხელს უწყობს პროდუქტის დიფერენცირებას, ძირითადი ცნებების, ტერმინების გააზრებას, მთავარი სათქმელის, არსებითი შინაარსის ამოღებას ტექსტიდან.

დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსწავლის მოსწრების დონე. ამ მხრივ, მოსწავლეები ძირითადად 3 დონედ იყოფიან: სუსტ, საშუალო და ძლიერ მოსწავლეებად.

- **სუსტი** – არასაკმარისად მომზადებული მოსწავლეები არიან ისინი, რომლებიც დიდ ინტერესს არ ამჟღავნებენ ისტორიის საგნის მიმართ და თითქმის არ გააჩნიათ ისტორიულ მასალასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. მათ არ შეუძლიათ ისტორიული მასალის აღქმა, წარმოსახვა, გადამუშავება, ემოციური დამოკიდებულების გამომჟღავნება, დამოუკიდებლად გაანალიზება და შედარება. ისინი მასალას ითვისებენ მრავალჯერადი გამეორების გზით და ამას ყოველთვის სათანადოდ ვერც ახერხებენ, დავალებების შესრულებას ანდომებენ ბევრ დროს;
- **საშუალო** – შედარებით განვითარებული უნარების მქონე მოსწავლეები არიან ისინი, რომლებსაც უჭირთ, ერთბაშად აღიქვან საკითხის არსი, გამოყონ კანონზომიერებები. ამისთვის სჭირდებათ გარკვეული დრო, მაგრამ შეუძლიათ დაინახონ ზოგადში კერძო და კერძოში – ზოგადი. სათანადო დახმარების პირობებში ამ ჯგუფის მოსწავლეებს შეუძლიათ, თავი გაართვან მაღალი დონის მოთხოვნებსაც;
- **ძლიერი** – ეს ის მოსწავლეები არიან, რომლებიც დამოუკიდებლად ასრულებენ რთულ სავარჯიშოებს, შეუძლიათ ცოდნის გამოყენება უცნობ სიტუაციაში და აქვთ შემოქმედებითი უნარები, გამოყოფენ საკითხიდან არსებითს, ძირითადს, კანონზომიერს, იღებენ მაღალ შეფასებებს.

დიფერენციაციის დროს ნებისმიერი დავალება – მიმდინარე, თემატური და შემაჯამებელი – სხვადასხვა დონისაა და განსხვავებულია უნარ-ჩვევების კუთხითაც. მოსწავლეს შეუძლია,შეცვალოს დავალება ან ხელახლა შეასრულოს იმავე დონის სხვა დავალება. **შეფასება** დამოკიდებულია დავალების სირთულეზე, **მოსწავლეთა თვითშეფასებაში** კი გამოჩნდება, რამდენად სწორად იქნა შერჩეული დონე.

დიფერენცირებული დავალებების ალგორითმები:

ცოდნის დონე	დიფერენცირებული დავალების სახეები		
	კითხვა	ამოცანა	დავალება
1 დონე – მოსწავლე ავლენს ბაზისურ ცოდნას და უნარებს („სუსტი დონე“) (შეფასება „3-4-5-6“) მიზანი: ცოდნის აღქმა / გააზრება / გაცნობიერება / დამახსოვრება	რა ეწოდება... რომელ წელს... ვინ დაწერა... რას გულისხმობს... რა არის გამოსახული...	სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოების შესრულება შესაბამისი ალგორითმის მიხედვით (მასწავლებლის დახმარებით)	შემოქმედებითი ხასიათის: მოიყვანე მაგალითები (დაასახელე ფაქტები)... მტკიცებულება, არგუმენტი... გვიამბე... რა მოხდა...

ცოდნის დონე	დიფერენცირებული დავალების სახეები		
	კითხვა	ამოცანა	დავალება
მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ინფორმაცია მთელი კლასისთვისაა გამიზნული და გულისხმობს სხვადასხვაგვარი სავარჯიშოების შესრულებას, როგორიცაა: – გამოტოვებული სიტყვების ჩასმა; – არასაკმარისი ინფორმაციის მიგნება; – ჭეშმარიტი და მცდარი ინფორმაციის განსხვავება / ტექსტში ამოცნობა.			**პრაქტიკული ხასიათის:** დახატე სქემა (ნახატი, გრაფიკი)... წაიკითხე ნაწყვეტი... შეადგინე გეგმა...
2 დონე – მოსწავლე ავლენს ცოდნის და უნარების „საშუალო“ დონეს (შეფასება – „7-8“) **მიზანი:** ცოდნის გამოყენება პრაქტიკულ კონტექსტში – 2-3 სავარჯიშოს შესრულება	როგორი მიზანია... რა აერთიანებთ... რით განსხვავდება... რატომ... რა არის ძრითადი აზრი... რით აიხსნება ის, რომ...	დავალება, რომელსაც მოსწავლე ალგორითმის მიხედვით დამოუკიდებლად ასრულებს და იყენებს ანალიზს, კრიტიკულ აზროვნებას	**შემოქმედებითი:** იპოვე ფაქტები, რომლებიც ამტკიცებს... შეადარე... ახსენი... **პრაქტიკული:** ააგე სქემა (დიაგრამა, გრაფიკი)... შეავსე სქემა... შეადგინე სქემა ნახატის მიხედვით...
3 დონე – მოსწავლე ავლენს ცოდნის და უნარების „მაღალ დონეს“ და შემოქმედებითად უდგება საკითხს (შეფასება „9-10“) **მიზანი:** ცოდნის შემოქმედებითად გამოყენება – მოსწავლეს არ აქვს ამოცანის/ პრობლემის გადაწყვეტის მზა შაბლონი/ნიმუში; – ახალ სიტუაციაში თავად გადაწყვეტს, რა და როგორ გამოიყენოს და ორიგინალურად, შემოქმედებითად გადაწყვეტს პრობლემას.	რა განსხვავება შეიძლება დავინახოთ... დაამტკიცე ან უარყავი მოსაზრება... რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ... რა პირობებია აუცილებელი იმისთვის, რომ...	დავალება, რომელიც ითხოვს ცოდნის გამოყენებას ახალ (არასტანდარტულ) გარემოში; ცოდნის ინტეგრირება	**თეორიული:** გააკეთე შედარებითი ანალიზი (კლასიფიკაცია); განაზოგადე... შეაფასე მნიშვნელობა... როგორ წარმოგიდგენია, რა გზით შეიძლება გადაიჭრას პრობლემა... გამოიტანე დასკვნა... დაწერე თხზულება... მოამზადე პროექტი...

ამ დავალებათა ინდივიდუალური სტილი და თავისებურებები ქმნის „წარმატების სიტუაციას“, რომელიც განსხვავებული უნარების, ცოდნის, მოტივაციისა და ინტერესების მქონე მოსწავლეებს წინსვლის რეალურ შანსს აძლევს, უფრო მეტიც, ეხმარება მათ, „დაგეგმონ“ წარმატება.

პრაქტიკული მაგალითი VII კლასის ისტორიის სასწავლო კურსიდან

თემა – პრეისტორია/ქვის ხანა

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს „მოსწავლის სამახსოვროს“:

მოსწავლის სამახსოვრო

1. ყურადღებით წაიკითხე დავალების შენი ვარიანტი;
2. გაიაზრე ყოველი მოქმედება;
3. შენი სურვილები შეუსაბამე სასწავლო ამოცანას;
4. ამოირჩიე ის დავალება, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება შენს შესაძლებლობებს;
5. შეეცადე, საკუთარ თავს აუხსნა, რომ საუკეთესო არჩევანი გააკეთე;
6. ახლა მთელი ყურადღება მიმართე დავალების შესრულებისკენ;
7. გააანალიზე და შეაფასე მიღებული შედეგები და შენი არჩევანის სისწორეში დარწმუნდი.

დიფერენცირებული დავალების შესრულების ინსტრუქცია

შეასრულე დავალება „თავისუფალი არჩევანის“ მიხედვით:

- **ვისაც სურს ცოდნის გამოვლენა და განმტკიცება, ამოირჩიოს დავალება N1;**
- **ვინც ფიქრობს, რომ მასალა მტკიცედ აქვს ათვისებული და შეუძლია ცოდნის მაღალ დონეზე გამოვლენა, ამოირჩიოს დავალება N2;**
- **ვინც ფიქრობს, რომ კარგად იცის მასალა და სურს, თავისი ძალები და შესაძლებლობები გამოავლინოს, ამოირჩიოს დავალება N3.**



გაკვეთილის თემა	სუსტი (ბაზისური) დონე	საშუალო დონე	მაღალი დონე
ადამიანის წარმოშობა	დაასახელე უძველესი ადამიანის შრომის იარაღი.	რით განსხვავდებოდა უძველესი ადამიანი თანამედროვე ადამიანისგან? რა აქვთ მათ საერთო?	მოიგონე მოთხრობა უძველეს ადამიანზე.
უძველესი ადამიანიდან გონიერი ადამიანისკენ	დაასახელე გამოგონება, რის გამოც უძველეს ადამიანს ეწოდა „გონიერი“.	განსაზღვრე ცეცხლის როლი ადამიანის ცხოვრებაში.	გააანალიზე, რით განსხვავდებოდა გვაროვნული თემი და სამეზობლო თემი ერთმანეთისგან.
უძველესი ადამიანის რელიგია და კულტურა	რა არის რელიგია? როგორ წარმოიშვა რელიგია? რას სცემდა თაყვანს უძველესი ადამიანი?	ყველაზე ხშირად რას გამოსახავდნენ უძველესი ადამიანები თავიანთ ნახატებზე? რით ახსნი ამას?	შეადგინე მოთხრობა ქვის ხანის ადამიანზე, რომელიც უძველესი მხატვრების ნახატებით სარგებლობდა.
ქვის ხანიდან ცივილიზაციამდე	განმარტე, რას ნიშნავს ცნება „სახელმწიფო“, დაასახელე მისი დამახასიათებელი ნიშნები.	რატომ გამოეყო ხელოსნობა და ვაჭრობა მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას? რა გავლენა მოახდინა მან იმდროინდელი საზოგადოების განვითარებაზე?	რით განსხვავდება სახელმწიფო ქვის ხანის საზოგადოებრივი გაერთიანებისაგან? ააგე შედარებითი ცხრილი.

დიფერენცირებული დავალებების შეთავაზებით მასწავლებელი ქმნის ისეთ სიტუაციას, რომელშიც ყველა დონის მოსწავლის ცოდნა და უნარები გამოვლინდება. ასეთი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, აჩვენებს მის დინამიკას, ათვისებული ცოდნისა და უნარების ხარისხს; იქმნება რეალური ინკლუზიური სივრცე, არცერთი მოსწავლე არ არის ჩამორჩენილი; იზრდება მოსწავლის დამოუკიდებლობა, შრომისმოყვარეობა, თავდაჯერებულობა, შემოქმედებითობა, მოტივაცია და შემეცნებითი ინტერესი. დიფერენცირებული დავალებები ეფექტურია სწავლისთვისაც და შეფასებისთვისაც და ამიტომ წარმატებით გამოიყენება სასწავლო პროცესში.

თინათინ ზარდიაშვილი

რა იციან მოსწავლეებმა გარემოს დაცვითი მიმართულებით

საქართველოს რვაასამდე სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“. პროექტის ერთ-ერთი ამოცანაა კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმის განვითარება და დანერგვა. ამ ამოცანის განსახორციელებლად პროექტში ჩართული საჯარო სკოლები გეგმავენ და ახორციელებენ სასკოლო პროექტებს.

საქართველოს რვაასამდე სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“. პროექტის ერთ-ერთი ამოცანაა კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმის განვითარება და დანერგვა. ამ ამოცანის განსახორციელებლად პროექტში ჩართული საჯარო სკოლები გეგმავენ და ახორციელებენ სასკოლო პროექტებს. ერთი ასეთი პროექტი განხორციელდა სსიპ ქალაქ თბილისის N 147 საჯარო სკოლაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

პროექტის მიზანი იყო: კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა.

საბაზო საფეხურის მოსწავლეებში მეცხრე კლასში გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლება, კათედრებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, ინტეგრირებული კომპლექსური დავალებების ბანკის შექმნა.

პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ: ა) სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეები (დაახლოებით 180 მოსწავლე). პროექტი შერჩეულია მოსწავლეების სურვილის მიხედვით, ამიტომ დაინტერესება საკმაოდ მაღალია, ბ) მეცხრე კლასების საგნების მასწავლებლები – მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას, კონკრეტული მასწავლებელი კი გაიზიარებს კოლეგის გამოცდილებას. გ) მეცხრე კლასების დამრიგებლები – თემიდან გამომდინარე პროექტზე მუშაობა დამრიგებლებს დაეხმარება კლასის საათის დაგეგმვაში. პროექტის დაწყებამდე ჩატარდა მოსწავლეების გამოკითხვა. მისი ანალიზი წარმოდგენილია სტატიაში: **„რა იციან მოსწავლეებმა გარემოს დაცვითი მიმართულებით“**

გამოკითხვის ანალიზის შედეგად დაიგეგმა და სასწავლო წლის ბოლომდე განხორციელდა:

- სამი ინტეგრირებული კომპლექსური დავალება, (რომელიც შეუძლია გამოიყენოს როგორც ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელმა ცალ-ცალკე, ასევე ინტეგრირებულად; დავალებას დაემატება მაკროცნება, რომელიც ერთგვარად გამჭოლ კომპეტენციას წარმოადგენს).
  1. ერთი დავალება შეეხებოდა **ავტომობილის „Air Bag”-ის** დასამზადებელ მასალას და მის გავლენას გარემოზე;
  2. მეორე დავალება იძლევა **მჟავა წვიმების** იმიტაციის საშუალებას;
  3. მესამე კი **წყლის სისუფთავის** მნიშვნელობასა და გამწმენდი ხელსაწყოს დამზადებას მოიაზრებდა;
- ჟურნალ mastsavlebeli.ge-ზე გამოქვეყნებული რამდენიმე აქტივობა: **„დოკუმენტური და მხატვრული ფილმები კლიმატის ცვლილებაზე“ პირველი** და **მეორე ნაწილი;**
- მაიკლ ჯექსონის **სიმღერის** „Earth Song“ ანალიზი.

ჩამოთვლილი აქტივობების გამოყენების შემდეგ იგივე სამიზნე ჯგუფში ჩატარდა **Post კვლევა.** მისი ანალიზით კი გამოიკვეთა:

1. იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომელიც თვლიდა, რომ გარემოს დაბინძურება გულისხმობს ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურებას, გაიზარდა 30.56%-ით **(სურ. 1.ა);**
2. იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ სხვა რაიონში დაბინძურებული ჰაერი გავლენას ახდენს მისგან მოშორებულ

1. რა შეიძლება ჩაითვალოს დაბინძურებად?



2. შეიძლება რომ კასპში მოქმედმა ცემენტის ქარხნის გამონაბოლქვმა გავლენა მოახდინოს თბილისის ჰაერზე?



(სურ. 1 ა და ბ)

ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებზეც, გაიზარდა 6.67%-ით, ეს ზრდა მოხდა როგორც დადებითი, ასევე ,,არ ვიცი" პასუხების შემცირების ხარჯზე **(სურ 1.ბ.);**

3. კითხვაზე ,,ხორციელდება თუ არა ჰაერის კვლევა" დადებითი პასუხი შემცირდა 7%-ით, უარყოფითი პასუხი გაიზარდა 3.37%-ით **(სურ. 2.ა);**
4. კითხვაზე „უნდა ჰქონდეს თუ არა ავტომობილს კატალიზატორი?" დასაბუთებული დადებითი პასუხი გაიზარდა 1%-ით; დაუსაბუთებელი დადებითი პასუხი გაიზარდა 1%ით **(სურ. 2.ბ.);**

3. როგორ ფიქრობთ, ხორციელდება თბილისში ჰაერის სემადგენლობის კვლევა?



4. რა მნიშვნელობა აქვს მანქანის კატალიზატორს?



(სურ. 2 ა და ბ)

5. მოსწავლეების პასუხი შეკითხვაზე: ,,რატომ არ შეიძლება ხილისა და ბოსტნეულის მოყვანა გზის პირებზე", არ ვიცი – შემცირდა 0.89%-ით, თუმცა მიზეზად ცხოველების ფაქტორს 1.89%-ით მეტი მოსწავლე ასახელებს, ავტომობილის გამონაბოლქვს კი – 1%-ით ნაკლები **(სურ 3.ა).**
6. ამაზონის ტყის ხანძარს გლობალურ პრობლემად აღიქვამს 67.33%-ით მეტი, საქართველოს სამომავლო საფრთხეზე კითხვას დადებითად პასუხობს მოსწავლეების 74.11%-ით მეტი **(სურ 3.ბ);**
7. კითხვაზე: ,,რა იცი გლობალური დათბობის შესახებ?" Pre: გაცემული პასუხების ანალიზის დროს გამოვლინდა, რომ მოსწავლეების უმეტეს ნაწილს გამოყენებული ჰქონდა ინტერნეტ სივრცეში არსებული ინფორმაცია. მხოლოდ 2%-ის პასუხში ჩანდა მოსწავლის აზრი. ამიტომ ვერ დგინდება, გააზრებული აქვთ თუ არა მოსწავლეებს საკითხი.

   Post: მოსწავლეების 78% სწორად პასუხობს შეკითხვას, მათგან ნახევარზე მეტი საკუთარ აზრს გამოხატავს;
8. კითხვაზე: ,,რა შეიძლება იყოს მჟავა წვიმის გამომწვევი?" Pre : მოსწავლეების 87% იძლევა მჟავა წვიმის ზუსტ განმარტებას. თუმცა წინა შეკითხვაზე პასუხების მსგავსად აქაც იკვეთება, რომ განმარტება გადმოწერილა და არაა გააზრებული. 13% -მა არ იცის, ან არ აქვს ზუსტი პასუხი. Post: მოსწავლეების 91%-ის პასუხი დადებითი და არგუმენტირებულია, მათი დიდი ნაწილი ჩატარებული ექსპერიმენტიდან გამომდინარე ასაბუთებს პასუხს;
9. საფრთხის პრევენციის მიზნით : Pre: მოსწავლეების დიდი ნაწილი თვლის, რომ აუცილებელია ხეების დარგვა, სკოლის და რომელიმე არჩეული ტერიტორიის დასუფთავება, მასწავლებლების მიერ მომზადებული პრეზენტაციები და საუბრები. 2%-ს არ აქვს კითხვაზე პასუხი.

   Post: წინა შედეგებს დაემატა მხოლოდ ,,მსგავსი პროექტების განხორციელება" და ,,ეკოტურების მოწყობა";
10. კითხვაზე „რა შემიძლია გავაკეთო მე, კონკრეტულმა ადამიანმა" ?

   Pre: N1 ,,ჩემი ძალები, როგორც მოსწავლის, საკმაოდ შეზღუდულია. ბევრი ძალა არ გამაჩნია. მე როგორც ერთ მოსწავლეს, შემიძლია თავი შევიკავო გარემოს დაბინძურებისგან. შემიძლია მეგობრებსაც მივუთითო".

   Post: N1 ,,ჩემი ძალები, როგორც მოსწავლის, ვფიქრობ, არც ისე შეზღუდულია. ბევრი ძალა გამაჩნია კლასელების და ოჯახის წევრების გვერდში დგომით. მე, რო-

5. რატომ არ შეიძლება გზის პირას ხილისა და ბოსტნეულის მოყვანა?



6. როგოე ფიქრობ, შეიძლება ამაზონის ტყის ხანძარმა საქართველოს მოსახლეობას შეუქმნას საფრთხე?



(სურ. 3 ა და ბ)

პროექტის მიზანი იყო: კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა. საბაზო საფეხურის მოსწავლეებში მეცხრე კლასში გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლება, კათედრებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, ინტეგრირებული კომპლექსური დავალებების ბანკის შექმნა.

გორც ერთ მოსწავლეს, შემიძლია თავი შევიკავო გარემოს დაბინძურებისგან. შემიძლია მეგობრებსაც მივუთითო".

N2 ,,მე არ შემიძლია გადავარჩინო პლანეტა ქარხნების გამონაბოლქვისგან, დაბინძურებისგან და ბევრი სხვა ფაქტორისგან, თუმცა შემიძლია პატარა წვლილი შევიტანო. მაგალითად: პლასტმასის ნივთები არ დავყარო ქუჩაში.

მოსწავლეების უმრავლესობა ნაგვის სეპარაციას მიიჩნევს სწორ ქმედებად;

11. კითხვაზე: ,,რა მნიშვნელობა აქვს წყლის სისუფთავის დაცვას?"

    Pre : 94% თვლის, რომ წყლის სისუფთავე მნიშვნელოვანია, მათი 60% არგუმენტებით ამყარებს საკუთარ მოსაზრებას. 6% კითხვას არ პასუხობს ან არ იცის წყლის სისუფთავე მნიშვნელოვანია თუ არა ადამიანისთვის.

    Post : 96.5% თვლის, რომ წყლის სისუფთავე მნიშვნელოვანია, მათი 63% არგუმენტებით ამყარებს საკუთარ მოსაზრებას. 3.5% კითხვას არ პასუხობს, ან არ იცის წყლის სისუფთავე მნიშვნელოვანია თუ არა ადამიანისთვის;

12. მოსწავლეების უმრავლესობის დამოკიდებულება შეიცვალა;

17. როგორ შეიცვალა შენი დამოკიდებულება გარემოს მიმართ პროექტში მონაწილეობის შემდეგ?

90 Responses

20	anonymous	პირველად დავრეკ ხე. და გავიგე რომ თუწდაც ერთ დარგულ ხეს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.
21	anonymous	უფრო მეტად გავაანალიზე რა მნიშვნელობა აქვს გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარება
22	anonymous	გავიგე თუ რამდენად მნიშვნელოვანია გარემოს დაცვა.
23	anonymous	არ შეიცვალა. გარემოს პროექტამდეც გუფრტხილდებოდი ანლაც გუფრთხილდები და მოძავალშიც მოვუფრტხილდები.
24	anonymous	პროექტში მოწაწილეობის შემდეგ, მე გამეზარდა დამოკიდებულება გარმოსთან და გამიჩნდა სურვილი რომ უფრო მეტად ვიზრუნო მასზე.
25	anonymous	შეიცვალა

13. მოსწავლეების 1.11% -სთვის პროექტზე მუშაობა არ იყო საინტერესო; 98.89 % -სთვის საინტერესო იყო, თუმცა დასაბუთებული პასუხი მხოლოდ 75%-ს ჰქონდა გაცემული.

კვლევის ნაკლოვანებები:

1. მეორე ეტაპზე მოსწავლეების ჩართულობის შემცირება, რაც ცალკეული მოსწავლის ან კლასის დისტანციურ სწავლებაზე გადასვლას უკავშირდება; პირველ გამოკითხვაში 128 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, მეორეში კი 90-მა (ეს ისედაც გათვალისწინებული იყო პანდემიით გამოწვეულ რისკებში);
2. კვლევის მეთოდებში, მიუხედავად იმისა, რომ ღია დაბოლოებიანი შეკითხვები სჭარბობდა და Post კვლევაში გაიზარდა დასაბუთებული პასუხების რიცხვი, მონაცემების სანდოობის გაზრდის მიზნით, უკეთესი იქნებოდა ფოკუს ჯგუფების ჩატარება;

დასკვნა:

- პროექტმა ხელი შეუწყო მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას, მხოლოდ რამდენიმე პროცენტით გაუმჯობესდა საერთო შედეგი;
- კომპლექსური დავალებების განხორციელებამ ხელი შეუწყო მოსწავლეების ინტერესისა და ჩართულობის გაზრდას (კვლევები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები);
- პროექტის წარმატებით განხორციელებას ხელი შეუწყო ელ. ჟურნალში ,,mastsavlebeli.ge"-ზე გამოქვეყნებული სტატიების ავტორის *(თემურ სუყაშვილი)* გამოცდილების გაზიარებამ;
- აქტივობების სწორად და სრულყოფილად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია კათედრების თანამშრომლობა;
- სასკოლო პროექტის განხორციელებაში მნიშვნელოვანია სკოლის ადმინისტრაციისა და კლასების დამრიგებლების მაქსიმალური ჩართულობა;
- სასკოლო პროექტის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია პროექტის მართვის ჯგუფის წევრების კოორდინირებული მუშაობა;

გურამ მეგრელიშვილი

მხატვრული წერის გაკვეთილები

წერილების ეს ციკლი თვითმასწავლებელია და ყველას, ვისაც საკუთარი მხატვრული ტექსტის შექმნაზე უფიქრია, გამოადგება. გამოადგებათ პედაგოგებსაც, რადგან დაეხმარებიან პატარებს, თავიანთი უნიკალური და საინტერესო სამყარო შექმნან. გამოადგებათ მშობლებსაც, რათა დაინახონ, რას ფიქრობენ, რას გრძნობენ და რა აწუხებთ ან უხარიათ მათ შვილებს.

მწერალი სრულიად შემთხვევით გავხდი. ეს გრძელი, მოსაწყენი ამბავია, მე მინდა, სხვა რამ მოგიყვეთ:

როდესაც ჯერ სკოლაში, მერე კი „აზროვნების აკადემიაში“ საავტორო კურსის წაყვანა დავიწყე, მივხვდი, რომ უამრავ ბავშვს აქვს თავისი სათქმელი, სათქმელი, რომელიც სრულიად უნიკალურია.

რაც უფრო იზრდება ადამიანი, მით მეტად შორდება თავის ამ უნიკალურობას და ემსგავსება სხვას, რომელიც, თავის მხრივ, ვიღაც სხვის ანარეკლია.

მაშინ მივხვდი, რომ უბრალოდ არ მქონდა უფლება, მოსწავლეებისთვის არ მიმეცა შანსი, მათაც დაეწყოთ წერა, მხატვრული წერა, როგორც ნამდვილ ავტორებს.

წერილების ეს ციკლი თვითმასწავლებელია და ყველას, ვისაც საკუთარი მხატვრული ტექსტის შექმნაზე უფიქრია, გამოადგება. გამოადგებათ პედაგოგებსაც, რადგან დაეხმარებიან პატარებს, თავიანთი უნიკალური და საინტერესო სამყარო შექმნან. გამოადგებათ მშობლებსაც, რათა დაინახონ, რას ფიქრობენ, რას გრძნობენ და რა აწუხებთ ან უხარიათ მათ შვილებს.

რამდენიმე თვეში ამ თვითმასწავლებელს წიგნად გამოვცემ, რომელიც პედაგოგებისთვის შეიძლება ერთგვარი დამხმარე სახელმძღვანელო გახდეს, ბავშვებისთვის კი ერთგვარი სათამაშოც. მანამდე, გადავწყვიტე, ჟურნალ „მასწავლებლის“ აუდიტორიას გავუზიარო გამოცდილების ნაწილი, როგორ ასწავლონ მოზარდებს მხატვრული წერა.

ტექსტის ინსტრუქცია მარტივია: მოზარდი იღებს კონკრეტულ დავალებას, რომლის შესრულებაც გაკვეთილიდან გაკვეთილამდე ევალება. პედაგოგი ამოწმებს ამ ნაწერს და ცალკეული სავარჯიშოების პარალელურად დამატებით დავალებასაც არ იშურებს მოსწავლისთვის.

ტექსტში მეტი სიცხადის შესატანად გადავწყვიტე, დავალებების ნაწილი ჩემი 10 წლის შვილისთვის, მათესთვის მიმეცა. შინაარსობრივ და მხატვრულ მხარეში არ ჩავრეულვარ, მხოლოდ მცირედი კორექტურა გავაკეთეთ ერთად (ეს ცალკე სავარჯიშოა, როდესაც მისივე შექმნილ „ნაწარმოებზე“ ასწავლი ბავშვს გრამატიკის ძირითად წესებს).

პირველი თავი

სავარჯიშო პირველი

მოდი, მოვიფიქროთ ნამდვილი პერსონაჟი.

იმისთვის, რომ დავწეროთ ჩვენი წიგნი, უპირველესად საჭიროა, გამოვიგონოთ პერსონაჟი, რომელიც ძალიან დასამახსოვრებელი იქნება.

როგორ შევქნათ ასეთი გმირი?

საამისოდ საჭიროა, თვითონ ვიცნობდეთ მას, ვისზეც დავწერთ. გასაცნობად რამდენიმე კითხვას უნდა ვუპასუხოთ გუნებაში, მერე კი ამ კითხვებზე პასუხების მიხედვით დავწეროთ პირველი სავარჯიშო, რომელიც მოგვიანებით ძალიან, ძალიან გამოგვადგება.

რა ჰქვია და რა გვარია თქვენი გმირი? მეტსახელი თუ აქვს?

ტექსტის ინსტრუქცია მარტივია: მოზარდი იღებს კონკრეტულ დავალებას, რომლის შესრულებაც გაკვეთილიდან გაკვეთილამდე ევალება. პედაგოგი ამოწმებს ამ ნაწერს და ცალკეული სავარჯიშოების პარალელურად დამატებით დავალებასაც არ იშურებს მოსწავლისთვის.

რა ასაკისაა?

როგორი გარეგნობა აქვს? (დეტალურად აღწერეთ გარეგნობა)

რა მიზნები აქვს?

რა სურვილები?

რაზე ოცნებობს?

რა უყვარს, რას ვერ იტანს?

რისი ეშინია? (ამ კითხვას ბევრი გაურბის, მაგრამ აუცილებელია, რადგან თუ გვეცოდინება, რისი ეშინია გმირს, ადვილად მოვუფიქრებთ განსაცდელებსაც, რაც თავგადასავლისთვის მნიშვნელოვანი მომენტია)

რა საიდუმლოს მალავს?

დაწერეთ ერთი მნიშვნელოვანი (დიახ, მნიშვნელოვანი და არა უბრალო) ამბავი თქვენი გმირის ცხოვრებიდან.

> მაგალითი (ამ და ყველა სხვა მაგალითის ავტორია მათე მეგრელიშვილი, 10 წლის):

იყო ერთი 12 წლის ბიჭი, სახელად ბუსი, რომელსაც შავი, ტალღოვანი თმა, წაბლისფერი თვალები, გარუჯული კანი, ღონიერი ხელ-ფეხი და ოდნავ წვრილი, სასაცილოდ წვრილი ხმა ჰქონდა.

ბუსის გველების ეშინოდა. არასოდეს ენახა, მაგრამ წარმოდგენაზეც კი აკანკალებდა, ამიტომ ისეთ ადგილებს უფრთხოდა, სადაც ქვეწარმავლები ბუდობენ ხოლმე. სიმართლე რომ ვთქვათ, ლომების, ზვიგენების და სხვა მტაცებლებისაც ეშინოდა, მაგრამ ისე არა, როგორც გველების, რომელთა ხსენებაზეც ენაზე იკბენდა ხოლმე.

ბუსის საყვარელი საქმიანობა ვარჯიში, ვიდეოთამაშები და კითხვა იყო. ოცნებობდა გამხდარიყო მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი და მერე სხვებს დახმარებოდა, ამისთვის კი ცდილობდა, კარგად ესწავლა, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ მოსწონდა სწავლის პროცესი.

ბუსი ვერ იტანდა, როდესაც რამეს უსამართლოდ აბრალებდნენ. ამ დროს ძალიან ბრაზდებოდა და თავის მართლებას იწყებდა, რაც არც თვითონ და არც მის მეგობრებს არ მოსწონდათ.

ბუსის ერთი საიდუმლო ჰქონდა, რომელსაც ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც არ უზიარებდა, მაგრამ ამაზე სხვა თავებში მოგიყვებით.

მანამდე კი მინდა მოგითხროთ ერთი საინტერესო ისტორია, რაც ბუსის გადახდა თავს: როდესაც ის 10 წლის იყო, ბიძაშვილებთან ერთად აგარაკის უკან მდებარე უღრან ტყეში სოკოს მოსაგროვებლად წავიდა. მოულოდნელად ცა მოიქუფრა, გაწვიმდა და ბავშვებს გზა აებნათ. რამდენიმე საათი ტყეში გაატარეს, გაცივებას კი გადაურჩნენ. იკითხავთ, როგორ? ტანზე გაიხადეს და ტანსაცმელი დიდი ქვის ქვეშ დაალაგეს, რადგან ბუსის სადღაც წაეკითხა, რომ წვიმის დროს ტანსაცმელს თუ დამალავ, სხეული მალე გაშრება და მშრალ სამოსში აღარ გაცივდები.

როდესაც წვიმამ გადაიღო, მზემ გამოანათა, მაგრამ სახლისკენ მიმავალი ბილიკი დაკარგეს. ბავშვებს შეეშინდათ და ის-ის იყო, ტირილი უნდა მოერთოთ, რომ ბუსიმ აქაც იმარჯვა და სიხარულით თქვა: მოდი, ნაკადული ვიპოვოთ. რაკი წყალი თავდაღმართზე მიდის, სოფლამდე ჩავალთ და იქ უფროსები სახლის მოძებნაში დაგვეხმარებიანო. მართლაც, მოძებნეს პატარა მდინარე და გაუყვნენ გზას. ჩავიდნენ მეზობელ სოფელში და მერე სახლამდეც მშვიდობით მივიდნენ.

შეავსეთ თქვენი სურვილისა და ფანტაზიის მიხედვით, სულ ბოლოს კი შეაჯერეთ ინფორმაცია და მიეცით თხრობითი ფორმა, როგორც მაგალითშია ნაჩვენები.

რა ჰქვია და რა გვარია თქვენი გმირი?

რა ასაკისაა?

როგორი გარეგნობა აქვს? (დეტალურად აღწერეთ გარეგნობა)

რა მიზნები აქვს?

რა სურვილები?

რაზე ოცნებობს?

რა უყვარს, რას ვერ იტანს?

რისი ეშინია? (ამ კითხვას ბევრი გაურბის, მაგრამ აუცილებელია, რადგან თუ გვეცოდინება, რისი ეშინია გმირს, ადვილად მოვუფიქრებთ განსაცდელებსაც, რაც თავგადასავლისთვის მნიშვნელოვანი მომენტია)

რა საიდუმლოს მალავს? (ყველა ჩვენგანს აქვს რაღაც საიდუმლო. ეს საიდუმლო უნდა ჰქონ-

დეს თქვენს გმირსაც, რომელიც იცის მან, თქვენ და მალე ჩვენც, მკითხველებიც გავიგებთ. თუ ეს საიდუმლო კიდევ ვინმეს მოეხსენება, ესეც აღნიშნეთ, ამასაც გამოვიყენებთ ქვევით, როდესაც წიგნის წერას შევუდგებით).

დაწერეთ ერთი მნიშვნელოვანი (დიახ, მნიშვნელოვანი და არა



უბრალო) ამბავი თქვენი გმირის ცხოვრებიდან.

გმირის დაბადება

ყველა იბადება. ყველა არ იბადება ორიგინალურად, მაგრამ, მოდი, თქვენი გმირის დაბადებაც კი საინტერესო გავხადოთ. მოიფიქრეთ, სად, როგორ, რა ვითარებაში დაიბადა ის, ხომ არ მოხდა ამ დროს რაიმე მნიშვნელოვანი მსოფლიოში, იქნებ რთული კლიმატური ვითარება იყო, ან იმ წელს გაფრინდა ადამიანი მარსზე; იქნებ თითქოს უმნიშვნელო იყო დაბადების დღე, მაგრამ გაჩნდა თქვენი გმირი და დამჭკნარმა ყვავილებმაც კი იყვავილეს სიხარულით?

მაგალითი:

ბუსი 2009 წლის 18 ნოემბერს, ღამის პირველ საათზე დაიბადა. იმ ღამეს კოკისპირულად წვიმდა და საშინელი ჭექა-ქუხილი იყო. ახალშობილის ტირილი ჭექას ერწყმოდა. მამამ უთხრა თოთო ბუსის: ჩემო პატარავ, ასეთ ჭექა-ქუხილში რომ დაიბადე, ძლიერი ბიჭი გაიზრდებიო. დედა ილიმოდა და საყვარელ შვილს ნაზად უსმევდა თავზე ხელს.

ცოტა ხანში ყველაფერი დადუმდა და ამ მდუმარებას მხოლოდ წვიმის წყნარი წვეთების წკაპუნი არღვევდა.

ახლა კი მოიფიქრეთ საკუთარი გმირის დაბადების თქვენეული ვერსია.

სავარჯიშო მესამე

გაგვაცანით თქვენი გმირის ოჯახის წევრები, მეგობრები და ისინიც, ვისთანაც თქვენს გმირს არცთუ ისე კარგი ურთიერთობა აქვს. მოდი, ვიცოდეთ, ვინ ვინ არის თქვენი გამოგონილი პერსონაჟის ირგვლივ.

მაგალითი:

ბუსის ოჯახში ხუთნი იყვნენ: დედა პაიპი – 42 წლის, დაბადებული 10 აპრილს, მამა ჰენრი – 44 წლის, დაბადებული 29 თებერვალს (მაგრამ 28-ში აღნიშნავდა), შუათანა დაიკო ალისა – 13 წლის და 13 დეკემბერს ჰქონდა დაბადების დღე, უფროსი ძმა მაქსი – 17 წლის, რომელიც 15 ივლისს ზეიმობდა იუბილეს.

დედა ძალიან ლამაზი იყო, შავი, შეკრული თმით, უცნაურად მოყვითალო ფერის თვალებით, რომელზეც ძვლისგან დამზადებული მრგვალი სათვალე ეკეთა.

მამას ქერა თმა და ლურჯი თვალები ჰქონდა და ალისაც მას ჰგავდა, როგორც ხშირად გოგოები გვანან მამებს. მაქსს ქერა თმა კი ჰქონდა, მაგრამ თვალები – დედასავით მოყვითალო.

პაიპს კითხვა უყვარდა და შვილებსაც ხშირად სთხოვდა ხოლმე, ეკითხათ წიგნები. ჰენრის მუშაობა მოსწონდა და ვერ იტანდა უსაქმურებს. შვებულების დროსაც კი სულ სახლის საქმეებს აკეთებდა, ფუსფუსებდა. ალისა გიჟდებოდა სიმღერაზე და „პრანჭიაობაზე", ვერ იტანდა, როცა პატარა ბუსი ოინებს უწყობდა ხოლმე მაინცდამაინც მუსიკის გაკვეთილზე და კიდევ ის არ მოსწონდა, ვინმეს მასზე უკეთესი კაბა ან ტელეფონი რომ ჰქონდა.

მაქსს მეგობრებთან ერთად გართობა უყვარდა და ვერ იტანდა ოჯახურ დღესასწაულებს. ასეთ დროს რამეს მოიმიზეზებდა და სახლიდან მიდიოდა.

პაიპს ქვეწარმავლების ეშინოდა, ჰენრის – ბაბუის (ჰენრის ბაბუის ბუსისაც ეშინოდა). ალისას ეშინოდა, რომ სკოლაში პოპულარობას დაკარგავდა, მაქსი „მარიაჟი" იყო და ამბობდა, რომ არაფრის ეშინია, მაგრამ სინამდვილეში მასაც ეშინოდა... გაგეცინებათ და მწერების.

ბუსის 13 წლის მეგობარს ბილი ერქვა, რომელიც ქერა, გრძელ თმას ატარებდა. მას ნახშირივით შავი თვალები ჰქონდა და ძალიან მაღალი იყო. ბილის ბუსისთან გართობა და თამაში და კიდევ მისი დაიკო ალისა უყვარდა. ვერ იტანდა ცინიკურ ადამიანებს. ეშინოდა მონსტრების და სიბნელის. ბილის საიდუმლო სწორედ ის იყო, რომ საუკეთესო მეგობრის და უყვარდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ამბავი ბუსიმაც იცოდა.

ბუსის 12 წლის ანტაგონისტიც ჰყავდა და მას ბენი ერქვა, რომელსაც ყავისფერი თვალები და შავი თმა ჰქონდა. ბენს ძალიან უყვარდა ჩხუბი და საშინლად არ უყვარდა ბუსისთან წაგება. ეშინოდა ერთი-ერთზე დამარცხების (რაც ჯერ არასოდეს მომხდარიყო).

1. აღწერეთ პერსონაჟის ოჯახის წევრები. გამოიყენეთ იგივე მეთოდი და უპასუხეთ იმავე კითხვებს, რომლებიც პერსონაჟის შექმნისას გამოგადგათ.
2. გაგვაცანით თქვენი პერსონაჟის მეგობრები. დეტალურად მოიფიქრეთ და დაწერეთ, სად, რა ვითარებაში გაიცნეს მათ ერთმანეთი; როგორ დამეგობრდნენ; რა საერთო აქვთ და რა განასხვავებთ ერთმანეთისგან.
3. აღწერეთ თქვენი პერსონაჟის ანტაგონისტი (სხვანაირად რომ ვთქვათ, ის, ვინც მას არ უყვარს). ესეც მნიშვნელოვანი პერსონაჟია, ვინც თქვენს გმირს მიზნის მიღწევაში უშლის ხელს. რა არის ის მთავარი მიზეზი, რის გამოც ეს ორი პერსონაჟი ვერ მეგობრობს? სად იკვეთება მათი ინტერესები და სად უშლიან ერთმანეთს ხელს?

სავარჯიშო მეოთხე

გმირის საცხოვრებელი სივრცე

ყველა პერსონაჟზე შეგვიძლია შთაბეჭდილება შევიქმნათ, თუ გავარკვევთ, როგორ გარემოში ცხოვრობს. ადვილი მისახვედრია, რომ ის, ვის ოთახშიც ფეხბურთელების პლაკატებია გაკრული, კუთხეში ბურთი გდია და რამდენიმე ცნობილი კლუბის მაისურია სკამზე გადაკიდებული, ფეხბურთელია ან ფეხბურთის გულშემატკივარი.

თუ ოთახი არ აქვს თქვენს გმირს და ქუჩაში სძინავს, ამაზეც მოგვიყევით. რატომ მოხდა ასე? ვისი ბრალია? რა შეემთხვა თქვენს გმირს ან მის ოჯახს ისეთი, რომ ახლა მას ჭერიც კი არ აქვს თავზე?

მაგალითი:

ბუსი ორსართულიან სახლში ცხოვრობდა, მისი ოთახი მეორე სართულზე, კიბიდან ხელმარცხნივ იყო და ტყის მხარეს იყურებოდა.

ოთახში იდგა წიგნების დიდი და ტანსაცმლის პატარა კარადა, კაც-ნახევრიანი საწოლი, დიდი ტელევიზორი თავისი ფლეისთეიშენით, საწერი მაგიდა, ლეგოების და სათამაშოების ყუთები და კომპიუტერის მაგიდა, რომელზეც მამის ნაჩუქარი ძველი კომპიუტერი ედო.

თამთა დოლიძე

რელიგიის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

უძველესი დროიდან ცდილობს ადამიანი, დახვეწოს ცოდნის გადაცემისა და ათვისების, ანუ სწავლა-სწავლების ფორმები და დროის მოითხოვნებს შეუსაბამოს. ისტორიულ ახალ დროში ეს მოთხოვნები კიდევ უფრო აქტიური გახდა.

რწმენა ის უდიდესი ძალაა, რომელსაც ადამიანთა შეკავშირებაც და გათიშვაც შეუძლია. მას ხშირად იყენებენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი მასების სამართავად. ამიტომ სკოლებში მიმდინარე სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციისთვის გამოყენება ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საგანმანათლებლო დილემაა. ამ საკითხთან დაკავშირებული ეთიკური წინააღმდეგობები, რომელთა დაძლევაც სასკოლო საზოგადოებას უწევს, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ისმის კითხვა: ეთიკურია თუ არა სკოლაში რელიგიის სწავლება? საინტერესოა, რამდენად კარგად არეგულირებს კანონი თეოლოგიური საკითხების სწავლებას და იცავს თუ არა რელიგიური უმცირესობების უფლებებს. ასევე მნიშვნელოვანია, მიიჩნევა თუ არა მასწავლებლის და/ან სკოლის ადმინისტრაციის თვითნებური გადაწყვეტილებით სასწავლო პროცესის რელიგიური რიტუალებით გამრავალფეროვნება მოსწავლეთა უფლებების დარღვევად. აქვე შეგახსენებთ, რომ საქართველოს მოქალაქეების გარკვეული ნაწილი არ არის ეროვნებით ქართველი და არც სახელმწიფო რელიგიად აღიარებულ ქრისტიანულ მრწამსს იზიარებს. ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად გავრცელებულია მართლმადიდებლობა (მოსახლეობის დაახლოებით 70%). მას მოსდევს კათოლიციზმი და პროტესტანტიზმი (ბაპტიზმი). მრავლად შეხვდებით სხვადასხვა რელიგიური სექტის წარმომადგენლებსაც. აჭარის მაღალმთიან რეგიონში კი უმეტესად ქართველი მუსლიმები ცხოვრობენ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში რელიგიის ისტორიის სწავლების საკითხი დღემდე კამათის საგანს წარმოადგენს. 1988 წლიდან საქართველოში „ქრისტიანული რელიგიის ისტორია“ ჰუმანიტარული მიმართულების სკოლებში ისწავლებოდა. მალე ამ დისციპლინამ არჩევითი საგნების სიაში გადაინაცვლა. რელიგიის ისტორიის სწავლების სპეციფიკას განსაზღვრავდა საქართველოს საპატრიარქო, რომელსაც ეს უფლებამოსილება იმდროინდელი კანონმდებლობით ჰქონდა მინიჭებული (განათლების შესახებ კანონის 18.2 მუხლი (22.06. 1997): საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა ითანამშრომლოს საქართველოს საპატრიარქოსთან სასკოლო გეგმის შემუშავებისას). 2005 წელს მიღებული ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, რელიგიის ისტორიის სწავლება სავალდებულო აღარ არის. თუმცა მას შემდეგ არაერთხელ წამოიჭრა აღნიშნული დისციპლინის სკოლებში დაბრუნების საკითხი, რომელსაც ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიაში დღემდე აქტიურად განიხილავენ.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის (რწმენის თავისუფლება) თა-

სკოლებში მიმდინარე სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციისთვის გამოყენება ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საგანმანათლებლო დილემაა.
ამ საკითხთან დაკავშირებული ეთიკური წინააღმდეგობები, რომელთა დაძლევაც სასკოლო საზოგადოებას უწევს, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ისმის კითხვა: ეთიკურია თუ არა სკოლაში რელიგიის სწავლება?

ნახმად, მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს აქვთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არცერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევისა და შეცვლის უფლება. დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს. საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს არააკადემიურ მიზნებს. ამავე კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისთვის გამოყენება. თუმცა ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიებების ჩატარებას, რომლებიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისკენ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ 2017).

ზოგადი განათლების კანონთან ერთად, რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტიც, რომლის თანახმადაც, პედაგოგები (გარდა სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებისა) არ ეწევიან მოსწავლეებთან რელიგიურ პროპაგანდას. ამავე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, მასწავლებელს არ აქვს უფლება, რელიგიური ან სხვა ნიშნით გამოარჩიოს მოსწავლე და არ მისცეს მას ხარისხიანი განათლება (მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი 2010). მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მასწავლებელი და/ან სკოლის მმართველი გუნდი თვითნებურად იღებს გადაწყვეტილებას და სასწავლო პროცესში რელიგიურ რიტუალებს (ლოცვა, წირვაზე მოსწავლეების წაყვანა და სხვ.) რთავს.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ: თუ რელიგიის სწავლების თემას სამართლის ეთიკის კუთხით განვიხილავთ, კანონი არეგულირებს იმ ეთიკურ პარადიგმას, რომელიც უმრავლესობით დაკომპლექტებულ სოციუმში განსხვავებული რელიგიის წარმომადგენელთა სრულფასოვან ჩართვაზეა ორიენტირებული. როგორც ვიცით, სამართლის ეთიკა ლიბერალურ-დემოკრატიული ტრადიციის ნაწილია, ის ითვალისწინებს ტოლერანტობას და თანაბარი მოპყრობის პატივისცემას, რაც, თავის მხრივ, თანასწორ შესაძლებლობებს და რწმენის თავისუფლების უზრუნველყოფას ნიშნავს.

რელიგიური ნიშნით განსხვავებულობა სასკოლო საზოგადოებაში წარმოშობილი უთანხმოების/ჩაგვრისა და უთანასწორობის შეგრძნების

ვფიქრობ, სკოლებში სახელმწიფო რელიგიის სავალდებულო საგნად სწავლება განსახილველი საკითხების სიაში აღარ უნდა დავაბრუნოთ. თუმცა შეიძლება, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოებში უფრო მეტად ჩავუღრმავდეთ რელიგიების საკითხს ეპოქებისა და ქვეყნების მიხედვით, რათა მოსწავლეების თვალსაწიერი მაქსიმალურად გავაფართოოთ.

გამომწვევი ერთ-ერთი მწვავე მიზეზია. ამ ტიპის უთანასწორობას კრიტიკის ეთიკის პოზიციიდანაც განიხილავენ. რელიგიური ნიშნით მოსწავლეთა გამორჩევა სოციალური უთანასწორობის საკმაოდ გავრცელებული ფორმაა. როდესაც მასწავლებელი სასწავლო დღეს ლოცვით იწყებს, ამ დროს კი მისი ზოგიერთი მოსწავლე, თუნდაც ქართველი, არ არის მონათლული, ან სხვა რელიგიის აღმსარებელია, ერთმნიშვნელოვნად ირღვევა მათი უფლებები და ეს საკითხი კრიტიკის საფუძველს იძლევა. მოსწავლის მხრივ ე.წ. არასასურველ აქტივობაზე მძაფრი რეაქცია ხშირად ხდება თავად ბავშვის ან მშობლის გაკიცხვის/ამოჩემების მიზეზი. ჩემი აზრით, მასწავლებელმა მხოლოდ იმისთვის უნდა იკვლიოს მოსწავლეთა მრწამსი, რომ შეძლოს მულტიკულტურული საზოგადოების თავისებურების განსაზღვრა და მიღებული ინფორმაციის მხოლოდ მოსწავლეთა სასიკეთოდ (სასწავლო პროცესის ინტერკულტურული განათლების პრინციპების გათვალისწინებით დაგეგმვა) გამოყენება. კრიტიკის ეთიკის თეორეტიკოსები ცდილობენ, მოუსმინონ იმ ადამიანებს, რომელთა ხმაც ყველაზე სუსტია საზოგადოებაში, ამ კატეგორიას კი, პირველ რიგში, მოსწავლეები მიეკუთვნებიან.

ბავშვებს ნამდვილად სჭირდებათ ზრუნვა და წახალისება და თუ ისინი რაიმე ნიშნით სასკოლო საზოგადოებისგან გარიყულები აღმოჩნდებიან, მათი პიროვნული და მორალური განვითარება შეფერხდება. აქედან გამომდინარე, სამართლიანად მიიჩნევენ, რომ სკოლებში მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესები ყველაზე მეტად ზრუნვის ეთიკას უნდა ითვალისწინებდეს. ამერიკელი ფილოსოფოსისა და განათლების სპეციალისტის ნელ ნოდინგსის პოზიციას თუ გავითვალისწინებთ, მასწავლებელმა ყოველ მოსწავლეზე ერთნაირად უნდა იზრუნოს, რათა არც ერთმა მათგანმა პაიკად არ იგრძნოს თავი.

სკოლებში რელიგიის სწავლების საკითხის ეთიკური პარადიგმების ჭრილში განხილვისას ცხადად ჩანს, რომ იგი ნამდვილად წარმოადგენს ეთიკურ დილემას: თუ ერთ (თუნდაც სახელმწიფო) რელიგიას ვასწავლით, ვეწინააღმდეგებით რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებულ მუხლს. მოზარდებით დაკომპლექტებულ სოციუმში არსებული უთანასწორობა კრიტიკის ეთიკის წარმომადგენლების ყურადღებასაც იქცევს და ზრუნვის ეთიკასთან დაკავშირებული ნორმების დარღვევის საფრთხესაც ქმნის. ეთიკურ პარადიგმებსა და კანონით გათვალისწინებულ რეგულაციებთან ერთად არსებობს პირადი კოდექსი, რომელიც ემყარება ინდივიდთა ზნეობრივ ღირებულებებს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანები უმეტესად სწორედ მათზე დაყრდნობით მოქმედებენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, სკოლებში სახელმწიფო რელიგიის სავალდებულო საგნად სწავლება განსახილველი საკითხების სიაში აღარ უნდა დავაბრუნოთ. თუმცა შეიძლება, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოებში უფრო მეტად ჩავუღრმავდეთ რელიგიების საკითხს ეპოქებისა და ქვეყნების მიხედვით, რათა მოსწავლეების თვალსაწიერი მაქსიმალურად გავაფართოოთ. ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს მოქალაქეებს ქვეყანაში არსებული რელიგიების შესახებ გარკვეული ინფორმაცია ბავშვობიდანვე სწორად მივაწოდოთ, რადგან ხშირ შემთხვევაში გაუცხოებას ან უპირატესობის განცდას არასწორად ფორმულირებული ინფორმაცია იწვევს. ჩემი აზრით, მსგავსი ინიციატივები მნიშვნელოვნად გააიშვიათებს ადამიანთა ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით ჩაგვრას, ტოლერანტული საზოგადოების შექმნას შეუწყობს ხელს და ინტერკულტურული განათლების მთავარი პრინციპების ქაღალდიდან რეალურ ცხოვრებაში გადმოტანას გაგვიადვილებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005
2. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, 2010
3. ტაბატაძე შ., რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში, 2018
4. გაჩეჩილაძე პ., შავგულიძე ნ., რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში. 2016

მეგი კავთუაშვილი

როგორ აღვზარდოთ ბავშვი ინკლუზიური ღირებულებებით

როგორი ადამიანი იქნება ჩვენი შვილი, როცა გაიზრდება? – ეს კითხვა ყველა მშობელს გვაწუხებს, პასუხად კი მრავალი ჩვენგანი ამბობს: „მთავარია, ბედნიერი იყოს!“

როგორი ადამიანი იქნება ჩვენი შვილი, როცა გაიზრდება? – ეს კითხვა ყველა მშობელს გვაწუხებს, პასუხად კი მრავალი ჩვენგანი ამბობს: „მთავარია, ბედნიერი იყოს!“

ბედნიერებას ზოგისთვის მატერიალური სახე აქვს, ზოგი ადამიანურ ურთიერთობებს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. განსხვავებულობის მიუხედავად, თითოეულ ჩვენგანს სურს, საზოგადოების სრულფასოვანი, დაფასებული წევრი იყოს. ჩვენი შვილების ბედნიერებაც მომავალში ასე წარმოგვიდგენია.

თუნდაც ამიტომ უნდა იწყებოდეს ინკლუზიაზე საუბარი ადრეული ბავშვობიდან, ხოლო მშობლებსა და მასწავლებლებს უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ტიპის გარემო, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან ერთად, ჩვენ, ყველას გვჭირდება – იმისთვის, რომ **ჩვენი განსხვავებული სურვილების, შეხედულებების, შესაძლებლობების მიუხედავად, ერთმანეთისთვის უცხონი არ აღმოვჩნდეთ და თანასწორ გარემოში მშვიდობიანი თანაცხოვრება შევძლოთ.**

ამ სტატიაში რამდენიმე მეთოდი განვიხილოთ, რომლებიც დაგვეხმარება, შვილები და მოსწავლეები ინკლუზიური ღირებულებებით აღვზარდოთ.

1. ვაჩვენოთ ბავშვებს ინკლუზიურობის მაგალითი

ბავშვები ყველაზე მეტს მათთვის მისაბაძი ადამიანებისგან სწავლობენ. უმეტესად ისინი ჩვენ, ზრდასრულებს, მშობლებსა და მასწავლებლებს გვიყურებენ, გვისმენენ და სწავლობენ ჩვენი ქცევისა და დამოკიდებულებების გავლენით. ადვილი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანია, თავად ვიყოთ ისეთი ადამიანები, როგორიც გვინდა გამოვიდეს ჩვენი შვილი თუ მოსწავლე.

დავაკვირდეთ ჩვენს მოსაზრებებსა და ქცევებს; დავრწმუნდეთ, რომ იმავე ღირებულებებს ვუჭერთ მხარს, რომლებიც გვინდა ჰქონდეთ ჩვენს ბავშვებს. ღიად მივესალმოთ განსხვავებულობას, გამოვიყენოთ პატივსაცემი ტერმინები, როცა ამა თუ იმ წარმომავლობისა თუ შესაძლებლობის ადამიანზე ვსაუბრობთ და თავი ავარიდოთ სტერეოტიპების განმტკიცებას. თუ ყველა ადამიანს პატივისცემით მოვეპყრობით, დიდი შანსია, ჩვენი პატარაც ასე მოიქცეს.

2. დავეხმაროთ ბავშვს, გახდეს თავდაჯერებული და ემპათიური

იმისთვის, რომ ჩვენი შვილი/მოსწავლე ღია იყოს მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობისადმი, მას თავდაჯერება და ემპათიის უნარი სჭირდება. ბავშვები, რომლებსაც საკუთარ თავზე ადეკვატური წარმოდგენა აქვთ, როგორც წესი, სხვებისადმი დადებითი დამოკიდებულებით გამოირჩევიან, ამასთან, ხალხის აზრს არ მიჰყვებიან და მტკიცედ დგანან საკუთარი ღირებულებების სადარაჯოზე. მივცეთ ბავშვს შესაძლებლობა, თავი ქმედობაუნარიანად იგრძნოს; საქციელით და სიტყვით ვაჩვენოთ, რომ ის გვიყვარს და მას ვაფასებთ.

ემპათია კი უნარია, შეამჩნიო სხვების გრძნობები და წარმოიდგინო, რას შეიძლება გრძნობდე სხვის ადგილას. ეს უნარი ინკლუზიური ღირებულებების ჩამოყალიბებაში გვეხმარება და მისი

განვითარება ბავშვობიდანაა შესაძლებელი. ვესაუბროთ ზღაპრის გმირებისა თუ ლიტერატურული პერსონაჟების განცდებზე, გრძნობებზე, მოტივაციაზე, ქცევაზე. მათი თვალით შევხედოთ სამყაროს და ბავშვებსაც ვასწავლოთ, რომ შეიძლება, ერთი ჭეშმარიტების გვერდით ბევრი სხვა სიმართლეც არსებობდეს.

3. მზად ვიყოთ კითხვებისთვის

ბავშვები ცნობისმოყვარეები არიან და სამყაროს შესახებ ყველაფერი აინტერესებთ. ისინი ხშირად მაშინ სვამენ კითხვას, როცა რაღაც უცხოს გადააწყდებიან. განსხვავებულობაზე საუბარისას ეს ხერხები ვცადოთ:

- ვისაუბროთ ღიად. შეკითხვებს თავი არ ავარიდოთ.
- ვკითხოთ, რისი გაგება უნდა ან რატომ გაუჩნდა ეს შეკითხვა.
- გავცეთ გულწრფელი პასუხი მისი ასაკის გათვალისწინებით.
- თუ პასუხი არ ვიცით, ამის აღიარების არ შეგვეშინდეს. ვუთხრათ, რომ ამაზე დასაფიქ-

თუნდაც ამიტომ უნდა იწყებოდეს ინკლუზიაზე საუბარი ადრეული ბავშვობიდან, ხოლო მშობლებსა და მასწავლებლებს უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ტიპის გარემო, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან ერთად, ჩვენ, ყველას გვჭირდება - იმისთვის, რომ ჩვენი განსხვავებული სურვილების, შეხედულებების, შესაძლებლობების მიუხედავად, ერთმანეთისთვის უცხონი არ აღმოვჩნდეთ და თანასწორ გარემოში მშვიდობიანი თანაცხოვრება შევძლოთ.

რებლად დრო გჭირდება და მოგვიანებით ვუპასუხებთ.

4. მოვემზადოთ განსხვავებული სცენარებისთვის

ა) თუ ჩვენი შვილი/მოსწავლე განსხვავებულობას „უცნაურს“ უწოდებს

ზოგჯერ ბავშვების შეკითხვები მათთვის „უცნაურ“ რაღაცებს ეხება. მაგალითად, შესაძლოა, შვილმა მეტყველების სირთულეების მქონე ადამიანზე გვკითხოს, რატომ ლაპარაკობს ეს ადამიანი უცნაურად. ასეთ დროს კითხვის დასმა კი არ უნდა ავუკრძალოთ, არამედ ავუხსნათ, რომ ის განსხვავებულია და ხაზი გავუსვათ იმას, რომ „ნორმალური“ და „უცნაური“, „ჩვენ“ და „ისინი“ – არ არსებობს.

ბ) თუ ჩვენი შვილი/მოსწავლე განსხვავებულობაზე საუბრისას შეუფერებელ ტერმინებს იყენებს

თუ ბავშვი შეუფერებელ ტერმინებს იყენებს, ფრთხილად შევუსწოროთ და უკეთესი ალტერნატივა შევთავაზოთ. ვეცადოთ, არ გავკიცხოთ. ავუხსნათ, რატომ არის მის მიერ გამოყენებული ტერმინი შეუფერებელი და რატომ იქნებოდა უკეთესი, გამოეყენებინა ადეკვატური ფრაზები.

გ) თუ ჩვენი შვილი/მოსწავლე საჯაროდ ლაპარაკობს განსხვავებულობაზე

ბავშვებმა უხერხული კითხვები საჯარო საუბრის დროსაც შეიძლება დასვან. საჭიროების შემთხვევაში ბოდიშის მოხდა კარგი გამოსავალია, ხოლო ბავშვის კითხვას შეიძლება ვუპასუხოთ, მაგალითად, ასე: „სამყარო დიდია. ჩვენ, ყველანი სხვადასხვანაირები ვართ. სწორედ ეს ხდის ჩვენს ცხოვრებას საინტერესოს“. დანარჩენი ინფორმაცია კი მოგვიანებით მივაწოდოთ.

5. ხაზი გავუსვათ მსგავსებებს

განსხვავებულობაზე საუბრისას არანაკლებ მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ მსგავსებებს. არ აქვს მნიშვნელობა, როგორი შესაძლებლობების ან წარმომავლობის ადამიანებზე ვსაუბრობთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ბავშვს უნდა ავუხსნათ, რომ ყველა ადამიანი სხვადასხვანაირია, თუმცა, ყველა ვოცნებობთ, ვიმედოვნებთ, ვუშვებთ შეცდომებს, ვიმარჯვებთ, გვაქვს ემოციები და სხვა. საბოლოო ჯამში კი აუცილებლად მივიღებთ მეტად მიმღებ, ღია, ემპათიურ პიროვნებას, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება სხვების პატივისცემა და თანადგომა.

ამ წერილის დაწერა ბოლო თვეებში ქვეყნის 20 სკოლაში ვიზიტის შემდეგ გადავწყვიტე. მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს გაეროს ბავშვთა ფონდის საკომუნიკაციო კამპანიის „დაინახე ყველა ფერი“ ფარგლებში შევხვდი. სკოლებში მუშაობისას დავრწმუნდი, რომ სასკოლო საზოგადოებისთვის სიტყვა „ინკლუზია“ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ასოცირდება. ადამიანებმა უბრალოდ არ იციან, რომ **ინკლუზია სინამდვილეში თანასწორ ჩართულობას ნიშნავს, ყველას თანაბრად გვეხება და ინკლუზიური ღირებულებები აღზრდის პროცესში თითოეული მშობლისა და მასწავლებლის დასანერგია.**

P.S. საკომუნიკაციო კამპანია „დაინახე ყველა ფერი“ UNICEF-ის მიერ, ნორვეგიის მთავრობის ფინანსური ხელშეწყობით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, სამწლიანი პროექტის „არც ერთი ბავშვი განათლების გარეშე“ ფარგლებში ხორციელდება. მისი მიზანი ინკლუზიური განათლების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მიმართ სტიგმის შემცირებაა.

ინა იმედაშვილი

როგორ ვასწავლოთ სამშობლოს სიყვარული

საიდან იბადება ან ყალიბდება სამშობლოს ამდაგვარი გაგება და სიყვარული? ჩვენ გვიყვარს სამშობლო? რის გაღება შეგვიძლია ქვეყნისთვის, თუ ამის საჭიროება დადგა? როგორი იქნება ჩვენი არჩევანი: პირადი კეთილდღეობა (შესაძლოა დროებითიც) თუ სამშობლოსთვის ამ კეთილდღეობაზე უარის თქმა? თავისა და მიზნების გაწირვა? რატომ გახდა და გაუფერულდა ჩვენს ეპოქაში ისეთი ცნებები, როგორიც თავგანწირვა და თავშეწირვაა?

რატომ აღარ გვიყვარს სამშობლო და სად გაქრა ღირსება? *ქართულის მასწავლებლის ხმამაღალი ფიქრი.*

„თქვენი ქართველობა იწყება ღირსებიდან და არა პირიქით!“ მერაბ მამარდაშვილი

აი, გავხსენი ფაილი და უნდა დავწერო წერილი პირველკლასელებზე, რომლებიც ეს-ესაა იჭყიტებიან წერა-კითხვის საოცრებათა სამყაროში, მაგრამ სიტყვებს თავს ვერ ვუყრი, ვერაფერზე ვფიქრობ, გარდა უკრაინელი ხალხის თავგანწირვისა, მათი პატრიოტიზმის უმაღლესი გამოვლინებისა, მათი გმირობისა, დანაკარგებისა, ბრძოლებისა და ადამიანობისა.

საიდან იბადება ან ყალიბდება სამშობლოს ამდაგვარი გაგება და სიყვარული? ჩვენ გვიყვარს სამშობლო? რის გაღება შეგვიძლია ქვეყნისთვის, თუ ამის საჭიროება დადგა? როგორი იქნება ჩვენი არჩევანი: პირადი კეთილდღეობა (შესაძლოა დროებითიც) თუ სამშობლოსთვის ამ კეთილდღეობაზე უარის თქმა? თავისა და მიზნების გაწირვა? რატომ გახდა და გაუფერულდა ჩვენს ეპოქაში ისეთი ცნებები, როგორიც თავგანწირვა და თავშეწირვაა? რამ ან როდის (თუ ამ ორ კითხვას პასუხი გაეცა, ცხადია, ისიც გვეცოდინება, რატომ) ჩაკლა ჩვენში ის პატრიოტული სული, რომელმაც ქართველი ერი გადაარჩინა და უამრავი ჯოჯოხეთური შემოსევისთვის გააძლებინა? და მოდი, ხმამაღლა ვიფიქრებ იმაზე, რა უნდა გავაკეთოთ და საერთოდ თუა შესაძლებელი, ისევ გავაჩაღოთ პატრიოტიზმის მინავლული ნაღვერდალი, რა გვაკლია, რა გვჭირდება გასაერთიანებლად.

ფიქრს მერაბ მამარდაშვილის სიტყვებით დავიწყებ: *„ადამიანი იწყება ღირსებიდან და მას მხოლოდ საკუთარი ღირსების გავლით შეუძლია ჭეშმარიტად გააცნობიეროს თავი ამა თუ იმ ერის შვილად! ქართველობა არ არის ბიოლოგიური მოცემულობა - ეს არის ნება იყო ქართველი, ნება კი რაინდული ღირსების ფენომენია და მე თუ არა მაქვს ის, რამდენიც არ უნდა ინებოს ერმა თუ ბერმა, მე ვერც კაცი ვიქნები და ვერც ქართველი!“*

და კიდევ: *„ქართულ ინტელიგენციას არ გამოუყენებია ბოლო ხუთი წელი იმისათვის, რომ საკუთარი ხალხისთვის სიმართლე ეთქვა. იმის მაგივრათ, რომ ებრძოლათ უკვე გათავისებულ ცუდ ჩვევებთან – პატრიოტიზმის მცდარ გაგებასთან, ჩამორჩენილობასთან, საკუთარ თავზე შეყვარებასთან, დარწმუნებასთან იმაში, რომ ჩვენ ყველაზე კარგნი ვართ, ყველაზე ჭკვიანნი, ყველაზე ლამაზნი და არავინ არ გვჭირდება – ისინი საკუთარ ამბიციებში ჩაფლულნი თამაშობდნენ ყველაფერ ამით“.*

და ერთიც: *„სანამ გაგრძელდება პატივმოყვარეობის მაამებელი ხატების შექმნა: ოჰ! რა კარგად ვიყავით, კულტურაც გვქონდა, სოფელიც ყვაოდა!.. ვიდრე ამ ყალბ ნუგეშისცემას გააგრძელებენ, დაუსრულებლად იტრიალებენ წრეში, როგორც დანტეს გმირები - ჯოჯოხეთში“.*

შენ ეს შეგიძლია, მასწავლებელო, შენ შეგიძლია ნამდვილი პატრიოტიზმის აღმოცენება, სამშობლოს გადარჩენა, თავისუფლების განმტკიცება, ძლიერი სულის ადამიანების გამოზრდა.

ჰო, ღირსება მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ერის არა მხოლოდ ერად ჩამოყალიბებისთვის, არამედ მისი არსებობის გაგრძელებისთვისაც. ღირსება, შეიძლება ითქვას, პატრიოტიზმის და ქვეყნის სიყვარულის გაცნობიერების საყრდენია. აი, წლების წინ ზურაბ ჟვანიამ რომ თქვა და ისტორიაში ღირსების აქტად ჩაიწერა: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“ უჰ, ახლაც ჟრუანტელი მივლის! როგორი სიტყვები იყო, როგორი სწორი და დროული, ქართველებში ღირსების სიმები რომ აატოკა, როგორ გვჭირდება დღესაც ღირსების გარეშე დარჩენილ შეშინებულ ქართველობას ასეთი სიტყვები, ასეთი გამხნევება. რომ ჩვენ გვეკუთვნის მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიოში, რომ ჩვენი ხმა უნდა ისმოდეს, რომ სწორ მხარეს ვდგავართ ისტორიის ამ მეტად სახიფათო და კრიტიკულ მონაკვეთში. მაგრამ მოჯადოებული წრე რის მოჯადოებული წრე იქნება, ყველა რომ არ ჩაგვითრიოს და რაღაც იზოლირებულ, სამყაროსგან მოწყვეტილ განზომილებაში საკუთარ წვენში არ ჩაგვხარშოს. ილუზიურ წარმოდგენებში, წარსულის გაიდეალებაში, მეფეთა წმინდანებად შერაცხვაში, უბრალო ადამიანების დავიწყებაში გადის წლები, და ქართველობა ყოველ ჯერზე არასწორ მხარეს აღმოჩნდება ხოლმე. თუმცა, მაგრამ, მიუხედავად ამისა... და მართლდება უპრინციპობა, კოლაბორაციონისტობა, უღირსებობა, სირაქლემობა.

მაინც სად გაქრა ჩვენი ღირსება? რამ გახადა პატრიოტიზმი ისეთი მყიფე, რომ სადაცაა ისე ჩამოიშლება, მისგან „იზმი“ თუღა დარჩება? რამ აქცია „პატრიოტიზმი“ ნამდვილი პატრიოტიზმის სიმულაკრად, აჩრდილად? რამ დააკარგვინა ნამდვილობა? ბოლოს და ბოლოს, რატომ აღარ გვიყვარს სამშობლო? რამ ჩაკლა ჩვენში ეს გრძნობა, რომელიც მეექვსე გრძნობად უნდა გვქონოდა, რომელსაც უნდა დავეცავით და გადავერჩინეთ? დიახ, უფსკრულის პირას ვდგავართ. ერთი სულის შებერვა, ერთი ხელის კვრა და – ჩავიკარგებით ისტორიის ქვესკნელში, საიდანაც თავის დახსნა შეუძლებელია. ამ ყველაფერს ქართულის მასწავლებლის პერსპექტივიდან შევხედავ და კიდევ ერთხელ დავიწყებ ხმამაღლა ფიქრს.

ჩვენი ამირანი მიჯაჭვულია – ათასწლეულებია, მისი გასაკეთებელი საქმე ჩვეულებრივმა მოკვდავებმა იტვირთეს, შიშველი ხელებით დაერივნენ დევებს და დაუწყეს ულეტა, თუმცა კარგად გეცოდინებათ, დევების ხოცვა რა ძნელია – ერთ თავს მოჰკვეთ და ათი ამოსდის, მათი სული კი ჩიტის გულშია და ეს ჩიტი ცხრა მთას იქით ცხოვრობს (შესაძლოა, ეს ცხრამთასიქითა სივრცე ჩვენი

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ШОРЕНА ТКЕШЕЛАШВИЛИ

„ბავშვთა აღზრდა“ – წიგნი მშობლებისა და მასწავლებლებისთვის

ცოტა ხნის წინ წიგნის მაღაზიაში შევიძინე ავსტრიელი ექიმისა და ფსიქოლოგის ალფრედ ადლერის წიგნი „ბავშვთა აღზრდა“. ალფრედ ადლერი პირველი მსოფლიო ომის დროს სამხედრო ჰოსპიტალს ხელმძღვანელობდა, ომის შემდეგ კი ბავშვის აღზრდის პრობლემებით დაინტერესდა და 1920-იან წლებში ვენაში ბავშვებისა და მშობლების საკონსულტაციო ცენტრების ქსელი დააარსა.

ალფრედ ადლერის წიგნი „ბავშვთა აღზრდა“ ქართულ ენაზე გამომცემლობა „გეომ“ 2014 წელს გამოსცა. მთარგმნელები ნინა თურმანიძე და ლაშა ბულია არიან. წიგნი პირველად 1930 წელს გამოიცა გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ის ეყრდნობა ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ძირითად დებულებებს. მასში გადმოცემულია ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა ანალიზი, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბებულია ბავშვთა აღზრდის ადლერისეული კონცეფცია.

„ინდივიდუალური ფსიქოლოგია არის სწავლება ადამიანზე როგორც განუყოფელ ერთეულზე. ინდივიდუალურ ფსიქოლოგიაში ცენტრალურ ადგილს იკავებს კომპენსაციის პრინციპი. ადლერის თანახმად, პიროვნების განვითარების ძირითად ფაქტორად უნდა ჩაითვალოს კონფლიქტი არასრულფასოვნების კომპლექსსა და მის ნაშიერს, უპირატესობისკენ მისწრაფებას შორის. ეს უკანასკნელი განისაზღვრება როგორც მიზანი, რომელიც წარმართავს მის ზრახვებსა და ქმედებებს. არასრულფასოვნების დაძლევისკენ ადამიანის მისწრაფებას ხშირად ის არაადეკვატურ ქმედებებამდე მიჰყავს. ადლერის მიხედვით, აქედან გამომდინარეობს აღზრდის მიზანი – არასრულფასოვნების გრძნობის ნეიტრალიზაცია მისი სასარგებლო კალაპოტში წარმართვის გზით. ამას მივყავართ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის კიდევ ერთ ძირითად ცნებამდე – სოციალურ გრძნობამდე. ადლერის მტკიცებით, სოციალური გრძნობა ბავშვის განვითარებაში ნორმალურობის თავისებური ინდიკატორია. სწორედ ამ პრინციპზე აადო ადლერმა თავისი პედაგოგიური ტექნოლოგია. ყოველი დარღვევა, რომელიც სოციალური გრძნობის დაქვეითებას იწვევს, დიდ ზიანს აყენებს ბავშვის განვითარებას“, – ვკითხულობთ წიგნის წინასიტყვაობაში.

წიგნის სათაურმა მაშინვე მომხიბლა და როგორც კი შევიძინე, კითხვას შევუდექი. სათაურიც გვატყობინებს, რომ წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს მშობლებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ბავშვის აღზრდის საკითხებით და მასწავლებლებს – უშუალო რგოლს იმ მთავარი ჯაჭვისა, რომელიც იკვრება ბავშვის გარშემო ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების სახით.

ალფრედ ადლერის აზრით, იდეალური სკოლა შუამავალია ოჯახსა და გარემომცველ სამყაროს შორის. ასეთ სკოლაში ცოდნას არა მარტო წიგნებით აძლევენ, არამედ ცხოვრების ცოდნასა და ხელოვნებასაც ასწავლიან.

გთავაზობთ წიგნიდან ამონარიდებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სკოლისა და ოჯახის ვალდებულებებს, აღზარდონ ისეთი ადამიანი, რომელიც საზოგადოების ბედნიერი და სრულფასოვანი წევრი იქნება. ეს ვალდებულება მშობლისთვისაც და სკოლისთვისაც ურთულესი შესასრულებელია, მაგრამ თუ სკოლა და ოჯახი თანამშრომლობენ, მაშინ ბევრი რამის გადაწყვეტა შეიძლება მოსწავლის სასარგებლოდ.

„ბავშვები, რომლებსაც ურთიერთობა არ ასწავლეს, სკოლაში შესვლის შემდეგ თავს მარტოხელებად გრძნობენ. შედეგად კი მათ მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ყალიბდება, რაც დღიდან დღემდე სულ უფრო და უფრო აძლიერებს თავდაპირველ ტენდენციას. ირღვევა მათი ნორმალური განვითარება და ისინი რთული ბავშვები ხდებიან. ასეთ შემთხვევებში ადამიანები სკოლას ადანაშაულებენ, თუმცა მან მხოლოდ გამოავლინა ოჯახური აღზრდის ფარული ნაკლოვანებები. სკოლაში ბავშვის წარუმატებლობები გამაფრთხილებელ სიმპტომს წარმოადგენს. ეს სიმპტომი ხსნის არა იმდენად სწავლაში წარუმატებლობებს, რამდენადაც ფსიქოლოგიურ წარუმატებლობებს. ეს ნიშნავს, რომ ბავშვმა აიღო ტენდენცია თავის თავში რწმენის დაკარგვისკენ. ამის შემდგომ სიმამაცის დაკარგვა ბავშვს აიძულებს, თავი აარიდოს სწორ გზებს და ჩვეულებრივი მოვალეობის შესრულებას, მუდმივად ეძიოს სხვა გამოსავალი, რომელიც თავისუფლებამდე და იოლ წარმატებამდე მიიყვანს“.

ალფრედ ადლერი ამ გამაფრთხილებელი ნიშნებისა და სიმპტომების აღმოჩენას კარგ აღმზრდელს უკავშირებს, რომელიც ამ ყველაფრის ამოძირკვას თბილი დამოკიდებულებითა და გაგების გზით შეეცდება.

„სკოლამ უნდა ისწავლოს ბავშვში პიროვნების დანახვა და მას უნდა მოექცეს როგორც პიროვნებას, როგორც ფასეულობას, რომელიც უნდა გაზარდო და განავითარო. ამავდროულად, მან უნდა ისწავლოს ფსიქოლოგიური ინტუიციის გამოყენება ბავშვის ცალკეული ქმედებების შეფასებისას. მან უნდა განიხილოს ეს ცალკეული ქცევითი აქტი არა ცალკეული ნოტების სახით, არამედ პიროვნების ერთიანობის კონტექსტში“.

„ბევრი ბავშვი უმოქმედო პოზიციას ირჩევს როგორც თავისი მდგომარეობის შემსუბუქების საშუალებას. ზარმაც ბავშვებს ყოველთვის უფრო მსუბუქი ფორმით ლანძღავენ და ადანაშაულებენ, ვიდრე სხვებს და ეს მათ არც ისე ძლიერ სულიერ ტკივილს აყენებს. ბავშვები ნაკლებად მტკივნეულად აღიქვამენ სიზარმაცეში დადანაშაულებას, ვიდრე უუნარობაში. სხვა სიტყვებით, ბავშვები სიზარმაცეს შირმასავით იყენებენ, რათა დაემალონ საკუთარ თავში რწმენის არარსებობას, რაც მათ ეხმარება იმ პრობლემების თავიდან არიდებაში, რომლებთან შეჯახებაც უხდებათ“.

დასასრული იხილეთ MASTSAVLEBELI.GE

ირმა
კახურაშვილი

დისციპლინა – დასჯისა და საყვედურის გარეშე

გასული საუკუნის 50-იან წლებში ამერიკელმა ფსიქოლოგებმა, იაკობ კუნინმა და პოლ გამპმა სკოლებში არსებული ე.წ. „ტალღოვანი ეფექტი“ შეისწავლეს. მათ შეამჩნიეს, რომ თუ მასწავლებელი ცალკეულ მოსწავლეს აძლევდა შენიშვნას ან რაიმე ფორმით სჯიდა, ეს მოსწავლეზე პოზიტიურად აისახებოდა, მაგრამ ცოტა ხანში ამ ბავშვის არასახარბიელო ქცევას სხვები იმეორებდნენ.

მსგავს პრობლემებს ჩვენი თაობის მასწავლებლებიც აწყდებიან. ხშირად მათ არც კი იციან, როგორ გაუმკლავდნენ ურჩ და ცელქ მოსწავლეებს და დიდ დროს ხარჯავენ კლასში დისციპლინის დასამყარებლად.

მაგალითად, ერთ-ერთი კვლევით დადგინდა, რომ ამერიკელი პედაგოგები ამაზე კვირაში 144 წუთს ხარჯავდნენ, ხოლო ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაახლოებით სამი კვირა ეკარგებოდათ.

2016 წელს ამერიკელი მეცნიერების მიერ მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიზეზშედეგობრივი ურთიერთობების კიდევ ერთმა კვლევამ დაადასტურა სხვადასხვა სკოლაში „ტალღოვანი ეფექტის“ არსებობა: დიახ, მასწავლებლის სადამსჯელო პოლიტიკა დროებით აუმჯობესებდა მორღვეულ დისციპლინას, მაგრამ საბოლოოდ მოსწავლეები კლასში უფრო და უფრო დესტრუქციულად იქცეოდნენ. მეტიც: ისინი, ვინც კვლევაში მონაწილეობდნენ, თავს განყენებულად გრძნობდნენ, უჭირდათ კონცენტრირება და საკუთარი აზრის გამოხატვა.

თანამედროვე ამერიკელი პედაგოგები დღეს ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ და მსოფლიოს მასშტაბით კოლეგებს უზიარებენ იდეებს, როგორ შეინარჩუნონ დისციპლინა კლასში ისე, რომ საგაკვეთილო დრო მის დამყარებაში არ დაიხარჯოს და მოსწავლეებსაც ნაკლები ზიანი მიადგეთ.

მაგალითად, მათი რჩევით, – რა უცნაურადაც უნდა მოეჩვენოთ ეს ძველი თაობის მასწავლებლებს, – აუცილებელია მოსწავლეთა კარგი ქცევის ხშირი ქება და ცუდის იგნორირება, სადამსჯელო მეთოდებზე კი საუბარიც ზედმეტია.

ამერიკელები ირწმუნებიან, რომ ასეთი მიდგომა სწავლების პროცესს უფრო ეფექტურს გახდის. ისინი გვირჩევენ, მასწავლებლებმა ცელქ მოსწავლეებზე კი არ გაამახვილონ ყურადღება, არამედ შეაქონ მთელი კლასი: „დღეს თქვენ კარგად იმუშავეთ. დღეს ყოჩაღები იყავით“.

ალისა ნუკარო, ინგლისური ენის მასწავლებელი მემფისიდან, გვთავაზობს, საერთოდ არ გამოვიყენოთ სიტყვა: „ნუ“ („ნუ იზამ“). თუ გამოვიყენებთ, ბავშვს კარგად ავუხსნათ, რატომ ვიყენებთ.

ვაშინგტონის ვან ნესის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს ფალონ ტიურნერს მიაჩნია, რომ მასწავლებელმა დღე ხელის ჩამორთმევით და მოსწავლეების ჩახუტებით უნდა დაიწყოს (ცხადია, არაპანდემიურ პერიოდში). ტიურნერი ამბობს, რომ ეს შესაძლოა პაციენტის პულსის ყოველდღიურ შემოწმებას ჰგავდეს. ამ გზით მასწავლებელი უკეთ გრძნობს მოსწავლის განწყობას, მის სასწავლო გულისცემას და მასთან უფრო მჭიდრო კონტაქტს ამყარებს.

ერთ-ერთმა კვლევამ დაადასტურა კიდეც ასეთი მიდგომის სიკეთე. კონტაქტური მისალმება მთელი დღის განმავლობაში პოზიტიურ სტიმულს აძლევს როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებელს და 20%-ით ზრდის მოსწავლეთა აკადემიური აქტივობის დონეს, ხოლო არასათანადო ქცევის დონეს 9%-ით ამცირებს.

ჩახუტებითა და სითბოს გამოხატვით მოსწავლეებთან ურთიერთობის დამყარება კარგი იდეაა, მაგრამ მთავარია ამ ურთიერთობის შენარჩუნება და კრიტიკულ სიტუაციაში მისი გამოყენება. ნიუ-იორკელი მარიკე ვან ვოერკომი, სოციალური პასუხისმგებლობის სასწავლო ცენტრის აღდგენითი პრაქტიკის ტრენერი, ამბობს, რომ „რაც უფრო მჭიდროა მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის ურთიერთობა, მით უფრო მეტი კეთილგანწყობის შექმნაა შესაძლებელი კლასში“.

კიდევ ერთი მიდგომა: თუ მოსწავლეები ისე დასხდებიან კლასში, როგორც თავად მოისურვეს, ალბათობა იმისა, რომ დისციპლინა დაირღვევა, სამჯერ მოიმატებს. რასაკვირველია, ბავშვები უმეტესად ირჩევენ ადგილებს მოსაუბრე და მხიარული კლასელების გვერდით, ამიტომ უმჯობესია, ეს პროცესი იმთავითვე მასწავლებელმა მართოს და უმტკივნეულოდ გადაწყვიტოს.

ემილი პოლაკმა, მედისონის ერთ-ერთი სკოლის მეცხრე კლასის მასწავლებელმა, საკლასო ოთახში დადგა დივანი, სავარძელი და ყავის მაგიდაც კი, ჩამოკიდა რამდენიმე მომღერლის პლაკატი და კედლის ხალიჩა. მან განაცხადა, რომ კლასში მყუდროება ამცირებს მოსწავლეთა შფოთვას და ხელს უწყობს მუშაობას. მისი მოსწავლეები თავად წყვეტენ, სად დასხდნენ – დივანზე თუ იატაკზე, მაგრამ თუ თავს ვერ გაართმევენ რომელიმე ამოცანას, თავიანთ სამუშაო მაგიდებს უნდა მიუბრუნდნენ. პოლაკი ამბობს, რომ ამით დისციპლინის საკითხი ფაქტობრივად მოაგვარა და მოსწავლეებს შემატა მოტივაცია – დასხდნენ იქ, სადაც სურთ, მაგრამ ისწავლონ და არ იცელქონ.

ასევე, ამერიკელი მასწავლებლები გვირჩევენ, შევადგინოთ იმ თვისებების ჩამონათვალი, რომლებსაც დადებითად მივიჩნევეთ. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ მასწავლებელმა ბავშვებს ქცევის წესები დააზეპირებინოს, უმჯობესია, მათთან ერთად განიხილოს, რას ემსახურება ეს წესები, რას იძლევა მათი დაცვა. ბობი შედოქსი, პორტლენდის მეშვიდე კლასის სოციალური კვლევების მასწავლებელი, ბავშვებთან ერთად ადგენს წესების ჩამონათვალს, სადაც ხშირად გვხვდება ასეთი ცნებები: „ინკლუზიური“, „ორიენტირებული“, „ყურადღებიანი“.

„ჩვენ ერთად ჩამოვწერეთ სიტყვები, რომელთა არსის გვჯერა“, – ამბობს შედოქსი. ეს სტრატეგია მას მოსწავლეთა ქცევის კონტროლში ეხმარება.

ინგლისურის ყოფილი მასწავლებელი ტოდ ფინლი წერს: „როგორც უეცარი, სიჩუმის დამრღვევი ზარის წკრიალი იქცევს ჩვენს ყურადღებას, ასევე იღვიძებს მოსწავლეებში ინტერესი, როცა ისინი გრძნობენ სიახლის ეფექტს“. მისი აზრით, ეს სტრატეგია მაშინაც მუშაობს, როცა საქმე ხმაურიანი კლასის დამშვიდებას ეხება.

მასწავლებლები გვირჩევენ, მოსწავლეებს ხშირად შევახსენოთ, რას ვითხოვთ მათგან, რატომ არის საჭირო, მიჰყვნენ ჩვენს მითითებებს. შეხსენებაც შეიძლება ვაქციოთ მოსწავლეთა წახალისების საშუალებად, რათა მათ დაიცვან განსაზღვრული წესები მკაფიო კონტროლისა და იძულების გარეშე. მაგალითად, როდესაც მოსწავლეები ვადაზე ადრე ასრულებენ დავალებას, ისინი ხშირად დგებიან თავიანთი ადგილებიდან ან ცქმუტავენ და ხელს უშლიან სხვებს მუშაობაში. ხშირად შეახსენეთ მათ, რომ ასეთი ქცევა დაუშვებელია; მოიფიქრეთ, რის გაკეთება შეუძლიათ სანაცვლოდ, მიანიშნეთ ამის შესახებ.

მინიშნება შეიძლება იყოს სიტყვიერიც და ვიზუალურიც, მაგალითად, თითების ტკაცუნი. შეგიძლიათ, უბრალოდ სიგნალი მისცეთ ხელით. შეიძლება ხმოვანი მეთოდების გამოყენება, თუნდაც სამაგიდო ზარის დაწკარუნება.

2017 წლის ერთ-ერთი კვლევა ადასტურებს, რომ მოსწავლისადმი ყურადღების გამოხატვის არავერბალური ფორმები, მაგალითად, გაღიმება და თვალით კონტაქტი, ძალიან კარგად მუშაობს. მთავარია, მასწავლებლები და მოსწავლეები ამ „მუნჯურ ენაზე“ წინასწარ შეთანხმდნენ. „მუნჯური ენა“, მინიშნებები, რომლებიც მხოლოდ მასწავლებელმა და მოსწავლეებმა იციან, სახალისოცაა და კლასში ცელქი ბავშვების ქცევასაც აუმჯობესებს.

არ დაივიწყოთ, რომ წესები ყველასათვის საერთოა, უგამონაკლისოდ. ერთი ამერიკელი მასწავლებელი იხსენებს, რომ კარიერის დასაწყისში ძალიან უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა. მას სთხოვეს, დაესაჯა აფროამერიკელი მოსწავლე დრეს-კოდის დარღვევისთვის. დერეფანში ბიჭმა მასწავლებელს სხვა მოსწავლეებზე მიუთითა და ხმამაღლა იკითხა: „ხომ მათაც დასჯით?“ – რის გაკეთებასაც მასწავლებელი არც კი გეგმავდა... ეს მაგალითი კარგად გვაჩვენებს, რომ არ უნდა არსებობდეს გამონაკლისი წესებსა და დისციპლინაში. მასწავლებელი ყურადღებას უნდა ამახვილებდეს მოსწავლის ქცევაზე და არა იმაზე, რამდენად საყვარელია ის. უბრალოდ, შეახსენეთ მოსწავლეებს წესები, მათი დასჯა კი საჭირო არ არის.

ნინო ლომიძე

სიუჟეტი

პერსონაჟი მირბის, ავტორი მისდევს...

„მოიფიქრე პერსონაჟი, რომელიც გგავს, რომელსაც მთელი სულითა და გულით უნდა ან არ უნდა რაღაც. უბრძანე – გაიქეცი! უბიძგე! მერე კი მიჰყევი ფეხდაფეხ. არ ჩამორჩე. პერსონაჟი, შეპყრობილი სიყვარულით ან სიძულვილით, თავად გაგიძღვება და თხრობის ფინალამდეც მიგარბენინებს. მისი მხურვალე ვნებათაღელვა (სიძულვილს განა ნაკლები ცეცხლის შენთება შეუძლია) ააბრიალებს გარემოს და გაახურებს შენს საბეჭდ მანქანას“ – რეი ბრედბერი, ესე „წერის სიხარული“.

ეს „მხურვალე გარბენი“, ბრედბერი თავის არაჩვეულებრივ ესეში ასე ხატოვნად რომ აღწერს, სინამდვილეში, მთელი შემოქმედებითი გზაა. პროცესი, რომელიც ძალიან ჰგავს მოგზაურობას ირეალურ, გამოგონილ სამყაროში. მოგზაურობას გარკვეული მარშრუტით, „სქემით“, რუკით, რომელსაც მიჰყვება ავტორიც და მასთან ერთად – მკითხველიც.

მკითხველებს დაუღალავად გვიზიდავს ეს სამყარო, ვილტვით იქ გადასაბარგებლად, დავიკავებთ წიგნს (ერთგვარ ბილეთს) და მივუყვებით მწერლის მიერ შემუშავებულ „მარშრუტს“.

თხრობა „გვითრევს“, საფიქრალს აღგვიძრავს, გვლლის, გვაფრთიანებს...

მაშ, რაში მჭირდება ეს ტერმინები...

რაზეა ეს ტექსტი? რას გვიამბობს? რა გონებრივ საზრდოს გვიტოვებს? რა საფიქრალს აღძრავს მკითხველში? – ამ კითხვებს ტექსტის ანალიზისას ხშირად სვამენ ხოლმე მასწავლებლები.

ლიტერატურის თეორია, ლიტერატურათმცოდნეობის საბაზისო ცოდნა ძალიან ეხმარება ადამიანს წაკითხულის გაგებასა და გააზრებაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნება, რომლის ცოდნა, გათავისება ძალიან დაეხმარება მკითხველს, ჩაუღრმავდეს ნაწარმოების საზრისს, არის სიუჟეტი.

სიუჟეტი, განმარტების თანახმად, „ნაწარმოების შინაარსის მხატვრული გაშლის ფორმაა“. ტექსტში ამბავი, მოვლენები გარკვეული კანონზომიერების თანახმად ვითარდება, ესა თუ ის შემთხვევა მიზეზშედეგობრივად უკავშირდება ერთმანეთს, ქმნის საერთო ქარგას. ავტორის ჩანაფიქრი, მისი სათქმელი სხვადასხვა სტილისტიკური ხერხის გამოყენებით გადმოიცემა და ქმნის ერთიან კომპოზიციას. სიუჟეტი აქვს ეპიკურ, დრამატულ და ლირიკულ-ეპიკურ ნაწარმოებებს.

თეორიაში გამოყოფენ სიუჟეტის კომპონენტებს. ესენია: პროლოგი, ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა (გაკვანძვა), კულმინაცია, კვანძის გახსნა, ეპილოგი. ეს ელემენტები ყოველთვის ამ თანმიმდევრობითა და რაოდენობით არ გვხვდება და შემოქმედის ნებაზეა დამოკიდებული, რას და რა თანმიმდევრობით გამოიყენებს ის. თუმცა ნებისმიერ ამბავს აქვს კულმინაცია, კვანძის გახსნა, ის როგორღაც ვითარდება. პოსტმოდერნულ ტექსტებში მწერლები ზოგჯერ „ჟონგლიორობენ“ სიუჟეტის ამ ელემენტებით და საინტერესო, მოულოდნელ „ილეთებსაც“ წარმოუდგენენ მკითხველებს.

სიუჟეტის მშრალი ლექსიკონისეული განმარტება ბევრს არაფერს გვეუბნება ამ გასაოცარ კომპოზიციურ ელემენტზე. სამაგიეროდ, იუმორით, საინტერესოდ, ხალასად გვიამბობენ ამის შესახებ თავად მწერლები. პერსონაჟს „დადევნებული“ მწერალი ხომ სწორედ სიუჟეტით იკვლევს გზას. ბრედბერის ესე მეტაფორა საინტერესო, სურათხატოვანი ილუსტრაციაა, არა?

ბლოგში კურტ ვონეგუტისა და ხორხე ლუის ბორხესის მოსაზრებებს გაეცნობით.

ბორხესის 4 სიუჟეტი

არგენტინელი მწერლის, ხორხე ლუის ბორხესის, წიგნში „ვეფხვების ოქრო“ არის ერთი მოთხრობა „ოთხი ციკლი“, რომელშიც ავტორი თავის ხედვას გვიზიარებს. ის ამბობს, რომ მსოფლიო ლიტერატურაში მუდამ ოთხი ამბის ირგვლივ ვითარდება მოვლენები. შესაბამისად, გვაქვს 4 მთავარი სიუჟეტი:

1. სიუჟეტი გამაგრებულ ქალაქზე, რომელსაც თავს ესხმიან და იცავენ მამაცი გმირები; ამასთან, მათ იციან, რომ ქალაქის დაცემა გარდაუვალია და ბრძოლა განწირულია...

2. სიუჟეტი დაბრუნებაზე, სახლში დაბრუნებაზე და ეს დაკავშირებულია პირველთან...

3. სიუჟეტი ძიებაზე, გამოწვევებითა და დაბრკოლებებით სავსე გზაზე, გმირთა სამოგზაურო თავგადასავლებზე...

4. სიუჟეტი ღმერთის მსხვერპლთშეწირვაზე.

ბორხესის აზრით, ადამიანები სხვადასხვაგვარად ჰყვებიან ამ ამბებს, სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ და ასე ქმნიან მხატვრულ რეალობას.

მწერალთა ოსტატობა და მხატვრული სიტყვის ჯადოქრობა კი სწორედ ისაა, ეს საბაზისო ამბები შეამკონ ისე, რომ ერთმანეთისგან განსხვავებული, განუმეორებელი, ჯადოსნური სამყაროები შეიქმნას.

ვონეგუტის 8 „ფორმა“

ვონეგუტის მტკიცებით, ის იყო ერთი იმათგანი, ვინც ლიტერატურის თეორიასა და კრიტიკაში მეცნიერული ხედვის დანერგვა სცადა და ამისთვის „არასაკმარისი მადლიერება მოიმკო“. ცნობილია, რომ კურტის სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც ჩიკაგოს უნივერსიტეტში წარადგინა, კომისიამ არ განიხილა, რადგან მეტისმეტად მარტივად და სალაღობოდ მიიჩნია.

ეს „სალაღობო თეზისი“ „8 ფორმის“ სახელითაა ცნობილი. მართალია, აკადემიურმა საბჭომ ის დაიწუნა, მაგრამ თვალსაზრისი ნამდვილად საინტერესოა და მას ხშირად ციტირებენ ხოლმე სპეციალურ ლიტერატურაში.

ვონეგუტის აზრით, მხატვრული ნაწარმოებების სიუჟეტი 8 ძირითადი ნიშნით ჯგუფდება. ვონეგუტმა თითოეული დაასათაურა.

ადამიანი ორმოში

მთავარ გმირს თავს რაღაც დაატყდება, ის ძლევს სირთულეებს და ამბავი სრულდება იმით, რომ გმირი ან ჯილდოვდება, ან გამოცდილებას იღებს.

ბიჭი ხვდება გოგოს

მთავარ გმირს რაღაც არაჩვეულებრივი, ძალიან კარგი რამ გადახდება, ის მოიპოვებს ბედნიერებას, კარგავს მას, მერე კი იბრუნებს სამუდამოდ.

ცუდიდან უარესისკენ

მთავარი გმირი, „ცუდად იწყებს“, თანდათან კი უკან-უკან მიდის, არაფერიც არ გაუმჯობესდება. ყველაფერი ცუდადაა!

რა გზას დავადგე?

ამბავი ისეთივე ორაზროვანია, როგორც თავად ცხოვრება. მუდმივად საორჭოფოა – კარგისკენ მივდივარ თუ ცუდისკენ?

შესაქმე

სხვადასხვა კულტურაში კაცობრიობას შემოქმედი სხვადასხვა საჩუქრით ანებივრებს. თემა მიწიერისა და ზეციერისა, ღვთიური საჩუქრებისა. დასავლურ ამბებში ასეთი რამ ნაკლებადაა.

ძველი აღთქმა

კაცობრიობა იღებს საჩუქრებსა და შანსებს შემოქმედისგან, მაგრამ ვერ ინარჩუნებს ამ სიკეთეს, ვერ განკარგავს სათანადოდ, საუკუნოდ განწირული და დაცემული რჩება.

ახალი აღთქმა

კაცობრიობა იღებს საჩუქრებსა და შანსებს შემოქმედისგან, ვერ ინარჩუნებს, თუმცა საბოლოოდ მაინც ცხონდება.

კონკია

ჰგავს ახლი აღთქმისეულ განვითარებას. ესა ამბავი აღმასვლაზე (აღზევება), დაღმასვლაზე (დაცემა), კვლად აღმასვლაზე და ა.შ.

საინტერესო და სახალისო უნდა იყოს ამ მზამზარეული ჩარჩოების მისადაგება შესწავლილი ტექსტებისთვის. მოსწავლეებთან ერთად მსჯელობა იმაზე, რომელი პერსონაჟი რომელ სიუჟეტურ „გარბენს“ წარმოგვიდგენს. ვის რომელ ჯგუფს მიაკუთვნებდნენ.

გაკვეთილის გადახალისება, სალაღობო ელემენტების გამოყენება, მოსწავლეების ფიქრისა და აზროვნებისკენ წახალისება ხომ ასე მნიშვნელოვანია სასკოლო რუტინაში.

ნასტასია არაბული

მარტივი მათემატიკური სავარჯიშოები საბავშვო წიგნებიდან

„თვლა ჩემი ჰობია. მიყვარს დღეების, წუთების, თმის სამაგრების, ფანქრების, მეგობრების და საერთოდ, ყველაფრის დათვლა. ვითვლი ჩემგან დამოუკიდებლად, თავისით. პენალში თოთხმეტი იისფერი ფანქარი მიდევს, თუმცა ჩემი საყვარელი ფერი ლურჯია. მეოთხე სართულიდან უკანა ეზოში გასასვლელად სამოცდარვა საფეხურის ჩავლაა საჭირო, ორმოცდაორი ნაბიჯის შემდეგ კი იმ მახინჯ აბრამდე მიხვალთ, რომელზეც „ტიტენის დასახლება“ წერია. ოთხი ათას დღეზე მეტია, რაც ცოცხალი ვარ. ექვს სხვადასხვა ბინაში და სამ სხვადასხვა ქალაქში მიცხოვრია. ხუთ სხვადასხვა სკოლაში ვიარე, სადაც სამი მეგობარი შევიძინე. სამივეს სახელები მ-ზე იწყება. მათგან არცერთთან აღარ მაქვს ურთიერთობა, მაგრამ ჩემი საყვარელი ასოა. [...] ზაფხულის არდადეგები ორმოცდათოთხმეტი დღისგან შედგება. ასე დავითვალე მაცივარზე ჩამოკიდებულ კალენდარში. ორმოცდათოთხმეტი დღე სამოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას სამოც წუთს უდრის. წამებში ჯერ არ გადამიყვანია, მაგრამ ბევრი იქნება. ალბათ რამდენიმე მილიონი“, – ეს ინაა, „ჩვენი სამხრეთის“ მთავარი გმირი. ამ გადასარევ წიგნზე ადრეც დამიწერია. მგონია, რომ ბავშვებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის ბევრ დელიკატურ კითხვაზე პასუხის პოვნაა შესაძლებელი ამ საყმაწვილო რომანში. საინტერესო მგონია ინას პრაქტიკაც – ითვალოს ყველაფერი, იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ამის საჭიროება. ეს პრაქტიკა ორი კურდღლის დევნას ჰგავს: თან მოწყენილობას ებრძვი, თან სამყაროს შეცნობის საკუთარ მეთოდს ქმნი და, ორი კურდღლის ერთად დაჭერისგან განსხვავებით, ამ ორივეს მოხერხება უფრო მარტივია.

საბავშვო წიგნებში ინას გარდა სხვა პერსონაჟებიც არიან, ვინც რაღაცებს ითვლიან, აღწერენ და აღნუსხავენ.

„იცი, რამდენჯერ ვითამაშეთ ბეისბოლი წელს, და შარშან, და იმის წინ? სულ ჩაწერილი მაქვს! ათას ხუთას სამოცდარვაჯერ! რამდენჯერ გამოვიხეხე კბილები ათი წლის მანძილზე? ექვსი ათასჯერ! დავიბანე ხელები თხუთმეტი ათასჯერ. მეძინა სადღაც ოთხი ათასჯერ, ცოტ-ცოტა ხნით თვალის მოტყუებას თუ არ ჩავთვლით. შევჭამე: ექვსასი ცალი ატამი, რვაასი ვაშლი, მსხალი - ორასი ცალი. მსხალზე დიდად არ ვგიჟდები. რაც გინდა, დამისახელე. ყველაფრის სტატისტიკა მაქვს ჩამოწერილი! ზოგი რამე, რაც ათი წლის მანძილზე მაქვს გაკეთებული, მილიარდებამდე ადის.

სულ ოთხასი წიგნი მაქვს წაკითხული. ახლა – რა და რა ფილმები მაქვს ნანახი: ბაქ ჯონსის მონაწილეობით – ორმოცი, ჯექ ჰოქსის – ოცდაათი, ტომ მიქსის – ორმოცდახუთი, ჰუთ გიბსონის – ოცდაცხრამეტი, ვნახე კატა ფელიქსის მულტფილმის ას ოთხმოცდათორმეტი სერია, დაგლას ფერბენკსის ათი კინო, რვაჯერ ვნახე „ოპერის მოჩვენება“ ლონ ჩეინის მონაწილეობით, ოთხი კინო – მილტონ სილსის და ერთი – რაღაც სიყვარულზე, ადოლფ მენჯუ თამაშობდა, ოღონდ მთელი ფილმის განმავლობაში კინოთეატრის ტუალეტში ველოდე, როდის მორჩებოდა ეგ დებილობა, იმიტომ, რომ მერე უნდა დაწყებულიყო „კატა და კანარის ჩიტი“ თუ არა, „ღამურა“ – ის, რომლის დროსაც ყველა ერთმანეთს ებღაუჭება და მთელი ორ საათი შეუჩერებლად კივიან. სეანსების განმავლობაში, ჩემი გამოთვლით, ასე, ოთხმოცამდე საწუწნი კანფეტი, სამასი მოკოლადის ფილა და შვიდასი ნაყინი „ლოლო“ მაინც მექნება შეჭმული...“ – ეს ტომია რეი ბრედბერის „ბაბუაწვერას ღვინოდან“. მისი პირიდან გაზიანი წყლის ბუშტებივით იფრქვევა სიტყვები. მას ძმა ჰყავს – დაგლასი, რომელიც მხოლოდ 12 წლის ასაკში მიხვდება იმას, რომ ცოცხალია და ფიქრობს, ყველამ იცის თუ არა სამყაროში, რომ ცოცხალია. ეს წიგნი ზაფხულის მადიდებელი ოდაა, ყველა ასაკში საკითხავი ტექსტი.

კიდევ ერთი ბიჭი მახსენდება რიცხვებთან გაშინაურებული – 15 წლის კრისტოფერი. მან ზეპირად იცის მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსა და მათი დედაქალაქების სახელები და კიდევ – ყველა მარტივი რიცხვი 7057-მდე. კრისტოფერს არ უყვარს, როცა ეხებიან და ვერ იტანს ყვითელ და ყავისფერ ფერებს, მაგრამ უფრო მეტად ყვითელს. მას წითელი უყვარს და თუ სკოლისკენ მიმავალს გზად ზედიზედ 4 წითელი მანქანა შეხვდა, ესე იგი, სუპერ კარგი დღე ექნება. თუ 4 ყვითელი მანქანა შეხვდა, ესე იგი, ის დღე სუპერ ცუდია და მნიშვნელოვანი საქმეების კეთებას უნდა მოერიდოს. კრისტოფერიც წიგნის პერსონაჟია. *„რა შეემთხვა ღამით ძაღლს და სხვა უცნაური ამბები“* – ასე ჰქვია მარკ ჰედონის გადასარევ წიგნს, რომელზეც წლების წინაც გიყვებოდით.

რატომ გიყვებით ამ პერსონაჟების აკვიატებების ამბებს? რამდენიმე მიზეზია.

ჩვენში რაოდენობრივი აზროვნება სუსტად განვითარებული უნარია და მგონია, რომ ამ უნარის განვითარება ცხოვრებაში კარგ სამსახურს გაგვიწევდა. ჩვენ არ ვითვლით ფულს, რომელსაც სახელმწიფოს ვუხდით, არ ვითვლით დღეებს, რომლებსაც უქმად ვკარგავთ, არ ვითვლით ზიანს, რომელსაც უცოდინრობით ვიღებთ, არ ვითვლით ფასს, რაც ცუდი მმართველობა, დაბალი დონის განათლების სისტემა ან გაუმართავი ჯანდაცვის სექტორი გვიჯდება – თითქმის არაფერს არ ვითვლით. არც ის ვიცით, რამდენად არის დამოკიდებული ჩვენი ბედნიერება ჰაერის სისუფთავეზე, ჯანმრთელობა – სუფთა წყალზე, სიცოცხლის ხანგრძლივობა – ეკოლოგიურად სუფთა საკვებზე, დოვლათი კი – ცოდნაზე. არ ვინტერესდებით იმით, რა ცოდნას იღებენ ჩვენი შვილები სკოლაში გატარებულ 12 წელსა და უნივერსიტეტში გატარებულ კიდევ რამდენიმე წელიწადში და არც იმით, რამდენად ეფექტური აღმოჩნდა მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაწეული ძალისხმევა. რაოდენობრივი აზროვნება ფაქტების სწორ ანალიზსა და არგუმენტირებულ მსჯელობაში გვეხმარება და სამყაროს შესახებ მცდარი წარმოდგენებისგანაც გვიცავს. თუ ამ ტიპის აზროვნებას და ამგვარ ფიქრს ბავშვობიდანვე მივეჩვევით, აღარც მათემატიკა იქნება მხოლოდ რთული სასკოლო საგანი და აღარც სტატისტიკა – რთული ლაბირინთი ბევრი რიცხვით, თუ ამ მიზანს მარტივი თამაშებით, უცნაური აკვიატებებით და ლიტერატურული პერსონაჟების დახმარებით მივაღწევთ. რატომაც არა?!

რაღაცების დათვლას თუ დაიწყებს ბავშვი, უფრო ნათელი წარმოდგენა ექნება თავისი და სხვების ცხოვრების წესზე: მაგალითად, რამდენი წუთი სჭირდება სკოლამდე მისასვლელად, როგორ უფრო სწრაფად მიდის, ტრანსპორტით თუ ფეხით? რამდენ ნაბიჯს დგამს დღეში, რომელ დღეებშია მისი ფიზიკური აქტივობა უფრო მაღალი? რაზეა დამოკიდებული აქტიური და პასიური დღეები – სეზონებზე თუ სხვა გარემოებებზე? რამდენ დროს ატარებს ეკრანთან და ამ დროიდან რამდენია გართობისთვის და რამდენი – სასწავლო მიზნებისთვის გახარჯული? რამდენი წიგნის წაკითხვას ახერხებს თვეში? რამდენი გვერდის წაკითხვის შემდეგ ეფექტება გონება? რომელ მშობელს უფრო მეტი ფუნქცია აქვს მის მოვლაში? რამდენ დროს ატარებენ ერთად ოჯახის წევრები? რას აკეთებენ ამ ხნის განმავლობაში? რომელი დღისაა ბოლო მოგონება, რომელზეც ეღიმება? რომლის გამოც უხერხულობას გრძნობს? რომელიც აბრაზებს? როგორი გართობა მოსწონს? რამდენად ხშირად ახერხებს ისე გართობას, როგორიც ყველაზე მეტად სიამოვნებს? რა უშლის ხელს სურვილების ასრულებაში? და ასე უსასრულოდ. ასეთ კითხვებზე პასუხები ბავშვს, გარდა იმისა, რომ დროის, მოვლენების და სამყაროში მოქმედი წესრიგის უკეთ აღქმაში ეხმარება, უფრო დაკვირვებულსაც ხდის და ამბების განზოგადების უნარსაც უვითარებს.

ბავშვების აკვიატებებს, რაღაცების თვლა იქნება ეს, მწერებზე დაკვირვება თუ ქვების შეგროვება, უფროსები ხშირად არასერიოზულად აღიქვამენ. ყველა აკვიატებას რაიმე მიზეზი აქვს და ყველა უცნაური ჩვევა შეიძლება სიკეთის მომტანი იყოს – ალბათ ესეც უნდა გვახსოვდეს უფროსებს: მეტი ყურადღება, მოთმინება, დაკვირვება და ფანტაზია გვჭირდება ბავშვებთან ურთიერთობისას.

ჩრდილოელი მეზობელიც იყოს, აკი იქ იბადებიან დევები და ურჩხულები, ან ჩვენ ვბადებთ მოჩვენებით ფოლადებს, რომლებიც საბოლოოდ მონსტრებად გარდაისახებიან და სიკვდილის სუნი სდით). ვერ გავანადგურეთ დევები - უკვდავები და ძლიერები, ბოროტები და ხარბები, თვალთმაქცები და მყრალები; ხან მხსნელებად გვევლინებიან, ხან მტრებად, ხანაც უბრალო დამკვირვებლებად. ჰოდა, ჩვენი პატრიოტიზმის გასაღებიც აქ უნდა იყოს, წლების წინ მათთან ბრძოლით დაწყებული ურთიერთობა დღეს მეგობრობაში გადაიზარდა. დევებთან მეგობრობა სახიფათოა, ისინი დემენტორებივით არიან – გწოვენ ყველაზე ჯანსაღსა და სათუთს. აი, ამოგვაცარიელეს პატრიოტიზმისგან და მის ნაცვლად ფსევდოპატრიოტიზმი დაგვიტოვეს, პატრიოტიზმის აჩრდილი. გვატყუებენ, გვაჯერებენ, რომ ჩვენთვისვე აჯობებს, გავჩუმდეთ, რომ დუმილი ოქროა, რომ წერტილი ვართ მსოფლიო რუკაზე და მალე ეს წერტილიც გადაიღებება ლურჯ-წითელ ფერებად, თუ არ გავჩერდებით, თუ ფრთხილად არ ვიქნებით. არადა, დღეს, როგორც არასდროს, მინდა ვიყვირო: დიახ, მე საქართველოს მოქალაქე ვარ – მრავალთაგან ერთი; მე ევროპელიც ვარ, უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის შემქმნელი; მე თავისუფლების მოტრფიალე ვარ და ამ თავისუფლებას ვიმსახურებ! ჩემი თავისუფლება მორწყულია გმირების სისხლით და რა დამათმობინებს! და ჩემი ქვეყანა ისეთი მრავალფეროვანია, იმდენი ხასიათი, ნიჭი და ტალანტია ჩვენთან, იმდენი კულტურა და ისტორია! და მაინც ვერ გამოგვიგნია იმ წითელი ბურუსიდან, 70 წელი ჩრდილოეთიდან რომ მოდიოდა, რომ დევებს და ურჩხულებს ისევ ვუდგამთ ძეგლებს, ვუხსნით მუზეუმებს და გვენატრება! ვეძებთ შემცვლელებს და რომ ვერ ვპოულობთ, სასოწარკვეთილები ისევ ჩრდილოეთისკენ ვაცეცებთ თვალებს, გვენატრება ის გამაბრუებელი და მომწამვლელი წითელი ბურუსიც. და აი, ეს გაჩუმება, ეს ბელადების სიყვარული, ჩრდილოეთისკენ გაწვდილი ხელიც იმით მართლდება, რომ ომი არ გვინდა, რომ ამის თავი არ გვაქვს, ცოტანი ვართ ქართველები; ამიტომ უნდა ვიყოთ მაქსიმალურად მაამებლები და ჩუმები – ემანდ რომელიმე დევი არ გავაღიზიანოთ. ისევ ეს ნაცნობი რიტორიკა, ისევ ეს ირაციონალური შიშები. ამის მეტი რა გამოგვივლია, ამის მეტი რა ვიცით, ისიც, რომ ოქროს გალიის ნებაყოფლობით დადგმასაც არ მოაქვს მშვიდობა, რომ ეს ოქროს გალიაც სისხლს ითხოვს, იმიტომ, რომ ურჩხულები სისხლით იკვებებიან, მათ სასიცოცხლოდ სისხლი სჭირდებათ და რაც უფრო უმანკო იქნება ეს სისხლი, მით უკეთესი. მითიური ვამპირებისა არ იყოს, ქალწულთა სისხლით რომ ძლიერდებიან. ჰოდა, მოვიდა დრო, უარი ვთქვათ ამ ჯოჯოხეთურ მოჯადოებულ წრეზე ტრიალზე, გადავუხვიოთ გატკეპნილ გზას და, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი ისტორია წავიკითხოთ, ოღონდ გამოვტოვოთ მითები და ლეგენდები, გამოვტოვოთ მეფეთა ქება-დიდება და კრიტიკულად შევხედოთ, გავიაზროთ. სად და როდის დავუშვით შეცდომა? ვინ არის მტერი და ვინ – მოყვარე? როდის ვიყავით ყველაზე უსაფრთხოდ? როდის იყო ქართველი ერი ბედნიერი? არა ტერიტორიები, არა სიმდიდრე, არა საჭმელ-სასმელი, არა წმინდანი მეფეები, არა მოგებული ბრძოლები, – მოიძებნება კი ჩვენს ისტორიაში ეპოქა, როდესაც ქართველი ბედნიერი იყო? ქართველი ლაღი იყო? არ ეშინოდა? არ დარდობდა? ამაზე უნდა ვისაუბროთ, ამაზე ბევრი უნდა ვიკითხოთ და ვწეროთ, იქნებ მივაგნოთ იმ რეცეპტს, იმ ძალიან საჭირო ინგრედიენტს, რომელიც დავკარგეთ და აღარ გვახსოვს. იქნებ მართლა ოქროს საწმისს გაჰყვა ჩვენი იღბალიც? ვიყავით კი მანამდე ნამდვილად ბედნიერები? პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, ქმედებაა და ეს ქმედება გარდაისახება გრძნობებად და ემოციებად. ცხადია, რაზეც ზრუნავ, რაშიც შენს ენერგიასა და შრომას დებ, ის ძალიან საყვარელი და ძვირფასი ხდება, ისე, როგორც შვილები. დიახ, სამშობლო შვილად უნდა გვექცეს და არა მამად, იმიტომ რომ მხოლოდ ასეა შესაძლებელი ნამდვილი, ჯანსაღი პატრიოტიზმის აღდგენა, პატრიოტიზმისა, რომელიც ბაღებიდან და სკოლებიდან დაწყებული ზრუნვაა იმ ადგილზე, სადაც ვცხოვრობთ, სადაც ვიზრდებით, იმ ადამიანების ისტორიების გაცნობა, რომლებმაც ქვეყანა შეგვიქმნეს, რომელთა ძვლებსა და სისხლზე დგას დღევანდელი ჩვენი თავისუფლება და იდენტობა. ასე უნდა დაიწყოს პატრიოტიზმის გაღვივება.

პატრიოტიზმის დღევანდელი გაგება მჭიდროდ უკავშირდება გლობალიზაციასაც, რადგან თუ შენი ქვეყანა გიყვარს, მას ვერ გამოაცალკევებ მსოფლიოსგან. მსოფლიოს ქვეყნებს შორის ჩვენი ადგილის დანახვა და განსაზღვრაც ზრუნვა და სიყვარულია. ისიც, რომ დედამიწა ყველას სახლია და ამ სახლზე შენი ქვეყანა ერთი პატარა ოთახია, რომ თუ დედამიწა დაზიანდა, თუ სახლს საფუძველი შეერყა, შენი ოთახიც ჩამოიფშვნება, რომ თუ მეზობელ ქვეყანაში, მეზობელ ოთახში ომია, შენ ვერ იქნები შენთვის, „ღობეს ჩხირი“ აღარ გამოვა სხვისი ჭირი, რომ ჩრდილოეთი კორეა იქცა კარიკატურულ მაგალითად დედამიწის საერთო სახლის უარყოფისა, რომ თუ ბუნებრივ რესურსებს დაზოგავ, ელექტროენერგიას გათიშავ და ონკანს დაკეტავ, როცა არ გჭირდება – პატრიოტიზმის გზას ადგახარ. მასწავლებლებს რამხელა მისია გვაკისრია, მგონი, ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ. ჩვენ შეგვიძლია, პატრიოტიზმის აჩრდილი ნამდვილ პატრიოტიზმად ვაქციოთ, შეგვიძლია, ქმედებით ჩავანაცვლოთ მჭახე, მკვდარი ლექსები, შეგვიძლია, ნაცვლად ძველი მეფეების დიდებისა, მათ შეცდომებზეც დავფიქრდეთ, შეგვიძლია, მოსწავლეებთან ერთად ერთი ხე მაინც დავრგოთ, რათა ის იქცეს ახლად დამყნობილი პატრიოტიზმის სიმბოლოდ. ჩვენ შეგვიძლია, თავადვე დავძლიოთ და გავიმარჯვოთ შიშებსა და ფობიებზე, უარი ვთქვათ დევების მსახურებაზე და მათთან მეგობრობაზე, ვიქცეთ მაგალითებად. შენ ეს შეგიძლია, მასწავლებელო, შენ შეგიძლია ნამდვილი პატრიოტიზმის აღმოცენება, სამშობლოს გადარჩენა, თავისუფლების განმტკიცება, ძლიერი სულის ადამიანების გამოზრდა. ჰოდა, რაღას უყურებ, დაიწყე დღესვე!

ლელა მანგოშვილი

კომპლექსური დავალება – პირადი თვალსაზრისის გამოხატვა

ალბათ ყველა აღმოჩენილა სიტუაციაში, როდესაც მისი მოსაზრება სწორად გაუგიათ და დაუფასებიათ ან პირიქით, არ მიუღიათ. რატომ?

ალბათ ყველა აღმოჩენილა სიტუაციაში, როდესაც მისი მოსაზრება სწორად გაუგიათ და დაუფასებიათ ან პირიქით, არ მიუღიათ.

რატომ?

იმიტომ, რომ პირველ შემთხვევაში კამათის ან საკუთარი მოსაზრების დასაბუთების დროს პიროვნება ავლენს მსჯელობისა და საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარს, ხოლო მეორე შემთხვევაში – ვერა. არადა, დამაჯერებელი არგუმენტების მოსმენის შემდეგ ოპონენტმა შესაძლოა აზრი შეიცვალოს და მოწინააღმდეგის მოსაზრება მისთვის მისაღები გახდეს.

ამიტომ მნიშვნელოვანია, სწავლების დაწყებით საფეხურზე მოსწავლეს განუვითარდეს არგუმენტირებული მსჯელობისა და მოსაზრების დასაბუთების უნარი.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა გამოკვეთს ექვს ფუნქციურ უნარს და მათთან დაკავშირებულ კოგნიტიურ ოპერაციებს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამიზნე ცნებებზე მუშაობის დროს.

ფუნქციური უნარი – კრიტიკული აზროვნება, დასკვნების შეფასება დაკვირვების საფუძველზე უკავშირდება კოგნიტიურ ოპერაციას – დასკვნების ფაქტებით დადასტურება.

წარმოგიდგენთ კომპლექსურ დავალებას „თვალსაზრისის დასაბუთება“, რომელიც შეიძლება განხორციელდეს იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „ჩიტის“ შესწავლის შემდეგ (დავალების ავტორი – ცისანა შერგილაშვილი, ილია ჭავჭავაძის სახელობის ახალქალაქის მე-3 საჯარო სკოლის მასწავლებელი, დაწყებითი განათლების ექსპერტი).

თემა: თავისუფლება
შესაძლო დამატებითი თემატიკა: ზნეობა
კლასი: IV
სამიზნე ცნება – სიტყვიდან ტექსტამდე – შედეგები: (I). 4, 5, 6

- სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები:
- მიზნის შესაბამისი სამეტყველო ქმედების (მაგ., თხრობის, აღწერის, დასაბუთების) განხორციელება ზეპირად ან/და წერილობით;
- მიზნის შესაბამისი ლექსიკისა და ენობრივი საშუალებების შერჩევა;
- სამეტყველო ეტიკეტის ნასწავლი ნორმების დაცვა.

ქვეცნება – დასაბუთება

შუალედური სასწავლო მიზანი

საკითხი: პირადი თვალსაზრისის წერილობითი დასაბუთება (ცოცხალი არსებების დატყვევების შესახებ).

ქვესაკითხი – დასაბუთების აგებულება (მოსაზრება, ახსნა/არგუმენტი, გამამყარებელი მაგალით(ებ)ი); მიზეზშედეგობრივი კავშირების, მიზეზშედეგობრიობისა და პირადი დამოკიდებულების აღმნიშვნელი სიტყვები და წინადადებები.

საკვანძო შეკითხვა: როგორ დავასაბუთო წერილობით პირადი მოსაზრება (ცოცხალი არსებების დატყვევების შესახებ)? რამდენად ამყარებს ჩემს მოსაზრებას მოყვანილი არგუმენტები და მაგალითები?

კომპლექსური დავალების პირობა

პირადი თვალსაზრისის გამოხატვა

ბევრ ადამიანს სახლში ჰყავს ცხოველი ან ფრინველი. ასევე ზოოპარკებში ცოცხალი არსებები მოთავსებული არიან ვოლიერებში. დაფიქრდი, გამართლებულია თუ არა ცხოველებისა და ფრინველების მოწყვეტა თავიანთი ბუნებრივი გარემოდან. წერილობით გადმოეცი შენი დასაბუთებული თვალსაზრისი ამის შესახებ.

ნამუშევარში:

- გამოკვეთე, როგორია შენი მოსაზრება, ახსენი, რატომ მიგაჩნია ასე და მოიყვანე მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითები);
- გამოიყენე მიზეზშედეგობრიობისა და პირადი დამოკიდებულების აღმნიშვნელი სიტყვები და წინადადებები;
- გადმოეცი სათქმელი თანამიმდევრულად.

დავალების შეფასების კრიტერიუმები

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- როგორია შენი თვალსაზრისი; ახსენი, რატომ მიგაჩნია ასე და მოიყვანე მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითები (ს. 3);
- რა სიტყვები გამოიყენე მიზეზშედეგობრივი კავშირების აღსანიშნავად (მაგ., იმიტომ, რომ) (ს. 1, 2).

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

ეტაპი 1. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება:

- გაიხსენე, რისი დასაბუთება გიწევს თანატოლთან, მშობელთან.
- რამდენად მოგიხერხებია შენი აზრის დასაბუთება?
- რას მოითხოვს შენგან ეს დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგება მის შესასრულებლად?
- რისი შესწავლა დაგჭირდება?

კამათის ან საკუთარი მოსაზრების დასაბუთების დროს პიროვნება ან ავლენს მსჯელობისა და საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარს, ან – ვერა. არადა, დამაჯერებელი არგუმენტების მოსმენის შემდეგ ოპონენტმა შესაძლოა აზრი შეიცვალოს და მოწინააღმდეგის მოსაზრება მისთვის მისაღები გახდეს.

ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, დავალების წარდგენა

ნაბიჯი 1. როგორია შენი მოსაზრება; ახსენი, რატომ მიგაჩნია ასე და მოიყვანე მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითები.

რესურსი 1: მოსწავლეთა ნამუშევრებიდან შერჩეული მაგალითები.

მაგალითი 1

„ჩემი აზრით, ცოცხალი არსებების დატყვევება არ არის გამართლებული, ვინაიდან, ამით ისინი წყდებიან თავიანთ ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოს და თავს მოწყენილად გრძნობენ. ერთხელ ზოოპარკში დედამ წამიყვანა. იქ მაიმუნები ვნახე. ძალიან მოწყენილები ისხდნენ გალიებში, თითქოს არაფერი აღელვებდათ. გამახსენდა დოკუმენტური ფილმები მაიმუნებზე, სადაც ისინი მხიარულად დახტოდნენ ხიდან ხეზე და ერთმანეთს ეთამაშებოდნენ“ *(შენიშვნა: ამ მაგალითში სამივე კომპონენტია: თვალსაზრისი, ახსნა, ანუ არგუმენტი და კონკრეტული მაგალითი)*.

მაგალითი 2

„ჩემი აზრით, ცოცხალი არსებების ნახვა რომ შეგვიძლია ზოოპარკში, ძალიან კარგია, ვინაიდან ყველას არ აქვს საშუალება, წავიდეს სამოგზაუროდ და ისე ნახოს საყვარელი ცხოველები და ფრინველები. ამიტომ გამართლებულია მათი ვოლიერებში მოთავსება“ *(შენიშვნა, აქ თვალსაზრისია წარმოდგენილი, მაგალითები არ არის მოყვანილი).*

მაგალითი 3

„იცით, რატომ მომწონს ცხოველების და ფრინველების ჩაკეტვა? იმიტომ, რომ სახლში თუთიყუში მყავს და ძალიან კარგად ვუვლი. მას გალიაში მოთავსებით ვეხმარები თავის დაცვაში. ასე სხვა მტაცებლები ვეღარაფერს დააკლებენ“ *(შენიშვნა: აქ მხოლოდ მაგალითია).*

მაგალითი 4

„ჩემი აზრით, ადამიანის გარდა, სხვა ცოცხალ არსებებსაც აქვთ უფლება, თავისუფლები იყვნენ, თუმცა ხშირად მათ სიცოცხლეს ბუნებრივ

გარემოში საფრთხე ემუქრება. ამიტომ ჯობია, თუ მას ადამიანი დაიცავს და მოუვლის ვოლიერში. მაგალითად, ცნობილია, რომ მელია პატარაა ტანით და ბუნებრივ გარემოში ბევრი მტერი ჰყავს, ამიტომ ის დიდხანს ვერ ცოცხლობს. როცა ის ზოოპარკში ჰყავთ, დაცულია მტაცებლებისგან და ამიტომ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება.

ასევე, ბევრ ადამიანს ძალიან უყვარს ცხოველები და ფრინველები და ძალიან კარგად უვლიან სახლში. ჩემს მეგობარს პატარა ზაზუნა ჰყავდა. ყველა საჭირო აცრას უკეთებდა და საკვებსაც იმას ყიდულობდა, რაც ზაზუნასთვის იყო სასარგებლო. არც სითბოს და სიყვარულს აკლებდა. ჩვენც ძალიან გვიყვარდა მასთან თამაში.

ასე რომ, ვფიქრობ, არაფერია ცუდი იმაში, თუ ცოცხალ არსებებს თავიანთ ბუნებრივ გარემოს მოაშორებ და სამაგიეროდ ისეთ პირობებს შეუქმნი, რომ მას არც სითბო და სიყვარული და არც საკვები მოაკლდეს“.

(შენიშვნა: აქ სამივე კომპონენტია – თვალსაზრისი, ახსნა, ანუ არგუმენტი და კონკრეტული მაგალითი).



მაგალითი 5

„მე მყავს დათვი ნანახი გალიაში. მას ძალიან ცუდად ექცეოდნენ და, ალბათ, ძალიან უბედური იყო ამის გამო“.

აქტივობა 1. დასაბუთების მახასიათებლების დადგენა **კი და არა მაგალითების** მეთოდის გამოყენებით.

გეზის მიმცემი შეკითხვები თითოეული მაგალითის განხილვისას:

- არის თუ არა „მაგალითი 1“ დასაბუთების კარგი მაგალითი? რატომ მიგაჩნია ასე?
- არის თუ არა გამოთქმული თვალსაზრისი?
- არის თუ არა ახსნილი, რატომ მიაჩნია ასე, ანუ მოყვანილია თუ არა არგუმენტი? საიდან ჩანს?
- არის თუ არა არგუმენტის გამამყარებელი კონკრეტული მაგალითი? რომელი?
- გამოყენებულია თუ არა მიზეზშედეგობრიობის ან პირადი დამოკიდებულების აღმნიშვნელი სიტყვები? რომელი?
- რას ურჩევდი თანატოლს ხარვეზების გამოსასწორებლად?

შენიშვნა: ამგვარად განიხილება ყველა მაგალითი.

დასკვნა/შეჯამება:

- რას იტყოდი, როგორია კარგი დასაბუთების მაგალითი?
- რა ნაწილებისგან უნდა შედგებოდეს დასაბუთება (თვალსაზრისი; ახსნა, რატომ ფიქრობ ასე (არგუმენტი); მაგალითი)?

ნაბიჯი 2: რა სიტყვები გამოიყენე მიზეზშედეგობრივი კავშირების აღსანიშნავად (მაგ., იმიტომ, რომ) (ს. 1, 2)? რატომ/რის საფუძველზე დასვი სასვენი ნიშნები ამგვარად?

რესურსები / აქტივობები

აქტივობა 1. პირველადი ვარიანტის დაწერა და შეფასება-გაუმჯობესება;

აქტივობა 2. საბოლოო ვარიანტის შექმნა და წარდგენა.

წარდგენის შემდეგ მოსწავლე აკინძავს პირველად და ბოლო ნამუშევრებს თავის პორტფოლიოში.

გეზის მიმცემი შეკითხვები:

- როგორ დავასაბუთო ჩემი მოსაზრება?
- როგორ გამოვიყენო სტრუქტურა-აგებულების ცოდნა ჩემი აზრის დასასაბუთებლად?
- რომელი ენობრივი საშუალებები გამოვიყენო დასაბუთების დროს?

შეფასების კრიტერიუმებისთვის:

- გამოთქმული გაქვს თუ არა თვალსაზრისი?
- გაქვს თუ არა ახსნილი, რატომ მიგაჩნია ასე?
- გაქვს თუ არა მოყვანილი კონკრეტული მაგალითები?
- გაქვს თუ არა გამოყენებული მიზეზშედეგობრიობის ან პირადი დამოკიდებულების აღმნიშვნელი სიტყვები?
- რის საფუძველზე გამოკვეთე აბზაცები?
- გაქვს თუ არა სწორად გამოყენებული სასვენი ნიშნები?

დავალების წარდგენის დროს და შემდეგ დასასმელი მეტაკოგნიტიური ხასიათის შეკითხვები:

- რატომ მიგაჩნია, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად დასაბუთებაა?
- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა გააკეთე, როგორი თანამიმდევრობით.
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობისას? ყველაზე მეტად რა გაგიძნელდა? რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყო წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხა?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდი მიღწევებს/როგორ მიაღწევ უკეთეს შედეგს?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული ენა და ლიტერატურა – დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) გზამკვლევი – მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი) https://bit.ly/3yWZ1bR

ქეთევან ოსიაშვილი

წარმოსახვითი მეგობარი – ნორმა თუ პათოლოგია?

მართლა საშიშია თუ არა წარმოსახვითი მეგობრის ყოლა? წარმოსახვითი მეგობრები ყველაზე ხშირად 3-დან 5-წლამდე ასაკის პატარებს ჰყავთ. ეს სავსებით ნორმალური მოვლენაა, ამა თუ იმ ფორმით სკოლამდელი ასაკის თითქმის ყველა ბავშვის ცხოვრებაში შეინიშნება და პირდაპირ კავშირშია შემოქმედებითი უნარებისა და წარმოსახვის განვითარებასთან.

ერთხელ ოთხი წლის გოგონას დედამ შემომჩივლა: „მგონი, ჩემს შვილს რაღაც სჭირს, ვშიშობ, რამე სერიოზული არ იყოს. რამდენიმე დღის წინ, მის ოთახში შესული, უცნაური სცენის მოწმე გავხდი: მეგონა, უკვე ეძინა, ის კი ემოციურად ლაპარაკობდა, თითქოს ვიღაცას რაღაცას უმტკიცებდა. შევშფოთდი, რადგან ოთახში არავინ იყო. როცა ვკითხე, ვის ელაპარაკები-მეთქი, მიპასუხა, ჩემს მეგობარს, ლიკასო. გაოგნებულმა, იქვე სკამზე ჩამოჯდომა დავაპირე, მაგრამ მან შემაჩერა – არ დაჯდე, მაგ სკამზე ლიკა ზისო. საგონებელში ვარ ჩავარდნილი, არ ვიცი, როგორ მოვიქცე“.

ეს ქალბატონი არ არის გამონაკლისი. ადრეული ასაკის ბავშვები ხშირად უცხადებენ მშობლებს, რომ მეგობარი ჰყავთ და ის ყველაზე კარგია. თავდაპირველად დედას უხარია, რომ მისი შვილი ვიღაცასთან მეგობრობს, რადგან იცის, რომ მეგობრობა მნიშვნელოვანია ბავშვისთვის, მაგრამ მის სიხარულს მალე დაბნეულობა ცვლის, მერე კი შიში, რადგან აღმოაჩენს, რომ მეგობარი ნამდვილი კი არა, გამოგონილია.

მართლა საშიშია თუ არა წარმოსახვითი მეგობრის ყოლა?

წარმოსახვითი მეგობრები ყველაზე ხშირად 3-დან 5-წლამდე ასაკის პატარებს ჰყავთ. ეს სავსებით ნორმალური მოვლენაა, ამა თუ იმ ფორმით სკოლამდელი ასაკის თითქმის ყველა ბავშვის ცხოვრებაში შეინიშნება და პირდაპირ კავშირშია შემოქმედებითი უნარებისა და წარმოსახვის განვითარებასთან. ბავშვის განვითარებაში არსებულ გადახრებსა და დარღვევებზე ის არ მიუთითებს. უბრალოდ, პატარები ცხოვრობენ ჯადოსნურ სამყაროში, რომელიც მათივე ფანტაზიის ნაყოფია. ამასთან, წარმოსახვითი მეგობარი ბავშვისთვის მუდამ თამაშის ნაწილს წარმოადგენს. ის შეიძლება იყოს როგორც ზრდასრული ადამიანი, ისე თანატოლიც, სუპერგმირი, პრინცესა, ნებისმიერი ცხოველი თუ ჯადოსნური არსება.

როგორ მოვიქცეთ, თუ შევამჩნიეთ, რომ ბავშვს წარმოსახვითი მეგობარი ჰყავს?

უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზზე დავფიქრდეთ. მიზეზი, გარდა ბავშვის მდიდარი ფანტაზიისა, შესაძლოა იყოს:

- **მარტოობა და ურთიერთობის დეფიციტი** – წარმოსახვითი მეგობრები უმეტესად იმ ბავშვების ცხოვრებაში ჩნდებიან, რომლებიც თავს მარტოსულად გრძნობენ. მაგალითად, იმის გამო, რომ ოჯახში მეორე ბავშვი გაჩნდა და მშობლები მასზე არიან გადართულნი, ან თავიანთი საქმეებით არიან დაკავებულნი და შვილისთვის ვერ იცლიან. წარმოსახვითი მეგობრის გაჩენის ალბათობა მკვეთრად იზრდება, თუ ბავშვი დედისერთაა. პატარა შესაძლოა უფრო მეტად გახდეს დამოკიდებული თავის წარმოსახვით მეგობარზე, თუ რეალობაში თავისი ასაკის მეგობრების პოვნა გაუჭირდა.
- **განუხორციელებელი სურვილები** – ხშირად წარმოსახვითი მეგობრის საშუალებით ბავშვი იმ სურვილების რეალიზებას ახდენს, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში ვერ აისრულა. მაგალითად, უნდა, ჰყავდეს ძაღლი, მაგრამ მშობლები ვერაფრით დაიყოლია, ამი-

ტომ მას თავის გამოგონილ სამყაროში „იღებს“.

გადაჭარბებული მეურვეობა, ჰიპერმზრუნველობა, ზეწოლა – თუ მშობლები ყველაფერს უკრძალავენ და მცირე გადაცდომისთვისაც კი სჯიან, ბავშვი შესაძლოა კუთხეში აღმოჩნდეს მომწყვდეული და საკუთარი თავის სხვაგვარად გამოხატვა ვერ შეძლოს, გარდა იმისა, რომ გაიჩინოს წარმოსახვითი მეგობარი. მასთან „ურთიერთობაში“ ის მშობლის როლს ირგებს და ზუსტად იმეორებს თავისი დედ-მამის ქცევას – კიცხავს და სჯის გამოგონილ მეგობარს. უფროსებისთვის ეს შესანიშნავი საშუალებაა, შორიდან შეხედონ საკუთარ თავს და გარკვეული დასკვნები გამოიტანონ.

დანაშაულის გრძნობა – ბავშვს შესაძლოა აშინებდეს თავისი საქციელის შედეგები, მშობლების უკმაყოფილება, გაუგონრობისთვის მოსალოდნელი სასჯელი. დანაშაულის გრძნობით გამოწვეული დაძაბულობა სუსტდება, როდესაც პატარა თავდავიწყებით გადაეშვება წარმოსახვით სამყაროში და სასჯელის თავიდან ასაცილებლად ყველაფერს წარმოსახვით მეგობარს გადააბრალებს.

ერთფეროვანი ცხოვრება და შთაბეჭდილებების ნაკლებობა – რეალურ სამყაროში შთაბეჭდილებების ნაკლებობის დროს ბავშვი ქმნის წარმოსახვით სამყაროს, რომელშიც თავის გამოგონილ მეგობრებთან ერთად გამუდმებით ხვდება რთულ სიტუაციებში, მოგზაურობს საინტერესო ადგილებში და ა.შ. მას უჩნდება სურვილი, მოგვიყვეს ჯადოსნურ სამყაროზე, ზღაპრულ არსებებზე, წარმოუდგენელ თავგადასავლებზე.

თუ ბავშვის ცხოვრებაში წარმოსახვითი მეგობარი გაჩნდა, ნუ ატეხთ განგაშს. 3-4 წლის ასაკში მისი არსებობა გადახრაზე კი არა, არამედ ნორმალურ ფსიქიკურ განვითარებაზე მეტყველებს. ხშირად წარმოსახვითი მეგობარი ეხმარება პატარას, თავი გაართვას ამა თუ იმ პრობლემას და შეიძინოს სოციალური ჩვევები.



მატრავმირებელი მოვლენები – საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, მშობლების დაშორება, მძიმე ავადმყოფობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება ასევე შეიძლება გახდეს ბავშვის ცხოვრებაში წარმოსახვითი მეგობრის გაჩენის მიზეზი.

როგორ მოვიქცეთ, თუ შევამჩნიეთ, რომ ბავშვს წარმოსახვითი მეგობარი გაუჩნდა?

ასეთ დროს უფროსების სწორი მოქმედება ძალიან მნიშვნელოვანია. დაუშვებელია ბავშვის გაკიცხვა, დასჯა, მისი ფანტაზიის დაცინვა და უპატივცემულობა, ისეთი ფრაზების გამოყენება, როგორიცაა: „შეწყვიტე ბოდვა!"; „რა სისულელეა!"; „ასეთი მეგობრები არ არსებობენ". წარმოსახვითი მეგობარი ბავშვისთვის სრულიადაც არ არის სისულელე, ჩვენ კი ასეთი ქცევით შეგვიძლია, უწყინარი ფანტაზია მარტივად გადავაქციოთ პათოლოგიად ან მივაღწიოთ იმას, რომ ბავშვმა ჩვენდამი ნდობა დაკარგოს. ჩვენი არასწორი რეაქციის კიდევ ერთი შედეგი ის იქნება, რომ ბავშვი დაივიწყებს ოცნებას და თავს დაანებებს ფანტაზიორობას.

კარგი იქნება, თუ ვთხოვთ, მეტი გვიამბოს თავისი „ახალი" მეგობრის შესახებ. უფრო უკეთესი იქნება, თუ მას აღმზრდელობითი მიზნებისთვის გამოვიყენებთ, მაგალითად, წარმოსახვითი მეგობრის დახმარებით შეგვიძლია გავიგოთ, რას ფიქრობს სინამდვილეში ბავშვი საბავშო ბაღზე, აღმზრდელებზე, მის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებსა და თავად მშობლებზე. იმას, რისი თქმაც ბავშვს პირადად არ შეუძლია, აუცილებლად გვეტყვის თავისი წარმოსახვითი მეგობრის დახმარებით.

ბავშვის ქცევაზე დაკვირვებით, როდესაც ის თავის წარმოსახვით მეგობარს ეთამაშება, შეიძლება გავიგოთ ისეთი რამ, რაზეც ეჭვიც არასოდეს გაგვჩენია. ასეთ თამაშებში როგორც თავად ბავშვის, ისე მთელი ოჯახის შინაგანი, დაფარული პრობლემები აისახება. წარმოსახვით მეგობართან ბავშვის „ურთიერთობაზე" დაკვირვებამ შესაძლოა დაგვანახოს, რა აწუხებს ბავშვს და თავიდან აგვაცილოს პრობლემის შემდგომი პროგრესირება.

თუ ბავშვი წარმოსახვით მეგობარს გვიმალავს, ეს ჩვენდამი მის შიშსა და უნდობლობაზე მეტყველებს, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება ჩვენს ურთიერთობაზე.

ამრიგად, თუ ბავშვის ცხოვრებაში წარმოსახვითი მეგობარი გაჩნდა, ნუ ატეხთ განგაშს. 3-4 წლის ასაკში მისი არსებობა გადახრაზე კი არა, ნორმალურ ფსიქიკურ განვითარებაზე მეტყველებს. ხშირად წარმოსახვითი მეგობარი ეხმარება პატარას, თავი გაართვას ამა თუ იმ პრობლემას და შეიძინოს სოციალური ჩვევები. წარმოსახვით მეგობართან ურთიერთობის წყალობით ბავშვს უვითარდება საკომუნიკაციო უნარები: ის სწავლობს თანამოსაუბრის მოსმენას და მის კითხვებზე პასუხის გაცემას.

სკოლაში შესვლის შემდეგ წარმოსახვითი მეგობარი ხშირად თავისთავად ქრება. უფროსების სწორი დამოკიდებულების შემთხვევაში ის ისევე მოულოდნელად მიდის ბავშვის ცხოვრებიდან, როგორც გამოჩნდა. ამიტომ ისე მივუდგეთ მის გამოჩენას, როგორც ბავშვის განვითარების ბუნებრივ ეტაპს.

მანანა სეხნიაშვილი

აქტივობები, მდგრადი განვითარებისთვის

გარემოს დაცვაზე არაერთხელ დამიწერია. ბოლო პერიოდში ჩემი ყველა აქტივობა მდგრად განვითარებაზეა ორიენტირებული. თანამედროვე სკოლაში გეოგრაფია უნდა გახდეს ის რგოლი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს, გააცნობიეროს ბუნებისა და საზოგადოების, ბუნებრივი და სოციალური დისციპლინების მჭიდრო ურთიერთკავშირი. გეოგრაფია ეხმარება მოსწავლეს ცნობიერების ჩამოყალიბებაში, ეს კი, თავის მხრივ, ეხმარება მას, გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა იმ ყველაფერზე, რაც სამყაროში ხდება.

ძალიან საინტერესოა, რას ფიქრობენ ჩვენი მოსწავლეები გარემოს დაცვაზე. მათი აზრებისა და დამოკიდებულებების მიმართ ინტერესი განსაკუთრებით ძლიერდება წლის ბოლოს, როცა კიდევ ერთ თაობას უშვებ დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე, როცა თან გიხარია და ამაყობ და ამავე დროს უზომოდ გიჭირს განშორება. წელს ხომ ჩემი ანანო ამთავრებს სკოლას.

ანანო, ნუცა, თამარი, ანა... გახსოვთ, რამდენი სტატიის თანაავტორები და გმირები არიან?

აი, რას წერს ანანო გაფრინდაშვილი (ჩემი ანანო):

„ის შეუფასებელია, ყველასა და ყველაფერშია და სიცოცხლე ჰქვია. მას ამ სამყაროში, ამდენ გალაქტიკასა და პლანეტას შორის, შეიგრძნობ მხოლოდ ერთადერთზე – დედამიწაზე.

რას ემსახურება ეკოლოგიური განათლება? იმას, რომ ჩვენი რეალური სახე დავინახოთ. დიახ, ჩვენი და არა სხვისი, რადგან ეს რამდენადაც მე მეხება, ზუსტად იმდენადვე გეხებათ თქვენ და სხვებს.

ეკოლოგიური განათლება ფაქტობრივ ცოდნასთან ერთად გულისხმობს ემპათიას, რის გარეშეც ვერ იარსებებს დედამიწაზე სიცოცხლე და თანაცხოვრება. სწორედ ემპათიის ნაკლებობის გამოა, აქამდე რომ მოვედით. გავიგოთ, რა სჭირს დედამიწას და მისი გაჭირვება ჩვენ როგორ გვავნებს, ან ჩვენ თუ ჯერ ვერ გვავნებს, მაშინ დავფიქრდეთ ჩვენს წვლილზე პრობლემაში.

მართალია, რთულია, მოსთხოვო ამ სახის ემპათია ადამიანს, რომელსაც მასლოუს პირამიდის წვერამდე ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი და საკუთარი თავის გადასარჩენად იბრძვის ყოველდღე. თუმცა ეს ადამიანები გაცილებით ცოტა ზიანს აყენებენ დედამიწას, იმათთან შე-

ძალიან საინტერესოა, რას ფიქრობენ ჩვენი მოსწავლეები გარემოს დაცვაზე. მათი აზრებისა და დამოკიდებულებების მიმართ ინტერესი განსაკუთრებით ძლიერდება წლის ბოლოს, როცა კიდევ ერთ თაობას უშვებ დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე, როცა თან გიხარია და ამაყობ და ამავე დროს უზომოდ გიჭირს განშორება.

დარებით, ვისაც ქონება, რაღაც სახის ძალაუფლება და ძალაუფლებასთან ერთად მეტი და მეტი ამბიცია აქვთ.

ადამიანურმა ამბიციებმა განვითარების ზენიტში აიყვანა მსოფლიო. გამოთქმაა ასეთი – „რაც არ გვკლავს, გვაძლიერებს“, ხოლო ჩვენს ყოფას დღევანდელი გადმოსახედიდან ასე შევაფასებდი: „რაც გვაძლიერებს, ის გვკლავს“.

ჩვენი მოვალეობაა, გავიაზროთ, რომ ადამიანის, ცხოველის, მცენარის, წვიმის, მზისა თუ თოვლის არსებობა შეუფასებელი და ერთადერთია“.

სტატიის სათაური კი ნუცა სეხნიაშვილის ესედან არის აღებული:

„ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა“, – თქვა ილია ჭავჭავაძემ. შესაბამისად, ის, თუ როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება ადამიანი, ბავშვობაში წყდება და სკოლას აქვს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გავლენა მის აზროვნებასა და ცოდნაზე. მაშასადამე, აუცილებელი ყოფილა ბავშვისთვის სკოლაშივე გარემოს სიყვარულისა და მოფრთხილების ჩანერგვა, რათა ზრდასრულობაშიც გაითვალისწინოს დედაბუნების ინტერესები“.

„დაუვიწყარია სტუმრობა გეოგრაფიულ საზოგადოებაში, ჩვენი სახელმძღვანელოების ავტორთან, მაია ბლიაძესთან შეხვედრა. რადგან ყველა ვერ დაესწრო, ჩვენ მოვაწყვეთ სემინარი და ქალბატონი მაიასგან მიღებული ინფორმაცია გავაცანით ჩვენი სკოლის უფროსკლასელებს. თამაშებისთვის დავამზადეთ ბარათები და პლაკატები. იმედი მაქვს, რომ ჩვენმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და იმ დღეს ვიღაც სახლში ოდნავ უფრო მეტი ცოდნითა და შეგნებით წავიდა.

გერმანულის გაკვეთილიც ხშირად ქცეულა ბუნების დაცვაზე არგუმენტების მოყვანის, დასაბუთებისა და ახალი ინფორმაციების შეცნობის სივრცედ, ოღონდ, რა თქმა უნდა, გერმანულად და ბოლოს ნასწავლი სიტყვების გამოყენებით. ლეონარდო და ვინჩიმ თქვა, ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ყველგან რაღაცას ასწავლისო. არც ეს შემთხვევაა გამონაკლისი და ვიტყოდი, რომ ახალ-ახალი ინფორმაციები ბუნების დაცვაზე ყველგან გვხვდება: დასვენებაზე ისტორიის მასწავლებლისგან, წინა დღეს რომ შეამჩნია, ვიღაცა სიგარეტის ნამწვავს მანქანიდან აგდებდა და თავაზიანად სთხოვა, აიღე და გადააგდეო; კლასელისგან, სკოლის შემდეგ ავტობუსის გაჩერებაზე ახალ ნიღაბს რომ იკეთებდა და გადაკვრით გვითხრა, თურმე სამედიცინო ნიღბის საყურეებში ჩიტები იხლართებიან ნაგავსაყრელზე და გადაგდებამდე მათი დაძრობა ჯობიაო; ხშირად მასწავლებლები ექსკურსიების, პიკნიკის ან საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვების შემდეგ გარემოს დასუფთავებას რომ იწყებენ, ბავშვებს მაგალითს აძლევენ და იმავეს გაკეთებისკენ უბიძგებენ. გარემოსდაცვითი განათლება არ არის კონკრეტული საგანი, ის ყველა სხვა საგნის და ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია“.

აი, ასეთი მოსწავლეების გაცილება მიწევს ამ სასწავლო წელს. თითქოს გუშინ მოვიდნენ სკოლაში, ბედნიერები და ცოტა დამფრთხალი სახეებით, თვალებციმციმა ვარსკვლავები.

„ეკოლოგიური პრობლემები თანამედროვე

ეკოლოგიური განათლება ფაქტობრივ ცოდნასთან ერთად გულისხმობს ემპათიას, რის გარეშეც ვერ იარსებებს დედამიწაზე სიცოცხლე და თანაცხოვრება. სწორედ ემპათიის ნაკლებობის გამოა, აქამდე რომ მოვედით. გავიგოთ, რა სჭირს დედამიწას და მისი გაჭირვება ჩვენ როგორ გვავნებს, ან ჩვენ თუ ჯერ ვერ გვავნებს, მაშინ დავფიქრდეთ ჩვენს წვლილზე პრობლემაში.

სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, მათი გადაჭრის გზების გამონახვა კი კაცობრიობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ამოცანაა. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა საკითხი, მისი მოგვარების ქვაკუთხედიც განათლებაა“, – წერს მეთერთმეტეკლასელი თამარ გადელია.

თამარი იქითა საქართველოდან არის. ყველა ჩვენგანის საოცნებო საქართველოდან.

– მასწ, ხომ არ გგონიათ, ომი იქ დამთავრდა? უკვალოდ არ გამქრალა, ომი მთელი ცხოვრება გრძელდება, ის ჩვენშია. თაობებზე გადმოვიდა და... – მითხრა თამარმა. ვიგრძენი, რომ ორივეს ბურთი გაგვეჩხირა ყელში და ცრემლი მოგვაწვა.

„ჩვენ დაგვავიწყდა, როგორ ვიყოთ კარგი სტუმრები, როგორ ვიაროთ დედამიწაზე მსუბუქად, ისე, როგორც ამას მისი სხვა ბინადრები აკეთებენ“, – არ ვიცი, ვისი სიტყვებია ეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანის ყოველდღიური სამოტივაციო ციტატა. სწორედ ასეთი აზროვნება ვისწავლე და დავუკავშირე მას ჩემი ცხოვრება, რომელიც, ვცდილობ, იყოს ენერგოეფექტური და ეხმარებოდეს გარემოს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში. ხოლო იმისათვის, რომ დაიწყო რაიმე საკითხის მოგვარების გზების ძიება, მნიშვნელოვანია ჯერ მისი შესწავლა და ფაქტების ანალიზი. ჩემთვის ცნობილია, რომ დღეს არსებული გარემოს პრობლემების მოსაგვარებლად კომპლექსური მოქმედებაა საჭირო. ამის გამო, მიმაჩნია, რომ ჩვენ ვართ ერთი დიდი სისტემის ნაწილი, რომლის თითოეული კომპონენტის ფუნქციონირება ერთნაირად გამართული უნდა იყოს, ერთ-ერთის მორღვევა კი გამოიწვევს მთელი მექანიზმის მოშლას. ამიტომ, თუ ფეხით დავდივარ, არ ნიშნავს, რომ შემიძლია ვიხმარო განუსაზღვრელი რაოდენობის პლასტმასა ან ქაღალდი. როგორც სკოლის მოსწავლეს, ზემოთ ხსენებული მასალებისგან დამზადებული პროდუქცია ნამდვილად მჭირდება, მაგრამ გამოსავალი შემდეგშია – ერთჯერადის ნაცვლად ვიყენებ მრავალჯერად მინის ბოთლს. მაქსიმალურად ვავსებ რვეულის თითოეულ გვერდს, სანამ მეორეზე გადავალ. ჩემი ცხოვრება სავსეა ასეთი მარტივი ელემენტებით“.

აი, ასეთია თამარი. ხან მხიარული და ხმაურიანი, ხან კი დაფიქრებული და სევდიანი. მიზეზი არ ვიცოდი. ძალიან ჭკვიანი და გონიერი თამარი გამორჩეული და წარმატებული მოსწავლეა. არჩევანი გავაკეთეო, მახარა ცოტა ხნის წინ – გარემოს დაცვის მიმართულებით მინდა გავაგრძელო სწავლაო. სადაც უნდა იყოს და რასაც უნდა აკეთებდეს, ვიცი, წარმატებული იქნება.

„ადამიანმა ბუნების შესწავლა ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან დაიწყო. ადამის შვილებ-

სა და ბუნებას შორის ურთიერთობა დროთა განმავლობაში განვითარდა, შემგროვებლებისა და მონადირეების დროიდან ტექნოლოგიურ ხანამდე. მოგვიანებით ბერძნულ და რომაულ ისტორიაში საწვავი და გემთმშენებლობისთვის საჭირო საშენი მასალების მოსაპოვებლად ხმელთაშუა ზღვის აუზში მრავალი მთის ფერდობზე გაიჩეხა ტყე და ამის შედეგად გახრიოკებული ლანდშაფტების ნახვა დღესაც შეიძლება“, – ეს მეთერთმეტეკლასელი თბილი და მოღიმარი ელენე გოჭოშვილია, რომელსაც მუდამ აქვს პასუხი.

მეცხრეკლასელებიც მინდა გაგაცნოთ. ეს ის ასაკია, როცა უკვე კარგად ვუგებთ ერთმანეთს. იციან, რა და როგორ უნდა გააკეთონ. პატარა გამოგონებაც კი აქვს უკვე ლიზი კახეთელიძეს, რომელიც შრომისმოყვარეობით გაგაოგნებთ:

„ნიადაგის დაბინძურებაზე უფრო დეტალურად სკოლაში შევიტყვე და გადავწყვიტე, შემექმნა ორი ნივთი, რომლებითაც გარემოს დაცვას მცირედ შევძლებდი. პირველ გამოგონებაში დაპატარავებული ტანსაცმელი გადავაკეთე ჩანთებად. ამით შევამცირე პოლიეთილენის გამოყენება, რომელიც საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს გარემოზე. ზუსტად პოლიეთილენის პარკების გამო იღუპება უამრავი წყალქვეშა ცხოველი, რადგან მათ ის საკვები ჰგონიათ. მე ასევე შევძელი გადამემუშავებინა ორი რამ - წყლის ბოთლი და ყურის საწმენდი ბამბა. მივიღე მექანიზმი, რომლითაც მცენარეებს ვრწყავ. ბოთლის თავსახურს გავუხვრიტე თავი, შემდეგ კი იქ გავუკეთე ყურის საწმენდი ბამბა. ბოთლში წყლის ჩასხმის შემდეგ მცენარეები მარტივად, უჩემოდ ირწყვება“.

ყველაზე მეტად კი ეთო აბულაძემ და ანა წილოსანმა გამაკვირვეს. მათ ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, მისი უდიდებულესობა მოდა და გარემოზე მისი გავლენა გააკრიტიკეს:

„უამრავი პრობლემიდან ჩემთვის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა მოდა და მისი გავლენა გარემოზე. გიფიქრიათ, ყოველწლიურად რამდენ ტანსაცმელს ვყიდულობთ, რომლებსაც რამდენიმე გამოყენების შემდეგ ნაგავსაყრელზე მოვისვრით ცუდი ხარისხის გამო? იაფფასიანი სამოსის ყიდვა შემდგომში ნივთის მოხმარების ხანგრძლივობაზე აისახება. ეს ყველაფერი სწრაფი მოდაა, რომელიც იმდენად მალე ცვდება, რამდენად სწრაფადაც შეიქმნა. ტრენდის სწრაფი წარმოება, რეპლიკაცია, დაბალი ფასები – ეს ყველაფერი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს არა მხოლოდ გარემოს, არამედ მყიდველსა და წარმოებაში ჩართულ ადამიანს“, – წერს ეთო.

„სწორედ ამ დროს იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამოქალაქო მოძრაობები და სწორი პროტესტი. ყველამ უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა, რომ წინ აღუდგეს მსგავს უსამართლობას სიტყვით თუ საქმით. იმისთვის, რომ ჩვენ, ცალკეულმა ინდივიდებმა, ხელი შევუშალოთ სწრაფი მოდის რისკებს, შეგვიძლია შევიძინოთ ტანსაცმელი მეორადი მაღაზიებიდან, განვაახლოთ ან შევაკეთოთ ჩვენი ძველი სამოსი და ფეხსაცმელი, გავაჩუქოთ და გავყიდოთ ჩვენი ნივთები და ა.შ. ადამიანი ათასობით წელია ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, თუმცა მისი საქმიანობა არასოდეს ყოფილა ისეთი დამაზიანებელი, როგორიც ახლაა. სწორედ ამიტომ გვაქვს მორალური ვალდებულება, მეტი ვაკეთოთ მომავალი თაობებისთვის, რათა შევუნარჩუნოთ ის, რაც ჩვენამდე მოვიდა“, – ასე ზრუნავს ანი გარემოზე.

გლობალურ პრობლემებზე საუბრისას ახალი იდეაც დაიბადა. ნიკა კალანდიას სიტყვები – „დედამიწასთან ლაპარაკი“ – დღის ფრაზად გამოვაცხადეთ. ნომინაციებიც დავაწესეთ: თვის და წლის ფრაზა.

– მასწ, თავიდან მე-7 კლასში განსხვავებულმა გაკვეთილებმა ჯერ გამაკვირვა, მერე მომეწონა და ახლა ვიცი, რომ მაგარი ხართ, – მითხრა თამარმა.

მაგრები, გონიერები, ჭკვიანები თქვენ ხართ. უკეთეს ქვეყანასაც თქვენ ააშენებთ და იქნებ დაბრუნდეთ კიდეც იქითა საქართველოში.

ნუცას სიტყვებით დავასრულებ: *„რადგან თანამედროვე სამყაროში ნაკვალევის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია, გარმოსდაცვითი განათლება დამეხმარა შუალედის პოვნაში, რომლისთვისაც ჯერ ვერ მიმიღწევია, მაგრამ მისკენ სვლას ვაგრძელებ“.*

ქეთევან კობალაძე

ზრდასრულობა – სირთულეები და გამოწვევები

– მშობლებთან მუშაობისას ხშირად ვაწყდები ორ მცდარ შეხედულებას, – მშობლებსა და დაინტერესებულ მკითხველს მიმართავს მარკ მაკკონვილი წიგნში „როგორ დავეხმაროთ ზრდასრულ შვილს დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში“, – პირველი: შეხედულება, რომელიც არ შეესაბამება სიმართლეს – როდესაც ზრდასრულობაში შესული შვილები გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან და პრობლემებს ვერ უმკლავდებიან, ამაში დამნაშავე მშობლები არიან. ისინი ხშირად სინდისის ქენჯნას განიცდიან, რადგან ფიქრობენ, რომ არ ეყოთ განათლება, შვილების აღზრდისას შეცდომები არ დაეშვათ. ზოგჯერ ის მშობლები, რომლებსაც ოჯახები დაენგრათ, ფიქრობენ, რომ ამან შვილების პიროვნულ ზრდაზე სერიოზული გავლენა მოახდინა. დანაშაულის განცდით იტანჯებიან ასევე ის მშობლები, რომლებიც გარკვეული დამოკიდებულების ქვეშ იყვნენ (სასმელი, ნარკოტიკი...). შფოთვითი აშლილობების და დეპრესიის მქონე მშობლებიც მძიმე განცდებით არიან შეპყრობილი და ფიქრობენ, რომ მათმა ასეთმა მდგომარეობამ შვილებზე ნეგატიურად იმოქმედა. დანაშაულის განცდა უბიძგებს მშობლებს, მთელი ძალით იზრუნონ ჩადენილის გამოსწორებაზე. ასეთი დამოკიდებულება მცდარია და დახმარებას ვერ უწევს ვერც ბავშვებს, ვერც მოზარდებს და ვერც ზრდასრულ შვილებს.

ფართოდ გავრცელებული მეორე შეცდომა პირველის საპირისპიროა – მშობლებს მიაჩნიათ, რომ არანაირ პასუხისმგებლობას არ უნდა იღებდნენ ზრდასრულობას მიღწეული შვილების შეცდომებზე, არასწორ გადაწყვეტილებებსა და უსაზღვრო ეგოიზმზე. უფროსები ფიქრობენ, რომ მათი შვილი ასეთია და მორჩა, ამას აღარაფერი ეშველება. ისინი უბრალოდ ეგუებიან ამ მდგომარეობას, რადგან ფიქრობენ, რომ მაინც ვერაფერს შეცვლიან.

– მაინც როგორ გავიგოთ, რა შეცდომას უშვებენ მშობლები და რაში მდგომარეობს მათი დანაშაული? – კითხულობს მარკ მაკკონვილი და საკუთარი ფსიქოთერაპიული პრაქტიკიდან ერთ შემთხვევას ჰყვება: ოცდასამი წლის გორდონი ყოველთვის წარმატებით ახერხებდა პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებას. მისი მშობლები განქორწინდნენ, როდესაც გორდონი თორმეტი წლის იყო. ამის გამო მას და მის დებს ფსიქოთერაპიული სეანსები დასჭირდათ. ბავშვების დედა და მამა მთელი ექვსი წლის განმავლობაში ცდილობდნენ ურთიერთობის გარკვევას. პერიოდულად შორდებოდნენ ერთმანეთს და ისევ რიგდებოდნენ. ამ გაურკვევლობამ ბავშვების ფსიქიკაზე სერიოზულად იმოქმედა. ისინი სრულიად დაუცველად გრძნობდნენ თავს, არანაირი საყრდენი არ ჰქონდათ, შფოთავდნენ და წუხდნენ. ბუნებრივია, ამ სიტუაციამ მშობლებს თავი დამნაშავედ აგრძნობინა.

თვრამეტი წლის ასაკში გორდონმა გადაწყვიტა, კოლეჯში ესწავლა. მისი მშობლები განქორწინების შემდეგ უფრო მეტად უსმენდნენ ერთმანეთს და შვილების შესახებ ფსიქოლოგე-

სარკეში ჩახედვას კიდევ ერთი სასარგებლო მიზანი აქვს – მშობელმა უნდა გაარკვიოს, ხომ არ აკნინებს შვილის უნარებსა და შესაძლებლობებს, როდესაც ცდილობს, თავიდან ააცილოს სამომავლოდ ცუდი შედეგები.

ბის რეკომენდაციებსაც უფრო მეტად ითვალისწინებდნენ. მსგავსი წყვილები მეგობრების სტატუსით უფრო უკეთ უგებენ ხოლმე ერთმანეთს, ვიდრე ცოლქმრობისას. გორდონმა კოლეჯში ჩააბარა, მაგრამ მისი პრობლემები ამით არ დასრულებულა. ბიჭმა ვერაფრით მოახერხა ზრდასრული ადამიანის როლის მორგება. სამი წლის განმავლობაში სამი კოლეჯი გამოიცვალა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა. მან ვერაფრით ისწავლა ზრდასრული ადამიანივით ცხოვრება, სწავლა და მუშაობა. სხვადასხვა გაუგებრობაში მისი მოხვედრის გამო მშობლებს პერიოდულად ბოდიშის მოხდა და შვილის საქციელის შეძლებისდაგვარად გამოსწორება უწევდათ. ამ შემთხვევაში მშობლების დახმარების მიზანი შვილის ქცევის შეცვლა არ ყოფილა. უბრალოდ, მათ სურდათ, როგორმე გამოესყიდათ ის დანაშაული, რომ შვილს ვერ დაეხმარნენ, ზრდასრულ ცხოვრებას მომზადებული შეხვედროდა.

„სინამდვილეში საკუთარ თავს ხომ არ ვიცავ იმ შესაძლო ტკივილისაგან, რომელსაც განვიცდი შვილის შეცდომების გამო? იქნებ ჯობდეს, მოზარდმა გაკვეთილი მიიღოს და ადეკვატური დასკვნები გამოიტანოს იმის თაობაზე, როგორ არის მოწყობილი ეს ცხოვრება, დარწმუნდეს საკუთარ შესაძლებლობებში და იმაში, რომ მასაც შეუძლია, გახდეს სრულფასოვანი ზრდასრული პიროვნება?“

– დანაშაულის განცდა სრულიად უსარგებლო რამაა, – მიაჩნია ავტორს, – რადგან აღზრდას არანაირად არ უწყობს ხელს. უფრო პირიქით, მშობლებს ხელს უშლის, რადგან მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ შვილებისგან პატიება გამოითხოვონ წარსულის შეცდომებისთვის. სინამდვილეში მოზარდისთვის უმჯობესი იქნებოდა, მშობელს ყურადღება აწმყოზე გადაეტანა და სირთულეების დაძლევაში დახმარებოდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ წარსულის შეცვლა შეუძლებელია. სამაგიეროდ, შესაძლებელია მასთან შეგუება და ცხოვრების გაგრძელება. გორდონის დედამ შვილის მოსმენა მხოლოდ მაშინ შეძლო, როცა ერთხელ და სამუდამოდ შეეგუა იმ აზრს, რომ შეცდომები დაუშვა, თუმცა ამის გამო სასჯელს სულაც არ იმსახურებს. ეს დედა-შვილმა ზრდასრული ადამიანებისთვის შესაფერისი საუბრის შემდეგ გაარკვ-

ვია. მათ საუბარს სულ სხვა შინაარსი მიეცა, რადგან დედამ დანაშაულის განცდით კი არ იხელმძღვანელა, არამედ ჯანსაღი აზრით. კიდევ ერთხელ, მშობლებო: *თავდაპირველად აუცილებელია დანაშაულის განცდის თავიდან მოშორება*

და შემდეგ – საკუთარი ქცევის კრიტიკულად გაცნობიერება.

გარდაუვალი ამბებისა და ფაქტების მიღება აუცილებელია, ამიტომ იქნებ სჯობდა, ბავშვებთან უფრო მეტი დრო გაგეტარებინათ? არც ერთად სადილობაზე უნდა გეთქვათ უარი... იქნებ სჯობდა, უფრო ხშირად (ან უფრო იშვიათად) დახმარებოდით შვილებს საშინაო დავალებების მომზადებაში? იქნებ ღირდა, შვილებთან უფრო მეტი სირბილე გამოგეჩინათ და მეტად წაგეხალისებინათ თამაში და სხვა შემოქმედებითი გართობა? ან იქნებ სულაც უფრო მეტი სიმკაცრის გამოჩენა სჯობდა? უამრავი საფიქრალია, და არც იმაზე დაფიქრება იქნება ურიგო, რომ აჯობებდა, ბავშვის გაჩენის შემდეგ სამსახურში აღარ დაბრუნებულიყავით და განქორწინებასაც თავიდან აირიდებდით; ან იქნებ უფრო მეტი უნდა გემუშავათ, რომ შვილებისთვის შრომისმოყვარეობის მაგალითად ქცეულიყავით? ისე, იქნებ ზედმეტი მუშაობა და საქმეზე გადაყოლა გახდა იმის საბაბი, რომ თქვენმა შვილმა იფიქრა, ზრდასრულის ცხოვრება ძალიან მოსაწყენი ყოფილაო? მიხვდით ალბათ, რომ არცერთი უკიდურესობა არ წაადგება თქვენს შვილებს, ისევე როგორც ზედმეტი დახმარება შეიძლება იქცეს შვილის განებივრების მიზეზად.

ამერიკელი ფსიქოლოგის აზრით, გაცილებით მნიშვნელოვანია, მშობელმა ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რა ხდება აი, ახლა, ზუსტად ამ წუთას; რა უნდა შეცვალოთ თქვენს ქცევაში, რათა მოზარდმა მოახერხოს და ზრდასრულობის პერიოდს განსაკუთრებული პრობლემების გარეშე შეხვდეს. მშობლებისთვის საინტერესო უნდა იყოს, რა ტიპის დახმარება სჭირდება მის შვილს აწმყოში. ამის გასაგებად ერთი ორიგინალური რჩევა გამოგადგებათ: დადექით სარკის წინ და ხმამაღლა ჰკითხეთ საკუთარ თავს: მე როგორ ვიქცევი? მაინც რა შეცდომებს ვუშვებ შვილის აღზრდისას ისეთს, რომ მას ხელს ვუშლი, სრულფასოვანი, ზრდასრული ადამიანი გახდეს? საბედნიეროდ, მშობლებს შეუძლიათ, შეცვალონ საკუთარი ქცევა. მიუხედავად, იმისა, რომ რთული მოზარდების მშობლები ხშირად სასოწარკვეთას ეძლევიან, ქცევის ანალიზი და იმის გარკვევა, რისი შეცვლაა საჭირო, აუცილებლად დაეხმარებათ მოზარდთან ურთიერთობაში.

სარკეში ჩახედვას კიდევ ერთი სასარგებლო მიზანი აქვს – მშობელმა უნდა გაარკვიოს, ხომ არ აკნინებს შვილის უნარებსა და შესაძლებლობებს, როდესაც ცდილობს, თავიდან აიცილოს სამომავლოდ ცუდი შედეგები. „სინამდვილეში საკუთარ თავს ხომ არ ვიცავ იმ შესაძლო ტკივილისაგან, რომელსაც განვიცდი შვილის შეცდომების გამო? იქნებ უმჯობესია, მოზარდმა გაკვეთილი მიიღოს და ადეკვატური დასკვნები გამოიტანოს იმის თაობაზე, როგორ არის მოწყობილი ეს ცხოვრება, დარწმუნდეს საკუთარ შესაძლებლობებში და იმაში, რომ მასაც შეუძლია, გახდეს სრულფასოვანი ზრდასრული პიროვნება?“

მნიშვნელოვანია, რა გავლენას ახდენს მოზარდზე მშობლების ქმედებები და არა ის, რა განზრახვით მოქმედებენ ისინი შვილებთან ურთიერთობისას.

პატივცემულო ზრდასრულებო, თქვენ კითხულობდით ამერიკელი კლინიკური ფსიქოლოგის, ფილოსოფიის დოქტორ მარ მაკონვილის წიგნს „როგორ დავეხმაროთ ზრდასრულ შვილს დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში“.

მარკ მაკონვილი ცხოვრობს ოჰაიოს შტატის ქალაქ ბიჩვუდში. აქვს მრავალწლიანი ფსიქოთერაპიული პრაქტიკა. ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. წერს ისეთ თემებზე, როგორიცაა, მაგალითად: რატომ არის რთული ზრდასრულობას მიღწეულებისთვის საკუთარი ასაკის გაცნობიერება და მიღება.

მაია მენაბდე

ომის ლექსები

პატარაობიდანვე პოეზიით შეპყრობილს, მახსოვს, როგორ მიყვარდა და თან მზაფრავდა მირზა გელოვანის ამ ორი ლექსის დაწყვილება:

ყველა მოკლე და ქერა თმის ნახვით
გამახსენდება თმები შოლტები.
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
მაინც მივდივარ, მაინც გშორდები.

ასე თიშავდნენ ძველი ზღაპრები
ასფურცელას და ოქროსთმებიანს,
ქარმა დაგლიჯა ყველა აფრები
და შენზე დარდში დამთენებია.

მგზავრი ვარ, შენზე ფიქრებს ვუნდები
და აჩრდილებთან თამაშს უვნებელს.
მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები,
მე შენი თმები დამაბრუნებენ.

ო, მაპატიეთ
ბედმა უცნობი გზით გამაქანა,
თქვენ დარჩით შორი... ცაზედაც შორი...
და, როგორც კარტში აგურის ქალებს,
გქონდათ ქერა თმა და ყელი ბროლის.

მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები,
რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ,
მაგრამ დღეები, როგორც ქურდები
ჩემს შეპირებას ანადგურებენ.
და სადმე ტყვია თუ გააციებს
გულს საშინელი განადგურებით,
თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ,
დანაშაული არდაბრუნების.

ჩემთვის ეს იყო ომის ლექსები... ზაფრას ამძაფრებდა იმის გაგება, რომ პოეტი ომიდან ვერ დაბრუნდა.

მეორე, რამაც შემძრა, ის იყო, რომ 9 აპრილს, როცა მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავი და არ მესმოდა, რა ტრაგედია ტრიალებდა ჩემს ქვეყანაში, თურმე ადამიანები რუსთაველზე, ხეებზე აკრავდნენ ლექსებს. ასე გამოხატავდნენ თავიანთ ემოციებს, ტკივილს, დარდს, სასოწარკვეთას მომხდარის გამო და მხეცურად დაჩეხილი ახალგაზრდებისადმი თანაგრძნობას.

„ხეები ლექსებით იფარჩება, ხეებზე აკრავენ ღვთის ბრალდებას
ამდენი მგოსნის ძლივს მარჩენალს, ისევ მგოსნები გიმრავლდება...“

–დაუწერია შოთა ნიშნიანიძეს მაშინ.

ომი და განსაცდელი არც მერე ჰკლებია ჩვენს ქვეყანას, მაგრამ არასოდეს ასეთი მძაფრი არ მომჩვენებია ომში, ომზე და ომის გამო დაწერილი პოეზია.

აი, უკრაინის ომმა ხომ მსოფლიოს აუხილა თვალი, მანამდე შემაშფოთებლად ოდნავ შეშფოთებული ევროპის გრძნობებისა და სინდისის ძაფები ერთდროულად შეარხია, საერთაშორისო ორგანიზაციების საჭიროება ეჭვქვეშ დააყენა, მუდმივი დამპყრობლის სახე კიდევ ერთხელ და მთელი სისაზარლით დაანახა სხვა არადამპყრობელ, მაგრამ სხვისი ჩაგვრის ვერგანმცდელ ქვეყნებს...

ჩვენც უცნაური რამ დაგვემართა ამ ომში: თუ რამ *ტკივილი* გვქონდა – სიმძაფრის გამო ვერთქმული, *ნანახი კადრები* - დაუჯერებლობის, წარმოუდგენლობის გამო თვალებში ჩამარხული, *სათქმელი* – შემსმენელის არყოლის გამო გულში ჩატოვებული, *მომავლის იმედი* – ვერასრულების შიშით კბილებს არგაცდენილი... ყველაფერი ამოიყარა ზედაპირზე, ამოტივტივდა, ამოხეთქა, გამოიფინა, გამომზეურდა. აუცილებელი იყო. და მგონია, ეს ყველაზე უკეთ პოეზიამ გააკეთა. სოციალურმა ქსელებმა კი ხელისგულზე დაგვიდო ეს ლექსები.

ახლა ასე ვარ, დილით რომ ვიღვიძებ, უკრაინის კიდევ ერთ ჯოჯოხეთურ, მაგრამ მაინც გათენებულ ღამეს ვაკვირდები, ჯერ საზარელი ამბები მხვდება თვალში, მერე – ლექსებად ტრანსფორმირებული, მშობლიურ ტკივილთან შერწყმული ისევ ეს საზარელი ამბები.

რა თქმა უნდა, ყველაზე ვერა, რამდენიმე მათგანზე ვისაუბრებ ამ სტატიაში.

ეს ლექსები ომს კი ეხება, მაგრამ ნათლად აჩვენებს, რამდენი წახნაგი აქვს ამ ყველაზე დიდ ბოროტებას, რომელსაც სულ სხვადასხვა მხრიდან ხედავენ პოეტები.

მარად ჭაბუკი, უბრალოდ ცოცხალი კი არა, მარადიული კლასიკოსის, ბესიკ ხარანაულის ლექსები ჩვეული სიმძაფრითა და სიზუსტით ეხმიანება ყველაფერ იმას, რაც მსოფლიოსა თუ ჩვენს ქვეყანაში ხდება. ამიტომ აუცილებლად პასუხგასაცემი მგონია მისი უმწვავესი კითხვა, რომელსაც სვამს მეტისმეტად შთამბეჭდავსათაურიან ლექსში – „ლაფიტოპია ნისლიდან გამოდის“:

„აი, ამ ლაფს ვიფიცები,
რომელსაც მოვტოპავ,
ამ ჭუჭყს და ამ ტალახს,
რომელიც მაკრია,
ამ საძაგლობას ვიფიცები,
როგორც ჩემს საკუთარს:
ომი რომ მორჩება,
ჩვენ სად ვიქნებით?
მთვარე ამოვა,
მზე ჩავა,
ჩვენ სად ვიქნებით?
სამყარო გამოიცვლება,
შეიქნება სირცხვილ-ნამუსი,
ჩვენ სად ვიქნებით?
რომ დავიხოცებით,
ვინ დაგვმარხავს,
მიწას ვინ მოგვაყრის,
ჩვენ სად ვიქნებით?“

ლექსის ბოლოს ჩნდება შთამბეჭდავი სახე ლაფიტოპია ხარისა, რომელსაც მკერდით ჭალა მოაქვს, რქებით ნისლს მოარღვევს და მშრალზე გამოსული, ლაფჩამობერტყილი, აუცილებლად მოსთხოვს ამ კითხვაზე პასუხს ლირიკულ გმირს. მკითხველის გონებაში კი მაშინვე წამოტივტივდება ასე ნაცნობი წარმართულ-მითური სახე-სიმბოლო უძლეველი ხარისა...

ამ ლექსში ძალიან კარგად ჩანს ის გარდამტეხი და საპასუხისმგებლო ადგილი, სადაც ახლა მოულოდნელად აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა და ის ეგზისტენციალური კითხვა, რომელიც, წესით, ყველა ქართველს უნდა აწუხებდეს: რა ვიღონოთ ამ მუდმივი ბოროტების წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნის მომავლის სასიკეთოდ, ისე, რომ ღირსება შევინარჩუნოთ?

მეორე ლექსში მიწებით გაუმაძღარი მონსტრის – რუსეთის სახეს წარმოაჩენს პოეტი, შეუჩერებელი დამპყრობლის, რომელიც მიილტვის, გააფართოოს თავისი ისედაც ვრცელი საზღვრები, უფრო სწორად, უსაზღვროებას ეძებს მიწაზე და ეს სურვილი თავისთავად ნიშნავს უმიწაწყლობას, ბოგანოობას, მაშინ როცა *„ასანთის კოლოფისხელა მიწებსაც კი მტკიცე საზღვრები აქვთ“*.

„...რუსო,
შენი რქა თურმე ცვილისაა,
გახსოვდეს, ხარჩამავალი ქვაბი თუხთუხებს ცეცხლზე,
გახსოვდეს, სხვისი მიწები რომ მიგაქვს ჩასაყლაპად,
ზოგიერთი ალმასისაა.

რუსო!
გაჭირვებამ დედამიწის ხალხები ახლობლები გახადა,
მტრობის ხემაც ხმობა დაიწყო,
რუსო! მტრობას შენღა ანედლებ!
რუსო! შენი სახელიც ერთი მოკლე სიტყვით იწერება.

რუსო!
ყველაფერი სამწუხაროა, რაც რომ მოგახსენე,
მწყინს, რომ სიმართლეა.
ყველა როდია ყრუ შენს მიწაზე.

რუსო!
შეისმინე შენი დიდი მწერლის სიტყვები:
„განა რამდენი მიწა ჭირდება ადამიანს?“
ჩემიც გაიგონე:
„დიდო ერებო!
ნუ ჩაყლაპავთ პატარა ხალხებს,
ვაითუ რომელიმე იყოს ალმასისა“.

ჩემი ქვეყანა ალმასია,
მწიფე ვაზივით მიმზიდველია აგრესიისთვის,
ყელზე დაგადგებით!“

ძალიან კარგად ჩანს, მცირე ქვეყნებიც რომ შეიძლება საფრთხედ იქცნენ დამპყრობლებისთვის, რადგან სულისკვეთება სხვადასხვაა: მცირენი საზღვრებს იცავენ, მონსტრები უსაზღვრობის ძებნაში მთავარს კარგავენ: საკუთარის, ნაღდის, მნიშვნელოვნის განცდას. ასევე პოეტის მიმართვა, არა მრავლობითში, არა ერისადმი, არამედ უმოკლესი სიტყვით – რუსო – მრავალჯერ განმეორებული, მიანიშნებს რუსეთის თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობაზე ქვეყნის სახელით ჩადენილ ბოროტებაში.

ერის პერსონალიზაციის, თითოეული რუსის პასუხისმგებლობის თემას სხვა კუთხით აგრძელებს შოთა იათაშვილის ლექსი რუს ჯარისკაცზე: ფსევდოპატრიოტიზმისა და ფსევდომართლმადიდებლობის მსხვერპლი რუსი ჯარისკაცი როგორ ეჯახება სიმართლეს – ისე ზრდიდნენ, ვითომ მორწმუნეს, მეათე და უმნიშვნელოვანეს ცნებას უმალავდნენ: *„არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა, არცა სახლისათვის მოყუასისა შენისა, არცა ყანისა*

მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რა იყოს მოყუასისა შენისა“.

ლექსში ზუსტად არის ჩატეული ის სამარცხვინო რეალური სახე, დამცირებულმა, დამონებულმა, დაბრმავებულმა, უოჯახოდ ან ოჯახში უსიყვარულოდ გაზრდილმა რუსმა ჯარისკაცებმა ჯერ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მერე კი უკრაინაში რომ აჩვენეს: გაუპატიურებული ქალები და ბავშვები, დანგრეული სახლები, დახოცილი შინაური ცხოველები, წამოკიდებული უნიტაზები და ბოხჩებში გამოხვეული საყოფაცხოვრებო ნივთები. აი, რა ირონიულად ჟღერს ამ ფონზე სტროფი, რომლითაც საკუთარ თავზე საუბარს იწყებს ლირიკული გმირი:

„მე რუსი ჯარისკაცი ვარ,
ჭეშმარიტი მართლმადიდებელი,
გულანთებული პატრიოტი,
და მარიუპოლთან ჩემი სამშობლოს საზღვრებს ვიცავ...“

უსახელო რუსი ჯარისკაცის სახეს ლექსშივე უპირისპირდება მეორე „პერსონაჟი“ – იაშკა, ასევე რუსი, რომელსაც სიმართლე ბებიამ კი უთხრა, მაგრამ სახელმწიფომ ასწავლა, რომ მეათე მცნების გამხელა დანაშაულია, რადგან ის რუსეთის უსაზღვრობის იდეას უშლის ხელს, სხვისი ქვეყნების დაპყრობას უშლის ხელს, სხვისი ცოლების დაუფლებას, სხვისი ოჯახების გაუბედურებას, საერთოდ, ყველასა და ყველაფრის, რაც შენი არაა, არმითვისებას გვასწავლის!

აი, ეს რუსი ჯარისკაცი რომ ომში დაიღუპოს, რას იტყვის, რას იფიქრებს, როგორ განაგრძობს დედამისი ცხოვრებას? როგორია მოკლული ჯარისკაცების დედების ცხოვრება? რას გრძნობენ, ერთი მხრივ, ომში მოტყუებით გარეკილი 17-18 წლის ბიჭების დედები? დედები, რომლებსაც ჰგონიათ, მათი შვილები დიდ რუსეთს იცავენ მომცრო, მაგრამ ალმასივით ქვეყნებისგან? და, მეორე მხრივ, რა სტკივათ დედებს, რომელთა შვილები, ადრე მომღერლები, მასწავლებლები, მექანიკოსები, მსახიობები, ახლა კბილებით იცავენ სამშობლოს? ან როგორ ხვდებიან სიკვდილს დედები, რომელთა შვილები სხვისი სამშობლოს დაცვით საკუთარს იცავენ და იხოცებიან? ყველას ხომ არ შეუძლია, მუშტშემართული, სახეზე უდიდეს ტკივილაღბეჭდილი, მაგრამ შვილის სიმართლეში დარწმუნებული, ოთარაანთ ქვრივივით შეუდრეკლად იდგეს?!

ნატო ინგოროყვას ლექსში „ნატირალიდან“ შვილმკვდარი დედის სულ სხვანაირი განცდის ამოკითხვა შეიძლება. მან იცის, რომ ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო, მაგრამ კაცის კვლისთვის მაინც არ ემეტებოდა. სიამაყესა და შეუპოვრობაზე მეტად, ტკივილით აქვს სავსე თვალები: *„უპეებიდან გმირი შვილის უკანასკნელი კვნესა მოუჩანდა“.* ცოტათი ჰგავს კიდეც „ვეფხისა და მოყმის ბალადის“ დედას მტერთან მობოდიშებით:

„...არ იყო ჩემი შვილი კაცთმოძულეო –
ებოდიშებოდა მოკლულ მტერს
და ცოცხალ მოყვარეს.
ჩემი ხელით ჩავალაგე მისი
ბოლო გზის ტანსაცმელიო, –
თქვა და სიტყვა გაუშრა.
მეტი რა უნდა მექნაო...
გულზე მივიწვენ,
დედა ვარ და მიწაც“.

უკანასკნელი სტრიქონი იტევს დედობის ყველა სიმძიმეს, პასუხისმგებლობასა და სიდიადეს.

მეორე ლექსში, „პურის რიგი“ რომ ჰქვია, დედა არ არის ნახსენები, მაგრამ როცა მამები იბრძვიან, პურის რიგში, ალბათ, დედა თუ იდგება. შემაძრწუნებლად ზუსტი შედარებით ირევა მკითხველის გონებაში ნამდვილი და წარმოსახვითი:

„ბოლო ვიყავი რიგში და
პირველი ტყვია მომხვდა.
თითქოს მეპურემ ცხელი პური
გამომიწოდა და უბეში ჩავმალე“.

მომაკვდავი მხოლოდ შვილებზე ფიქრობს, როგორ გაიყოფენ იმ ერთადერთ პურს, რომელიც სინამდვილეში დედის გულში გავლილი ტყვიაა. კიბეზე არბის, შვილებს უნდა გაუნაწილოს, თვითონ სულმა არ უნდა წასძლიოს... და ერთი ტრაგედია კიდევ უფრო დიდი ტრაგედიით გრძელდება:

„დახოცილებს გულისჯიბით
ხორბალი გავატანე –
ვიცი, გაღივდება“.

საოცრად მტკივნეული და, გავიმეორებ ამ სიტყვას, შემაძრწუნებელი სახეა გარდაცვლილი შვილების გულისჯიბეში გასაღვივებელი ხორბლის მარცვლები.

ყველაზე დაუნდობელ განსაცდელს რომ მოგივლენს ცხოვრება და შენ, სასოწარკვეთილი და განადგურებული, გამართლებას მოუძებნი მაინც.

ოჯახი, პური და ხორბალი – რა მარტივი, ცხოვრებისეული, ყოფითია ეს სიტყვები და თან ბიბლიური, მეტისმეტად ღრმა სიმბოლიკაა ამ მოკლე და რთულ ლექსში.

ომის დასაწყისში, სანამ ქვემოთ მოყვანილი ლექსი გაჩნდებოდა;

სანამ მსოფლიო შეეჩვეოდა, რომ ომი... უკრაინაშია;

სანამ ჯერ კიდევ არ გვჯეროდა, რომ ეს მართლა ხდებოდა ჩვენს თავს ოცდამეერთე საუკუნეში;

სანამ ჯერ კიდევ ღამეს ვუთევდით უკრაინის ცას, –

მაშინ გაჩნდა პოეტის სოციალური ქსელის კედელზე სულის შემძვრელი სიტყვები: *„ღმერთო, არ ჩაგეძინოს!“*

ჰო, არის მომენტები, როცა ჩვენი, ადამიანების, სიფხიზლე და თანაგრძნობა აღარ არის საკმარისი, ერთმანეთის იმედი აღარ გვყოფნის, როცა ყბადაღებული პრაგმატულობა და რაციონალურობა ცვდება, აზრს კარგავს და მის ადგილს მთავარი - რწმენა იჭერს.

მოგვიანებით ლექსიც დაიბადა:

„ღმერთო, არ ჩაგეძინოს!
მინიმა ომზე,
სხვა ლექსისთვის წასამძღვარებლად“

- ასე იწყება ლექსი ადამიანურ ურთიერთობებზე - იმაზე, რას განიცდიან მეგობრები ომში; როგორ ცვლის ომი სურვილებსა და მიზნებს, როცა გავიაზრებთ, ხვალისთვის გადადებული საქმეები, თუ ისინი ახლობელ, საყვარელ, მონატრებულ ადამიანებს უკავშირდება, რა საშური ყოფილა თურმე!

და რადგან ომში მათი აღსრულება მოკვდავის ძალებს აღემატება, ამიტომაც სრულდება ეს სითბოთი და ტკივილით გაჟღენთილი ლექსი უფლისადმი პარადოქსული მიმართვით:

„ღმერთი არ გაგიწყრეს,
არ ჩაგეძინოს!“

ჩვენც უცნაური რამ დაგვემართა ამ ომში:
თუ რამ ტ კ ი ვ ი ლ ი გვქონდა – სიმძაფრის
გამო ვერთქმული, ნ ა ნ ა ხ ი კ ა დ რ ე ბ ი
– დაუჯერებლობის, წარმოუდგენლობის
გამო თვალებში ჩამარხული,
ს ა თ ქ მ ე ლ ი – შემსმენელის არყოლის გამო
გულში ჩატოვებული,
მ ო მ ა ვ ლ ი ს ი მ ე დ ი – ვერასრულების
შიშით კბილებს არგაცდენილი...
ყველაფერი ამოიყარა ზედაპირზე,
ამოტივტივდა, ამოხეთქა, გამოიფინა,
გამომზეურდა. აუცილებელი იყო.
და მგონია, ეს ყველაზე უკეთ პოეზიამ გააკეთა.
სოციალურმა ქსელებმა კი ხელისგულზე
დაგვიდო ეს ლექსები.

პოეტი, რომელიც არაერთხელ გამოეხმაურა თავისი პოეზიით ოცდამეერთე საუკუნის დიდ ბოროტებას, გიორგი ლობჟანიძეა. მისი ლექსიც, რომელიც ეხება უკრაინის ომის ყველაზე მძიმე ღამეს, რუსი სამხედროების მიერ მარიუპოლის თეატრის დაბომბვას – სოციალურ ქსელში გამოჩნდა. ამ შენობას მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის უამრავი ბავშვი აფარებდა თავს და მის წინ დიდი ასოებით რუსულად ეწერა: дети! – რათა ნებისმიერ სამხედრო პილოტს დაენახა და ისინი მაინც დაენდო.

ამ საზარელი ღამის შემდეგ გავრცელდა ცრუ ცნობა, რომ თეატრის ბომბსაფარმა საჰაერო დარტყმებს გაუძლო და ყველა ცოცხალია. ამ ცნობით აღფრთოვანებას მოჰყვა გიორგი ლობჟანიძის ლექსი, რომელიც თითქოს გაგრძელებაა ზემოთ განხილული ლექსისა. ის ასე სრულდება:

„...იქ კი, სარდაფში,
ძველი ნიღბების ნატეხებში,
იშმუშნება
ახალი სიცოცხლე,
საღ, თოთო ხელებს იწვდის
მომავლისკენ
და ჰაერს ისე ებღაჭაუება,
თითქოს დედის მკერდი იყოს,
საიდანაც სიმართლე გადმოჩქეფს.
მიწისქვეშეთში ანგელოზები არ არიან.
მარიუპოლის თეატრის სარდაფში ყოფილხარ, ღმერთო!“

ეს შეძახილი ლექსის ბოლოს თითქოს მთელ მსოფლიოს აღმოხდა, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა; ყველას, ყველას, ვისაც სჯერა, რომ პუტინის რუსეთი და ომი ბოროტებაა და რომ თვით ყველაზე დიდ ბოროტებასაც აქვს ზნეობრივი კანონები, რომლებსაც მხოლოდ უღირსები არ იცავენ.

სანამ ქვემოთ მოყვანილ კიდევ ერთ ლექსს წაიკითხავთ, წარმოიდგინეთ პატარა უკრაინელი გოგონას ფოტო. გოგონა დგას ზურგით კამერისკენ და სიფრიფანა, ნორჩ სხეულზე მარკერით აწერია თავისი სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და მშობლების ტელეფონის ნომრები - ერთმანეთის დაკარგვის შიშით შეპყრობილმა დედამ დააწერა:

„თუ ჩვენ დაგვხოცეს,
შენ გახსოვდეს შენი სახელი,
სად დაიბადე,
ვინ ვიყავით შენი მშობლები.
კაცს ბედი შუბლზე აწერია.
სახელი –ზურგზე,
როგორც ტვირთი,
ჩემო პატარავ.
და ეს ტვირთი მთელი ცხოვრება
უნდა ატარო.
აღარ მახსოვს,
მე თვითონ რა მერქვა
ომამდე,
მაგრამ შენ, ამ ომს გადარჩენილო,
დაიმახსოვრე,
რომ შენ გქვია თავისუფლება.
გაუფრთხილდი
ამ ძვირფას სახელს
და უსახელო ჯარისკაცებს
არ დაგვაყვედრო,
რომ ბედისწერას მოთმინებით ვერ გადავურჩით“.

ეს ლექსიც გიორგი ლობჟანიძეს ეკუთვნის. მისი ლირიკული გმირი ჯარისკაცია, მიმართავს პატარას და ეუბნება მთავარს: იმ საზარელ ომში უკრაინელი ჯარისკაცები იბრძვიან სწორედ ბავშვებისთვის, ომს სასწაულით გადარჩენილი პატარების თავისუფლებისთვის! და მე მახსენდება პოლ ელუარის ცნობილი ლექსი:

„...უსურვილო სიცოცხლეს
შიშველ სიმარტოვეს
სიკვდილის ნაბიჯებს
ვაწერ შენს სახელს

აღდგენილ ძალ-ღონეს,
დაკარგულ საფრთხეს თუ
უხსოვარ იმედს
ვაწერ შენს სახელს

და ერთი სიტყვის ფესვებიდან ვიწყებ სიცოცხლეს
შენი შეცნობით ვიბადები
შენი სახელით

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა“.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ომში ყველა ბავშვი არ გადარჩენილა, ბავშვებს ისევ ემუქრებათ საფრთხე. ვერგადარჩენილებზე გვესმის გაუგონრად, დაუჯერებლად, გაუსაძლისად საზარელი ამბები. მაგრამ ამ ამბების ერთ ლექსში მოქცევა შეძლო პოეტმა დიანა ანფიმიადიმ. ლექსს ჰქვია „მარიუპოლი“: ალყაშემორტყმული ქალაქი, ამ დღეების მთავარი ჯოჯოხეთი დედამიწაზე.

მარიუპოლი

– ჩემი დაწყებითი კლასის მასწავლებელი
– არის
– ყვავილების გამყიდველი მეზობელი ქუჩიდან
–არის
– მხარნატკენი ჩელისტი გოგო
– არის
– ჩემი პირველი შეყვარებული
– არის
– კარის მეზობლის სამი ბავშვი
–გადარჩნენ
– მეფუნთუშე, რომლისგანაც ვყიდულობდი ვატრუშკებს საუზმისათვის
– დაჭრილია
– მეზობლის ბიჭი, მუსიკას რომ ხმამაღლა უსმენს
– ნაღმზე აფეთქდა
– მწვანეთვალება გოგო, ჩუმად რომ წერდა ლექსებს
–ნანგრევებიდან ვისი ხმა ისმის?
– დედაჩემი
– არის
– მამაჩემი
– ვერ ვნახეთ გვამი

აკა მორჩილაძემ ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე თქვა, საქართველო უფრო პოეზიის ქვეყანაა და ახლა მე, პროზაიკოსი რომ ვლაპარაკობ, უხერხულად ვგრძნობ თავსო. ქართულ პოეზიაში ასეთი სისავსით ასახულმა უკრაინის ომმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მართალია აკა: „მწერალი მაინც რჩება საქართველოში გამორჩეულ ფიგურად. ეს ისეთი ადამიანია, რომელიც ყოველთვის იქ არის, სადაც ყველა არასდროს არ არის და იმავდროულად იქ არის, სადაც ყველა ყოველთვის მოიყრის თავს“.

– ქალაქი?
– არის, მაგრამ კვამლში
– ჩემი შვილები?
– არ დაიბადებიან

ომში ბევრი ლაპარაკისთვის არავის სცალია, ომი მოკლე და აუცილებელი კითხვა-პასუხის დროა. ალბათ ამიტომაც აირჩია პოეტმა ეს შთამბეჭდავი ფორმა, რომელსაც ზედმეტი სასვენი ნიშანიც კი არ ამძიმებს, თითქოს არც უნდა ამოისუნთქონ შემკითხველ-მოპასუხემ. ამოსუნთქვის დროც არ არის.

ამ ვრცელ სტატიას დიანასავე ლექსით დავასრულებ: „აღდგომა“ – რადგან სიკვდილს აღდგომა მოსდევს, დაცემას – წელში გამართვა, ხოლო თავდადებულ ბრძოლას თუ მთელი მსოფლიოს გაერთიანებული ნება და სურვილი შეუერთდა, წამებულთა გამარჯვება გარდაუვალია!

„აღდგა მკვდრეთით ოთხი წლის საშკა,
როცა დახვრიტეს, თმა ჰქონია ჯერ კიდევ სველი.
აღდგა მკვდრეთით ცხრა წლის უცნობი გოგო,
თერთმეტი მხეცის დაგლეჯილი,
აღდგა მკვდრეთით ველოსიპედიანი მოხუცი კაცი,
ჩამოიფერთხა შარვალი და თმა გაისწორა,
აღდგა მკვდრეთით ჩემი გაგრელი ნათესავი,
მოხერხებულად მოაგორებს თავის თავს, კენწლავს.
აღდგა მკვდრეთით ქალი კვასკვასა, წითელი ლაქით,
სულ მალე მოვა, ცოტა ფრჩხილებს მოიწესრიგებს.
შვილის გათხრილი სამარიდან მკვდრეთით აღდგა უცნობი დედა,
დედის გათხრილი სამარიდან მკვდრეთით აღდგა უცნობი შვილი,
აღდგა მკვდრეთით პურის რიგში დახვრეტილი უცნობი კაცი,
აღდგა მკვდრეთით ქალი, წყალი რომ ვერ მიიტანა სამალავამდე,
აღდგა მკვდრეთით შუაზე გადაჭრილი გოგო, ვინ თქვა, ვერ ივლისო,
ამ აღდგომაზე ბევრი აღდგა, ბევრად მეტი, ვიდრე ოდესმე,
ახლა ყველანი აქ მოჯარდნენ, გამოქვაბულთან,
შემოგძახიან, ლოდსაც შენ ნაცვლად გადაწევენ,
ოღონდ არ შეგრცხვეს, არ დაიმალო,
შენც აღსდექი, უფალო,
მესამე დღეს ანდა თუნდაც ერთი თვის თავზე...
მსგავსად წერილისა“.

კიდევ ბევრი პოეტი გამოეხმაურა საზარელ რეალობას: რატი ამაღლობელი, ლელა სამნიაშვილი, დავით მაღრაძე და სხვები. წარმოუდგენელია ერთ სტატიაში მათი მოქცევა. ალბათ, კიდევ ბევრი ლექსი დაიწერება ომის დროსაც და ომის შემდეგაც – ყველაზე მძიმე ჭრილობების მოსაშუშებლად. სოციალური ქსელი დღეს თითქოს რუსთაველის ფუნქციას ასრულებს, სადაც ხეებზე – თავიანთ კედლებზე – აკრავენ ლექსებს პოეტები თუ პოეზიის მკითხველები და ამით არსებულ რეალობას ეხმიანებიან.

აკა მორჩილაძემ ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე თქვა, საქართველო უფრო პოეზიის ქვეყანაა და ახლა მე, პროზაიკოსი რომ ვლაპარაკობ, უხერხულად ვგრძნობ თავსო. ქართულ პოეზიაში ასეთი სისავსით ასახულმა უკრაინის ომმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მართალია აკა: *„მწერალი მაინც რჩება საქართველოში გამორჩეულ ფიგურად. ეს ისეთი ადამიანია, რომელიც ყოველთვის იქ არის, სადაც ყველა არასდროს არ არის და იმავდროულად იქ არის, სადაც ყველა ყოველთვის მოიყრის თავს“.*

ლელა კოტორაშვილი

სიტყვობანა – სახალისო თამაში ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად

ტექნოლოგიურ სამყაროში ბავშვებს დიალოგის, ამბის თხრობის დრო თითქმის არ რჩებათ. სოციალურ ქსელში მათ მიმოწერას თუ თვალს გადაავლებთ, ადვილად შენიშნავთ არასწორ ფორმებსა და სასვენი ნიშნების უგულებელყოფას. სწორედ ამიტომ, მასწავლებლებს ლექსიკური მარაგის გამდიდრებისთვის სხვადასხვა აქტივობის მოფიქრება გვიწევს.

სიტყვათა დიდი მარაგი გაწაფული კითხვის ხერხემალია. მრავალფეროვანი სასწავლო ტექსტების წაკითხვა რთულია, თუკი ბავშვს სიტყვათა მნიშვნელობა არ ესმის. კითხვა ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს, თუმცა სიტყვებზე მიზანმიმართული მუშაობა აუცილებელია. ტექნოლოგიურ სამყაროში ბავშვებს დიალოგის, ამბის თხრობის დრო თითქმის არ რჩებათ. სოციალურ ქსელში მათ მიმოწერას თუ თვალს გადაავლებთ, ადვილად შენიშნავთ არასწორ ფორმებსა და სასვენი ნიშნების უგულებელყოფას. სწორედ ამიტომ, მასწავლებლებს ლექსიკური მარაგის გამდიდრებისთვის სხვადასხვა აქტივობის მოფიქრება გვიწევს.

სიტყვობანა – ამ სტატიის სათაური თამაშის ელემენტებს შეიცავს, რადგან სხვაგვარად საგაკვეთილო პროცესი მონოტონური და არაეფექტურია. გიამბობთ ერთი გაკვეთილის შესახებ, რომელიც ნატო დავითაშვილის წიგნის „ნისლებში და ნისლებს მიღმა“ მიხედვით ავაგე.

წიგნს რამდენიმე თვე ვკითხულობდით. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ რომანში გამოყენებულ სიტყვებსა და მათი სწავლების მეთოდზე.

წიგნის გაცნობისას ვიყენებთ მარკირებული კითხვის მეთოდს. ვხაზავთ ჩვენთვის საინტერესო, უცხო, ახალ ან ლამაზ სიტყვას. ვავსებთ სიტყვის რუკას, ვეძებთ განმარტებებს ლექსიკონში, ვხატავთ, ვათვალიერებთ სიტყვის ვიზუალურ მასალას.

„სიტყვობანა“ მეშვიდეკლასელებს წარმოქმნილი სიტყვებისა და კომპოზიტების შესწავლის შემდეგ შევთავაზე, რამაც მხატვრული ტექსტისადმი ინტერესი კიდევ უფრო გააღრმავა.

მწერალს წიგნში „ნისლებში და ნისლებს მიღმა“ გამოყენებული აქვს ძველი ქართული სიტყვები, რომლებიც თანამედროვე ყოფაში თითქმის აღარ გვხვდება. ფენტეზის ჟანრის რომანი ქართული მითოსის მიხედვით არის აგებული. მთავარი პერსონაჟები მოზარდი გოგო-ბიჭები არიან. მითოსური დროის მიუხედავად, ამბის დინამიკური თხრობა, ორი სიუჟეტური ხაზი და მოვლენათა მოულოდნელი განვითარება მეშვიდეკლასელებისთვის მიმზიდველი აღმოჩნდა. ძველი, მივიწყებული სიტყვებიც ჰარმონიულად შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, თუმცა, მასწავლებელს დიდი ძალისხმევა სჭირდება სიტყვების გაცნობისას და სწავლებისას. ეს პროცესი **სიტყვობანამ** კიდევ უფრო საინტერესო, სახალისო და დაუვიწყარი გახადა.

წიგნიდან შევარჩიე შემდეგი სიტყვები: ვეძა, ჭიუხი, ჩანგი, დევისპირა, ზღუდეშემოვლებული, ქარაგმა, არტახები, გუმანი, თახჩა, ქარაფი, კვეს-აბედი, გრდემლი, ბროლი, ჭრაქი, მარიხი, გველეშაპი, კოჭობი, ძირხვენა.

ფერად ბარათებზე დაწერილი სიტყვები მაფინების ცოცხში ჩავდე და გამოვაცხვე. ჩანაფიქრის მიხედვით, სიტყვები მაფინებში უნდა დაფარულიყო, რადგან ცხობისას მათ თავი „ამოყვეს“, ინსტრუქცია შევცვალე.

1. დაფაზე ჩამოვწერე შერჩეული სიტყვები და თითოეულის მნიშვნელობაზე ვისაუბრეთ. კომპოზიტებსა და წარმოქმნილ სახელებს

დავაკვირდით (დევისპირა, ზღუდეშემოვლებული, კვეს-აბედი, გველეშაპი, ძირხვენა);

2. ბუშტის დახმარებით ერთმა წყვილმა ყველა სიტყვა ხმამაღლა წარმოთქვა. ბავშვები ერთმანეთს რიგრიგობით უგდებდნენ ბუშტს და თან დაფაზე ჩამოწერილ სიტყვებს ხმამაღლა ამბობდნენ;
3. გაკვეთილის დაწყებამდე შევარჩიე ხუთი სიტყვა, დავწერე თაბახის ფურცელზე და სკოლის სხვადასხვა სივრცეში – საკლასო ოთახები, ეზო, სამასწავლებლო – დავმალე. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამ ყველაფრის შესახებ კოლეგები გავაფრთხილე;
4. თითოეულმა ჯგუფმა რიგრიგობით აიღო ფურცელი, რომელზეც მოსაძებნი ადგილის სახელი ეწერა;
5. სიტყვის მოძებნის შემდეგ კლასში დაბრუნდნენ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვათა მნიშვნელობები იპოვეს და ამოწერეს;
6. შემდეგ სათითაოდ დავურიგე სიტყვებიანი მაფინები. კლასის წყვილებად დაყოფაში მაფინებში ჩარჭობილი სიტყვები დამეხმარა, კერძოდ, ზოგ ბარათზე ეწერა სიტყვა, ზოგზე კი – არა;
7. თითოეულმა წყვილმა თავისი კუთვნილი სიტყვის მიხედვით დაწერა ჰაიკუ, შექმნა კომიქსი ან დახატა სიტყვა;
8. ბოლოს კი წარადგინეს პრეზენტაციები;
9. საშინაო დავალებად მივეცი დიალექტურ კორპუსში – corpora.co – მოეძებნათ ერთი ტექსტი, წაეკითხათ და კლასისთვის გაეცნოთ;
10. გაკვეთილის დაწყებამდე ერთმა მოსწავლემ ფოტო-ვიდეომასალის გადაღება ითავა.

გაკვეთილმა არაჩვეულებრივად ჩაიარა. ჩართული იყო ყველა მოსწავლე. მიუხედავად ამისა, ვიცოდი, რომ ეს ყოველივე დამახსოვრებისთვის საკმარისი არ იქნებოდა. ამიტომ მეორე დღისთვის შევადგინე ტესტი – დაწერეს სიტყვათა განმარტებები. შედეგების გაცნობისას გამოიკვეთა, რომ უმრავლესობას კვლავ გაუჭირდა სიტყვათა დეფინიცია. შემდეგი გაკვეთილისთვის სიტყვების პლასტილინისგან გამოძერწვა და ფერადი ქაღალდებისგან გამოჭრა დავგეგმე. თითოეულმა წყვილმა გამოძერწა ერთი სიტყვა, შეავსო სქემა – სიტყვის რუკა და დაწერა ჰაიკუ. პრეზენტაციის წარდგენის შემდეგ ნამუშევრები კლასის გალერეაში გამოვფინეთ. მშრალად მოყოლილი ამბების უკან ბევრი ემოცია იმალება. ნამუშევრები შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი სკოლის ბლოგზე.

ამგვარად, სიტყვობანა სხვადასხვა ტიპის აქტივობას შეიძლება დავარქვათ. ჩემ მიერ აღწერილ გაკვეთილებზე მოსწავლეებმა:

- სიტყვების მიხედვით თანამედროვე ქართული რომანი კიდევ უფრო შეიყვარეს;
- იმუშავეს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე;
- ვიზუალურად გააცოცხლეს თითოეული სიტყვა;
- შეავსეს სქემა;
- დაწერეს ჰაიკუ;
- შექმნეს კომიქსი;
- მოიფიქრეს წინადადებები.

საკლასო ოთახს გარეთ სიტყვის ძიებამ და მაფინებმა საგაკვეთილო პროცესს დაუვიწყარი ელფერი შესძინა.

მრავალფეროვანი სასწავლო ტექსტების წაკითხვა რთულია, თუკი ბავშვს სიტყვათა მნიშვნელობა არ ესმის. კითხვა ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს, თუმცა სიტყვებზე მიზანმიმართული მუშაობა აუცილებელია. ტექნოლოგიურ სამყაროში ბავშვებს დიალოგის, ამბის თხრობის დრო თითქმის არ რჩებათ.

თემურ სუყაშვილი

ნეიტრალიტეტი და მასთან დაკავშირებული ნიუანსები

მოსწავლეებისთვის სწორი, გადამოწმებული და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება დღეს ისე მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს. შემეცნების პროცესი აღმოჩენებს, კრიტიკულ და დამოუკიდებელ აზროვნებას უნდა უკავშირდებოდეს, ამიტომ სწავლა-სწავლების დროს მოსწავლეებს უნდა დავუტოვოთ სივრცე ფიქრისთვის და არა მზა პასუხები მივაწოდოთ.

მოსწავლეებისთვის სწორი, გადამოწმებული და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება დღეს ისე მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს.

შემეცნების პროცესი აღმოჩენებს, კრიტიკულ და დამოუკიდებელ აზროვნებას უნდა უკავშირდებოდეს, ამიტომ სწავლა-სწავლების დროს მოსწავლეებს უნდა დავუტოვოთ სივრცე ფიქრისთვის და არა მზა პასუხები მივაწოდოთ.

სტატიის მიზანი ნეიტრალიტეტის შესახებ ტყუილ-მართლის დადგენაა. მოდი, ერთად ვიმსჯელოთ, რამდენად ვაკმაყოფილებთ ნეიტრალური სახელმწიფოებისთვის განკუთვნილ კრიტერიუმებს.

ისტორიული ექსკურსი

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ 1907 წლის ჰაგის კონვენცია, რომელიც დღემდე განსაზღვრავს ნეიტრალიტეტის საკითხებს. კონვენციის V და XIII თავები ეხება ნეიტრალური ტერიტორიების უფლებებსა და მოვალეობებს სახმელეთო და საზღვაო ომის შემთხვევებში.

კონვენციის V თავის პირველი მუხლის მიხედვით, ნეიტრალური სტატუსის მქონე სახელმწიფოს ტერიტორია ხელშეუხებელია, ხოლო მე-2 მუხლი დაპირისპირებულ სახელმწიფოებს უკრძალავს ჯარების გადაადგილებას ნეიტრალური სტატუსის მქონე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

თავის მხრივ, ასეთი სტატუსის მქონე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ მისი ტერიტორია არ იქნება გამოყენებული სამხედრო ნაწილებისა და იარაღის გადასაადგილებლად.

განასხვავებენ მუდმივ და დროებით ნეიტრალიტეტს. შვეიცარია და ირლანდია მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსის მატარებლები არიან. არსებობენ ქვეყნები, რომლებიც კონკრეტულ კონფლიქტებში გვევლინებიან ნეიტრალურად. ამის საუკეთესო მაგალითია საქართველო, რომელიც ყარაბაღის ბოლო ომში (2020 წლის სექტემბერ-ოქტომბერი) ნეიტრალური სახელმწიფოს პოზიციას იკავებდა.

როგორ შეიძლება ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსის მიღება?

იმისთვის, რომ ესა თუ ის ქვეყანა გახდეს ნეიტრალური, მან რამდენიმე პირობა უნდა დააკმაყოფილოს.

1. ქვეყანას, რომელსაც ნეიტრალურის სტატუსი სურს, არ უნდა ჰქონდეს ტერიტორიული დავა მეზობელ სახელმწიფოებთან. ამ დროს, საქართველოს 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ და არ გვაქვს დადგენილი საზღვრები (დემარკაცია და დელიმიტაცია) აზერბაიჯანთან, სომხეთსა და რუსეთთან.
2. თვითგამოცხადებული ნეიტრალიტეტი დაცვის არავითარ გარანტიას არ იძლევა. ამის საუკეთესო მაგალითია მოლდავეთი, რომელმაც 1994 წელს კონსტიტუციით ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, თუმცა, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, დღემდე აქვს დნესტრისპირეთის მოუგვარებელი კონფლიქტი. შესაბამისად, სხვა ქვეყ-

ნების აღიარების გარეშე, თვითაღიარებულ ნეიტრალურობას აზრი ეკარგება.

ხშირად დიდი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, რომ გახდებიან კონკრეტული სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის გარანტორები, ერთგვარი დამცველები. აქ უნდა დავსვათ ლოგიკური კითხვა: შეიძლება კი, რუსეთი, რომელსაც საქართველოს 20% აქვს ოკუპირებული, საქართველოს ნეიტრალიტეტის გარანტორი გახდეს?

ოკუპირებულ იქნა გერმანიის მიერ, რითაც დაირღვა ჰააგის კონვენციის V თავში ასახული პრინციპები.

მაშ, როგორ უნდა დაიცვას თავი ნეიტრალურმა ქვეყანამ?

ნეიტრალურმა სახელმწიფომ საკუთარი თავის დაცვა თვითონვე უნდა შეძლოს. ამისთვის ის უნდა იყოს ეკონომიკურად ძლიერი, რათა მეტი და მეტი თანხა მიმართოს თავდაცვის ბიუჯეტისკენ. შვეიცარია

4. ევროპაში, დღეის მდგომარეობით, ნეიტრალურ სახელმწიფოებად გვევლინებიან:
   - ავსტრია;
   - ირლანდია;
   - ფინეთი;
   - შვედეთი;
   - შვეიცარია;
   - ფორმალურად მოლდავეთი;
   - სერბეთი.

ყოველ მათგანს სხვადასხვა გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს. საქართველო ისტორიულად დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების შეხვედრის ადგილი იყო. რეალობა არც დღეს, XXI საუკუნეში შეცვლილა. გარშემო 1000 კილომეტრის რადიუსით დედამიწის ყველაზე ცხელი წერტილებია განლაგებული.



3. მსოფლიოში არ არსებობს ქმედითი საერთაშორისო დოკუმენტი ან შეთანხმება, რომელიც ნეიტრალურ სახელმწიფოს თავდასხმისგან დაიცავს. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის დროს ბელგია ნეიტრალური ქვეყანა იყო. მიუხედავად ამისა, 1914 წლის აგვისტოში ის

და ფინეთი ამის საუკეთესო მაგალითები არიან. შვეიცარიას მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოდ შეიარაღებული ჯარი ჰყავს. 5,5 მილიონიან ფინეთს, საჭიროების შემთხვევაში, 61 000 პროფესიონალისა და ტერიტორიული თავდაცვის 176 000 ჯარისკაცის მობილიზება შეუძლია.

სტატიის მიზანი ნეიტრალიტეტის შესახებ ტყუილ-მართლის დადგენაა. მოდი, ერთად ვიმსჯელოთ, რამდენად ვაკმაყოფილებთ ნეიტრალური სახელმწიფოებისთვის განკუთვნილ კრიტერიუმებს.

რამდენად აქვს ასეთ ქვეყანას ნეიტრალიტეტის ფუფუნება?

ახალი რეალობა

რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ ნეიტრალიტეტისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეცვალა. დღემდე ნეიტრალურმა ქვეყნებმა, ფინეთმა და შვედეთმა, ოფიციალურად დაადასტურეს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (NATO) გაწევრიანების სურვილი.

როგორ ფიქრობთ, რატომ მიიღეს საქართველოზე ბევრად უკეთესი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და განვითარების მქონე ქვეყნებმა მსგავსი გადაწყვეტილება?

კონსტიტუციური ჩანაწერი

საქართველოს კონსტიტუცია უზენაესი კანონია. ის გამოხატავს საქართველოს მოქალაქეების მისწრაფებებს, სურვილებს და ქვეყნის განვითარების კურსს. საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლში ნათქვამია, რომ: **„კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“.**

აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, საქართველოს, როგორც ქვეყნის, ურყევი სურვილია როგორც ევროპის კავშირში, ასევე ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ინტეგრაცია და ნეიტრალიტეტზე საუბარი ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

ნეიტრალიტეტის იდეას ხშირად ტროას ცხენს ადარებენ. ეს არის მარტივი გზა რუსეთისთვის, დაუცველ ქვეყანაში მარტივად და უმტკივნეულოდ დამკვიდრდეს.

გამოყენებული მასალები:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. https://worldpopulationreview.com/country-rankings/neutral-countries
3. https://www.adducation.info/general-knowledge-politics-religion/all-neutral-countries/
4. http://nato.gov.si/eng/topic/national-security/neutral-status/neutral-countries/
5. https://www.youtube.com/watch?v=3LvWTmqn7A4
6. The Avalon Project – Laws of War: Rights and Duties of Neutral Powers and Persons in Case of War on Land (Hague V); October 18, 1907 (yale.edu)
7. The Avalon Project – Laws of War : Rights and Duties of Neutral Powers in Naval War (Hague XIII); October 18, 1907 (yale.edu)